# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 11 ოქტომბერი 2000 №196 (1218) | ფასი 50 თეთრი


**2** ჭაბუკებიც დაგვიჩაგრეს

რუმინელებმა ქართველი 16-წლამდელები ევროპის ჩემპიონატიდან 5:0-ით გამოისტუმრეს

**5** ხილი ხილი მსუბუქად ჩააყუდეს!



6 თვით 29 წლის ნაცვლად




... სად იყო 1980 წლის შემოდგომაზე დიუსელდორფი? შორს. და ირლანდიური „უოტერფორდი"?

... საქართველოს ნაკრები ძი მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის შესარჩევში ჩაერთო. ვინ არიან მეტოქეები? როგორ ჩატარდა გასული 16 პირველობა?

... 2002 წლის ჩემპიონატის კალენდარი — ცხრილები თქვენი ხელით შეავსეთ

... პლაკატი: ალესანდრო დელ პიერო და სიდნეი 2000-ის ყველა მედალოსანი


ჟურნალი სარბიელი

უკვე ჯიხურებშია

**ფასი 2 ლარი**


მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## იტალია — საქართველო

11 ოქტომბერი, ანკონა 23.45

# ფრთხილად!

## ტრაპატონის საქართველო კონკურენტად მიაჩნია. სკუადრა აძურა მაქსიმალურად მობილიზებული გვეთამაშება

### შანსების რეიტინგში დიდი ცვლილებებია: იტალიელებმა ქართველები დააწინაურეს, ქართველებმა უნგრელები, რუმინეთი ყველამ ჩამოწერა. მაგრამ შანსები მხოლოდ შანსებია...

**იტალიელმა** ოლიმპიელებმა სიდნეიში 13 ოქროს მედალი მოიხვეჭეს, 21-წლიანი ლოდინის შემდეგ მიხაელ შუმახერმა „ფერარის" ფორმულა მოაგებინა, ოთხი დღის წინ „სკუადრა აძურამ" მილანის „სან სიროზე" რუმინეთი გაანადგურა...

დღეს ანკონა და საქართველოა. მათემატიკურ ლოგიკას თუ მოვიშველიებთ, კენჭისყრისას პირველ კალათში განთესილი რუმინეთის ძლევის შემდეგ იტალიელებს მეხუთეკალათელი საქართველოს დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ... ჯოვანი ტრაპატონის ამგვარი რამეებისა არ სწამს, უფრო გამოცდილებას ენდობა, რომელიც ჭალარა მწვრთნელს საკმარისად დაუგროვებია. დონ ტრაპიმ კარგად იცის, რომ თავის ზედმეტად ქება სახიფათო და ხშირად დამღუპველია. მოვუსმინოთ: „მილანში ბრწყინვალედ ვითამაშეთ, ყველაფერი გამოგვივიდა და უაღრესად კმაყოფილი ვარ. მაგრამ ახლა სჯობს, ის თამაში დავივიწყოთ. აქამდე მთავარ კონკურენტად რუმინეთს ვთვლიდი, ახლა კი აზრი შემეცვალა — ლიტვის განადგურების შემდეგ პირველი ადგილისთვის საქართველო შეგვეცილება". მწვრთნელის ამ მოსაზრების გამოძახილია ალესანდრო ნესტას სიტყვებიც: „საქართველო რუმინეთზე ბევრად ძლიერია." რა თქმა უნდა, ტრაპატონისა და ნესტას გამონათქვამები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველებისა ძალიან ეშინიათ და ტიფოზებს აფრთხილებენ, ვაითუ, არ გაგვიმართლოსო, მაგრამ როცა ჩვენს ნაკრებს პატივისცემით იხსენიებენ, სასიამოვნო მოსასმენია.

ახლა შემადგენლობაზე. „ადრე თუ გვიან ის სასტარტო შემადგენლობაში დაგვჭირდება" — თქვა ორშაბათს ტრაპატონიმ ალესანდრო დელ პიეროზე. იუვენტუსელი რუმინეთთან მატჩის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე შეხვდა და მხოლოდ ბოლო ცხრა წუთი ითამაშა, როცა ყველაფერი მოთავებული იყო. დელ პიეროს არც ქართველი მცველები უნდა შეეწუხებინა, მით უმეტეს, ფილიპო ინძაგის, მარკო დელვეკიოსა და ფრანჩესკო ტოტის რუმინელთა წინააღმდეგ თამაშში წუნს ვერ იპოვიდით. მაგრამ გუშინ დილას მილანის „ინტერის" საწვრთნელი ბაზა „აპიანო ჯენტილედან", სადაც „სკუადრა აძურა" ემზადება, ფილიპო ინძაგი წავიდა. მიზეზი არც ტრავმაა და არც მწვრთნელისგან ათვალწუნება — უფროს ინძაგის გრიპი შეეყარა და ნაკრებში ადგილი გაათავისუფლა. ასე რომ, დონ ტრაპის სიტყვები, დელ პიერო ადრე თუ გვიან დაგვჭირდებაო, ძალიან მალე ასრულდა. ვინ იცის, ეგებ ჩვენ ეს ვარიანტი გვერჩივნოს, ეგებ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაფუჭებულ მომენტებს მან ანკონაში ერთი-ორიც მიუმატოს. ისე, ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ შეიძლება ტრაპატონიმ დელ პიეროს ვინჩენცო მონტელა ამჯობინოს და საქართველოს წმინდა რომაული თავდასხმით შეერკინოს.



ჯოვანი ტრაპატონიმ საქართველო რუმინეთზე წინ დააყენა

ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნობაც მოვიდა. ორშაბათს „აპიანო ჯენტილეზე" ფაბიო კანავარო და ფრანჩესკო კოკო, თანაგუნდელთაგან განსხვავებით, ოფლს არ ღვრიდნენო — შეუნიშნავთ ჟურნალისტებს და მაშინვე გაავრცელეს ცნობა, ტრაპატონი მათ ნაცვლად ლაციოელ ჯუზეპე პანკაროს და უდინეზელ ვალერიო ბერტოტოს ამზადებსო. გუშინდელ ცნობებში კი ამაზე არაფერია ნათქვამი და კანავაროც და კოკოც სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში არიან მოხსენიებულნი.

ახლა ჩვენებზე. სააგენტო „როიტერის" ცნობით, საქართველოს ნაკრები ანკონაში კაუნასური შემადგენლობით აპირებს თამაშს და დავით ყიფიანის მოსაზრებას გვამცნობს: „იტალია ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მსოფლიოში, ამიტომ განსაკუთრებული ილუზიები არ უნდა გვქონდეს. ჩვენ მეორე ადგილისთვის, პლეი ოფში გასასვლელად ვიბრძვით. ვფიქრობ, უნგრეთი დღეს რუმინეთზე ძლიერია, რის გამოც უნგრეთთან შეხვედრები საქართველოს ნაკრებისთვის გადამწყვეტი იქნება."

**გიორგი დარჯანია**

## არ გვენახა მაინც...

***გუშინ** ფერმოს სტადიონი „ბრუნო რეჩონე" იტალიელმა ქომაგებმა პირამდე შეავსეს. ტიფოზები მთელი თამაში მღეროდნენ. საბაბიც ჰქონდათ: ახალგაზრდული „სკუადრა აძურა" პირველი ტაიმის პირველ ნახევარში დიდოსტატურად თამაშობდა, ქართველები კი უბრალოდ კონცერტზე მიპატიჟებულებს ჰგავდნენ.*

*ისმენდნენ ჩვენი ახალგაზრდები იტალიურ სიმღერებს და მასპინძელ თავდამსხმელებს ლომაიას კარისკენ კრძალვით მიაცილებდნენ. ერთი, ორი, სამი... თამაშის შემყურეს ძალაუნებურად არეცოს კოშმარი მოაგონდებოდა, მაგრამ...*

*მერე იტალიამ აურია, ნამდვილად შეიცოდა სტუმარი. მსაჯმაც გაიზიარა ქართველთა გასაჭირი და ერთი ჰუმანიტარული პენალტი გვიფეშქაშა.*

*3:2 ერთი შეხედვით დაძაბულ ბრძოლაში დამარცხებას ჰგავს, მაგრამ ჩვენებურმა ქომაგმა თამაში ტელევიზორით იხილა და სიმართლე იცის.*

*საქართველოს ახალგაზრდული გუნდი ჯგუფში უქულო და ბოლოა.*

## ვითომ?

1999 წლის 31 მარტს იტალიის ნაკრები ანკონაში ბელარუსს დაუხვდა. ეს ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩი გახლდათ. გახსოვთ ალბათ, ის შესარჩევი ეტაპი იტალიამ უპრობლემოდ დაძლია, მერე კი ევროპის ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვა. ეგ კი არა, წუთიც რომ გაეძლო ფინალში, კონტინენტზე უძლიერესიც გახდებოდა.

მაგრამ ახლა ჩვენი საფიქრალი როტერდამი კი არა, ანკონაა. ამ ქალაქში იტალიის ნაკრებმა ბოლოს სწორედ ბელარუსებთან ითამაშა.

ის მატჩი 1:1 დამთავრდა.

UEFA UNDER-21 Championship

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

**სლოვენია 0:0 შვეიცარია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:2 | 0 |

### II ჯგუფი

**ჰოლანდია 1:1 პორტუგალია**

1:0 იანსენი (16), 1:1 დელ კოშტა (37)

**ირლანდია 1:0 ესტონეთი**

1:0 ბ. ქუინი (57პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### III ჯგუფი

**მალტა 0:1 ჩეხეთი**

0:1 ბაროში (58)

**დანია 2:2 ბულგარეთი**

1:0 ბოეგელუნდი (31), 1:1 რუსევი (48), 2:1 ალბრეხტსენი (75), 2:2 საკალიევი (89)
გაძევება: რუმანოვი (75, ბულგარეთი)

**ისლანდია 2:5 ჩრდ. ირლანდია**

0:1, 0:2 ჰამილტონი (7, 11), 0:3, 0:4 ჰარკინი (32, 62), 1:4 გუნარსონი (83), 1:5 მაკკენი (88), 2:5 გუდიონსონი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### IV ჯგუფი

**აზერბაიჯანი 1:2 თურქეთი**

0:1 გიოქთანი (63), 1:1 ალიევი (74), 1:2 ჯიჰანი (84)

**მოლდოვა 3:0 მაკედონია**

1:0 დრუჩე (47), 2:0, 3:0 ბუგნაცი (67, 80)

**სლოვაკეთი 1:1 შვედეთი**

0:1 დორსინი (63), 1:1 სედლაკი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:5 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:1 | 5 |
| მოლდოვა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| მაკედონია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### V ჯგუფი

**ბელარუსი 5:0 სომხეთი**

1:0 ლოშანკოვი (5), 2:0 ლედენიოვი (20), 3:0 კუტუზოვი (22), 4:0 ლედენიოვი (29), 5:0 ბულიგა (63)

**ნორვეგია 3:1 უკრაინა**

0:1 ბიელიკი (22), 1:1 რასტადი (26), 2:1 კარადასი (61), 3:1 შოვი (90)
გაძევება: შასიხნიჩენკო (41, უკრაინა)

**პოლონეთი 2:1 უელსი**

0:1 ტომასი (15), 1:1 გლოვაცკი (67), 2:1 რასიაკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 13:1 | 9 |
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| უკრაინა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | 4 |
| უელსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | 0 |

### VI ჯგუფი

**ხორვატია 3:1 შოტლანდია**

0:1 ნოტმენი (36პ), 1:1 მიკიჩი (39), 2:1 ოლიჩი (67), 3:1 მიკიჩი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### VII ჯგუფი

**ავსტრია 2:1 ესპანეთი**

0:1 პაბლო გონსალესი (8), 1:1, 2:1 ლინცი (38პ, 50)
გაძევება: ბრანდმაიერი (71, ავსტრია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ისრაელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ლიტვა 0:1 უნგრეთი**

0:1 გარა (65)

**იტალია 3:2 საქართველო**

1:0 პინარდი (10), 2:0 კასანო (24), 3:0 მარესკა (36), 3:1 წერეთელი (82პ), 3:2 მელქაძე (90)
კასანომ ვერ გაიტანა პენალტი (24, მეკარე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ლიტვა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

### IX ჯგუფი

**ფინეთი 2:2 ინგლისი**

1:0 სიილუნდი (15), 1:1 დანი (31), 1:2 ა. სმიტი (48), 2:2 სიილუნდი (76)

**ალბანეთი 0:1 საბერძნეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

UEFA UNDER-16 Championship

# რუმინელებმა ჭაბუკები დაგვიჩაგრეს

პლოეშტი
10 ოქტომბერი
18 საათი
პეტროლული
500

**საქართველო 0:5 რუმინეთი**

0:1 კრისტეა (1), 0:2, 0:3, 0:4 ოპრია (9, 17, 59), 0:5 კრისტეა (70)
საქართველო: თოთლაძე, ახალაია, ექონია, კაშია, ლომიძე, მარცვალაძე, ქილლაძე, გუგუნაძე, სახოკია (მაჭავარიანი), ფირცხალავა, ქარსელაძე (მალიჩავა, ერემეიშვილი)
რუმინეთი: კალომი, პეტრიცა, პატრასკუ, შარმატი, აბრუდანი, სტერე, იუიტა, ჩიურია, ოპრია, ილინი, კრისტეა
გაძევება: მარცვალაძე (45)

**საქართველოს** 16-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთში ვერაფერი მოუხერხა მასპინძელ თანატოლებს და მოგების შემთხვევაში ევროპის 2001 წლის ჩემპიონატზე თამაში რომ შეეძლო, გუშინ დიდი ანგარიშით 0:5 წააგო.

რუმინელებს პირველი გოლი პირველსავე წუთზე გაუტანიათ, ქართველები წელში გაუტეხიათ და მე-20 წუთზე უკვე სამი ბურთით დაწინაურებულან. მატჩის ბედიც ამ დროისთვის გადაწყვეტილა, თანაც ქართველი 16-წლამდელები, ისევე როგორც ალბანელებთან წინა მატჩში, ათნი დარჩენილან, მსაჯს გუშინ კაპიტანი ოთარ მარცვალაძე 45-ე წუთზე გაუძევებია.

— ყველაფერი ლოგიკურად მოხდა. არადა, მატჩამდე იმედიანად ვიყავით განწყობილნი. რეალურად რომ ვთქვათ, რუმინელები ჩვენებზე ძლიერები არიან და ევროპის ჩემპიონატზეც დამსახურებულად ითამაშებენ. მათი 11 ნომერი კრისტია კი, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ერთ-ორ წელიწადში დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ისე, ერთიცაა, ოღონდ არ იფიქროთ თითქოს ასეთი მარცხის შემდეგ თავს ვიმართლებდეთ, რუმინელებმა ჩვენთან თამაშამდე ორი დღით მეტი დაისვენეს, თანაც ფიზიკურადაც ჩვენებზე დიდები ჩანდნენ, ეს კი, თქმა რად უნდა, ამ ასაკის ფეხბურთელთათვის საგრძნობი უპირატესობაა — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის უფროსმა ლევან ყიფიანმა.

# შეყრილაძე კარში ჩადგა...

**ფოთის** „კოლხეთმა", რომელიც ყვავილნარში იმყოფება შეკრებაზე და იმავე მიზეზით გონიოში გადაბარგებულმა „ბათუმმა" ამხანაგური მატჩების ჩატარება გადაწყვიტეს. მეტოქედ ორივემ ერთი გუნდი, საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" ირჩია.

კოლხებმა სტუმრად იწვიეს რიონისპირელები და „ფაზისზეც" თამაში გახურდა. „ტორპედომ", ფოთს ერთი მეკარით რომ ეწვია, კარში ნიკა ტოგონიძე ჩააყენა, მერე მასპინძელს გოლი გაუტანა და გული დაიმშვიდა.

ტოგონიძე პირველ ტაიმშივე დაშავდა. მწვრთნელები ვითარების გამწვავებას მოერიდნენ და მეკარის ადგილი მცველმა შეყრილაძემ დაიკავა.

ამასობაში სტუმრებმა უპირატესობა გააორმაგეს. ბობოხიძის მონაგარს ჩხეტიანმა ერთიც მიუმატა და...

შეყრილაძე კარგა ხანს უმკლავდებოდა კოლხთა იერიშებს, მაგრამ ბოლოსკენ ჯერ თედეევმა, ხოლო მერე შავგულიძემ პენალტით საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს — 2:2.

დაბრუნდა „ტორპედო" ქუთაისში და „ბათუმიც" ესტუმრა. მასპინძელთა კარის დაცვა ჭანტურიამ იკისრა, ხოლო ბობოხიძემ და ჩხეტიანმა გამარჯვების მომტანი ორი გოლი გაიტანეს. „ბათუმი" ქუთაისიდან ისევ გულდაწყვეტილი წავიდა.

დაბოლოს, ერთ სიახლეზეც. ქუთაისურ კლუბში ყოფილი სამგურალელი შალვა ღონღაძე ვარჯიშობს, თუმცა მის დამატებაზე ჯერ საუბარი არ ყოფილა.

**დათო დანელია**



ალექსანდრე შეყრილაძე

LIETUVOS RYTAS



ლიტველებთან ორი გოლის გამტან თემურ ქეცბაიას (№9) არც ედგარას იანკაუსკასის შეჩერება გასჭირვებია

# ქართველებმა ლიტველები მაგრად შეაჯანჯღარეს

## Gruzinika pamoka atvġrġakis

ქართველებმა თვალი აგვიხილეს — დაახლოებით ასე ითარგმნება ის სიტყვები, რომლებითაც ლიტველმა ჟურნალისტებმა ლიტვა — საქართველოს შაბათის მატჩის მიმოხილვა დაასათაურეს.

ქართველმა ფეხბურთელებმა ჩვენებს გაკვეთილი ჩაუტარეს, გვითხრა ლიტველმა კოლეგა კესტას გიმბუტისმა და ეს „ლიეტუას რიტასის" ორშაბათის ნომერშიც დაწერა.

მისივე თქმით, ლიტვის ნაკრების ასეთი საშინელი მარცხის მიზეზი უკვე ყოფილი მწვრთნელის სტასის სტანკუსის არჩეული არასწორი ტაქტიკა და უდროო ექსპერიმენტები იყო. ექსპერიმენტებით კი ქართველების დამარცხება ლიტველთათვის შეუძლებელიაო — დაამატა კოლეგამ.

## Šalies futbolininkai ismekino garsių lakūnų atminin

Kauno S.Dariaus ir S.Girėno stadione gruzinai be gailesčio traiškė Lietuvos reprezentacinę ekipą

და ისევ ვილნიუსში გამომავალი „ლიეტუას რიტასი" — ლიტველმა ფეხბურთელებმა სახელგანთქმული პილოტის ხსოვნა შეურაცხყვეს — ალბათ მოგეხსენებათ, 1933 წელს ატლანტის ოკეანეს პირველად თვითნაკეთი თვითმფრინავით სწორედ ორმა ლიტველმა პილოტმა გადაუფრინა — დარიუსისა და გირენასის სახელობის სტადიონზე ქართველებმა ლიტველები უმოწყალოდ გაანადგურეს — ესეც ქვესათაური.

იქაური ჟურნალისტების თქმით, ქართველებთან მარცხი ლიტვის ფეხბურთის ფედერაციას საფუძვლიანად შეაჯანჯღარებს, ალბათ საკადრო ცვლილებებიც იქნებაო, ვარაუდობენ ჩვენი კოლეგები.

**საფრანგეთი**

გადადებული მატჩი

სედანი 2:1 რენი

**II დივიზიონი**

XIV ტური

ნანსი 1:2 სოშო

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორია)
☎ 29-48-60. 23-53-17

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## იტალია — საქართველო

# ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს

*... აქამდე ორჯერ გადაჰყრიან ერთმანეთს. პერუჯაში იტალიელთა ზეობა იყო. არიგო საკის ნაქებმა ბიჭებმა მოულოდნელად კარგად ათამაშებულ საქართველოს 1:0 მოუგეს.*

*საქართველომ თითქმის ერთი წლის შემდეგ იძია შური. „ეროვნულზე" იტალიას ორი ქულა დაატოვებინა, თავად ერთი ჩაიჯიბა და ამავდროულად სხვისთვის (ინგლისისთვის) საშური საქმეც გააკეთა.*

*... დღეს ისევ იტალია — საქართველოა. ახლა მხოლოდ ქართული, საკუთარი საქმეა საკეთებელი. მანამდე კი წარსულის ის ორი მატჩი და მატჩისშემდგომი პერიპეტიები გავიხსენოთ.*



1997 წლის 10 სექტემბერი. საქართველო — იტალია 0:0. მურთაზ შელია პიერლუიჯი კაზირაგის გადააფრინდა

# VIP იტალია:
## ცისფერი ბედისწერა

**1997 წლის** 10 სექტემბრის მნიშვნელოვნება ეგებ დღეს ჩვენში ბევრმა ვერც გაიხსენოს, მაგრამ ხაკმარისია, თქვა — „გახსოვს, საქართველო — იტალია"... და უმალ თვალწინ დაგიდგებათ გადაჭედილი „ეროვნული", ქართველთა თავგამოდება, უგოლო ფრე, ხანგრძლივი ოვაცია და გაჩირაღდნებული ტრიბუნები. ტრიბუნები... ჩვენთვის უჩვეულო, მანამდე არნახული რამ ხდებოდა იქ. ქართველები ფრეს ზეიმობდნენ, ზეიმობდნენ გულწრფელად, ჰქონდათ კიდეც საამისო საბაბი. ეს იყო ფრე შეურაცხმყოფელი და დამღლელი წაგებების შემდეგ და მერე ვისთან? იტალიის ნაკრებთან!

იტალიელთა ჩამოსვლას წარმოუდგენელი აჟიოტაჟი მოჰყვა ჩვენში... „VIP-იდან გამოვლენ" — შეჰყვირა აეროპორტის მოსაცდელთან ვიღაცამ და ხალხიც უმალ მის გზას დაადგა. „ასეთი ხალხმრავლობა ბოლოს არც კი მახსოვს, როდის იყო" — ამბობდა აეროპორტის ერთ-ერთი თანამშრომელი. მუქლურჯ სამოსში გამოწყობილი ელეგანტური აპენინელები ეფექტურად გამოიყურებოდნენ. მერე კი იყო მოკლე გადარბენები მალდინიდან ბაჯომდე, ბაჯოდან ვიერიმდე, ვიერიდან ძოლამდე, აქეთ კაზირაგი, ჯერ კიდევ ბევრისთვის უცნობი კანავარო, იქით მამა-მალდინი, შემდეგ ისევ ბაჯო და ასე დაუსრულებლად. ავტოგრაფების თხოვნა, ხელით შეხება, ინტერვიუს უფლებამოპოვებულ ჟურნალისტთა ნერვიული მოძრაობა და ფოტოაპარატების დაუსრულებელი ჩხაკუნი. თვით სახელოვან ცისფერსისხლიანთაც შეშურდებოდათ იმხელა ესკორტი, „ცისფერ გუნდს" რომ მიაცილებდა აეროპორტიდან სასტუმრო „მეტეხამდე".

პროგნოზები? ამ მხრივ თითქმის ერთსულოვნება იყო. იტალია ფავორიტია, იტალია მოიგებს... მახსოვს, ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა პირდაპირ ჰკითხა რობერტო ბაჯოს, რა ანგარიშით გაიმარჯვებთო. კიკინიანმაც მხრები აიჩეჩა, ერთი ან ორი ბურთის სხვაობით მოგიგებთო.

„როგორ გგონიათ, რისთვის ჩამოვედით აქ, რა თქმა უნდა, თქვენებს მოვუგებთ და ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ" — სავარძელზე გადაწოლილი პალიუკა გამომწვევი უდარდელობით პასუხობდა შეკითხვებს, მერე კი თავხედურადაც მოიქცა — ავტოგრაფის სათხოვნელად მისულ ქართველ გოგონას უხეშად აუკრა ხელი. და მართლაც, ახლა რომ ვუფიქრდები, იტალიელთა სამი წლის წინანდელი სტუმრობა გარკვეულწილად გამაღიზიანებელიც იყო. მედიდური, თავდაჯერებული (ხანდახან ირონიულიც) გამოხედვა ყოველ წუთს გახსენებდა, რომ ეს ხალხი წარბშეუხრელად გაჯობებდა იმ საქმეში, რისთვისაც ჩამოსული იყო და ერთ-ორ თვეში (შესაძლოა ნაკლებ დროშიც) სრულადაც დაივიწყებდნენ ქართულ აჟიოტაჟს, სექტემბრის თბილისურ დღეებს რომ სდევდა თან.

მატჩის დამთავრებისთანავე ბრუნო პიცული გამახსენდა, ცნობილი იტალიელი კომენტატორი, უფრო სწორად, მისი სიტყვები. „ვერც კი აგიხსნით, იმდენად წარმოუდგენელ გარემოში ვგრძნობ თავს. უჩვეულო ხალხი ხართ ქართველები. ეს მარტო აჟიოტაჟი არ არის. ისეთი სიტუაციაა, თითქოს რაღაც გამორჩეულს, მნიშვნელოვანს ელით, გული ცუდს მიგრძნობს, იქნებ თქვენთვის ეს მნიშვნელოვანი ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდეს" — ვერაფერს იტყვი, საოცარი სიზუსტით ახდა მატჩის წინა დღეს ბრგე იტალიელის „მეტეხის" ჰოლში ნათქვამი.

სამი წლის გადასახედიდან რატომღაც მგონია, რომ რაღაც განსაკუთრებულმა მოგვაპოვებინა ქულა იტალიასთან. განსაკუთრებულმა, რომელიც ბევრად მეტია ტაქტიკურ მონახაზზე, მოთამაშეთა ინდივიდუალიზმზე, თუნდაც იღბალზე. ბრუნო პიცულის არ იყოს, იქნებ ის განსაკუთრებული სწორედ ქართველთა უჩვეულობაში მდგომარეობს. და მატჩი.

სტადიონზე არ ვყოფილვარ, დღევანდელივით მაშინაც პროფესიულ მოვალეობას ვიხდიდი — ერთ-ერთი ტელეკომპანიის შუშებჩატეხილ სტუდიიდან საქართველო — იტალიის პირდაპირ რეპორტაჟს (იტალიური RAI-1 გადასცემდა) კომენტარს ვუკეთებდი. თუმც ეს უფრო მოლოდინი იყო, მოლოდინი იმისა, თუ როდის გაგვიტანდნენ გოლს. გოლი არ გასულა და, გამოგიტყდებით, საოცრად მსურდა, იმ შეხვედრაში გოლი არ მენახა.

ფაქტია, ამ მატჩმა ქულაზე გაცილებით ბევრი რამ შეგვმატა. მართლაც რომ შთამბეჭდავი რეალობის წინაშე დავდექით — ტოლ-სწორად ვეთამაშეთ იტალიას. „სარბიელის" მესვეტის არ იყოს, ეს ფრე მართლაც რომ სასარგებლო და დიადი იყო ჩვენი საფეხბურთო ფსიქოლოგიისთვის. ქართველმა ფეხბურთელებმა ყველა ღონე იხმარეს საწადელის მისაღწევად.

ამ მატჩმა ქართულ ფეხბურთს ახალი სახელიც აჩუქა — კახა კალაძე. „ქება და დიდება 20 წლის ბიჭს, რომელიც ეროვნულ გუნდში სულ მეორედ ათამაშეს, თანაც შეცვლაზე შესულს ურთულესი ამოცანა დააკისრეს — კრისტიან ვიერის გაუფერულება. კახამ უშიშრად და ზუსტად იმოქმედა, შეიძლება ახლავე ითქვას, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს ძლიერი და საიმედო მცველი ეზრდება". „სარბიელი" 11 სექტემბერი, 1997 წელი. და მართლაც, ცხადაძის შემცვლელი ყმაწვილკაცის ვიერისთან ჭიდილმა ლოკალური ინტრიგაც წარმოშვა.

ქართველთა თამაშს ევროპელი გაზეთებიც გამოეხმაურნენ. სხვებს, ბუნებრივია, ინგლისური ტაბლოიდები სჭარბობდნენ, არც იყო გასაკვირი, თბილისურმა ფრემ ინგლისელთა საპირველადგილო შანსები გაზარდა ჯგუფში. „მსოფლიო თასიდან უიმედოდ მოტოვებულმა საქართველომ არისტოკრატ იტალიას გამაოგნებელი ფრე გაუგორა და ინგლისი გაათამამა." „სანი".

„ქეცბაია სიტყვის კაცი ყოფილა — ნიუკასლელებს შეჰპირდა, იტალიელებს ქულებს დავაკარგვინებთო და დაპირება შეასრულა კიდეც" — ეს კი „დეილი სტარის" სიტყვებია. იმხანად „ნიუკასლის" ქართველმა მართლაც ლომის წილი დაიდო. თემური იყო ისეთი, როგორიც თავის საუკეთესო მატჩებისას გვინახავს — ჩვეული თავდადებითა და ოსტატობით წევდა იმ ნახევარმცველის ჭაპანს, რომელიც მოედნის ყველა კიდეშია.

დავივიწყოთ იტალია! წარმატებით ალფრთოვანებული ქართველებისთვის სამი წლის წინ ეს ფრაზა ერთობ პოპულარული და მრავლისმეტყველი იყო. დღეს კი კვლავაც ყველაზე მეტად ვფიქრობთ იტალიაზე, დღეს იტალია — საქართველოა. ხვალიდან კი კვლავაც მოგვიწევს ამ მატჩის დავიწყება, ვინ იცის, ეგებ ისეც მოხდეს, მაშინდელივით სასიამოვნო და სამომავლო წარმატებისთვის აუცილებელი იყოს ეს დავიწყება... ვინ იცის... ვისურვოთ მაინც.

**ბაატა ქვანტალიანი**



1996 წლის 9 ოქტომბერი. იტალია — საქართველო 1:0.
ანჯელო დი ლივიოსა (№7) და დიმიტრი კუდინოვის შეყრა-დაცემა

# იმ დღიდან დღემდე

**კატენაჩო,** ესაა ჩვენი სტილი. გამარჯვება მხოლოდ მას მოაქვს — დაახლოებით ამგვარი ლოზუნგებით გაჯერებული დაგვიხვდა იტალია 1997 წლის ოქტომბრის დასაწყისში მათი და ჩვენი ნაკრებების თამაშის სანახვად საქართველოდან ჩასულ ჟურნალისტებს. აპენინებზე მათი ეროვნული გუნდის იმჟამინდელი მწვრთნელი არიგო საკი არ მოსწონდათ. გაღიზიანების ნამდვილი მიზეზი, ალბათ, ჩვენთან შეხვედრამდე რამდენიმე თვით ადრე, ევრო 96-ზე „სკუადრა აძურას" ჯგუფში ჩარჩენა იყო, მაგრამ იმ დღეებში ამაზე ნაკლებს ლაპარაკობდნენ და ძირითადად საკის შემტევ ფეხბურთს აკრიტიკებდნენ. ეს გახლდათ მთავარი თემა, რომელზეც საერთო აზრი ჰქონდა ყველას, ბარმენით დაწყებულს, მიმომხილველებით დამთავრებულს.

ის მატჩი, იტალია — საქართველო, საკისთვის მართლაც ბოლო გამოდგა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე. შემდეგ შეხვედრაში გუნდს უკვე ჩეზარე მალდინი უძღვებოდა და მოედანზე თავდაცვისა და კონტრშეტევის კლასიკურ სურათს ვუცქერდით.

ვერც მალდინიმ გაამართლა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ იგი დინო ძოფით შეცვალეს. ძოფის სტილიც კატენაჩოს პრინციპებს ეყრდნობოდა, თუმცა მისი „სკუადრა" მაინც უფრო მოედნის შუისკენ იყო გადაწეული. შედეგი: ევრო 2000-ზე მეორე ადგილი — იტალიელთათვის კვლავ წარუმატებლობა. და ძოფი ჯოვანი ტრაპატონიმ შეცვალა.

ამასობაში კი კვლავ მოვიდა ქართველთა იტალიაში ჩასვლის დრო და ჩვენი დღევანდელი შეხვედრის წინ, შაბათს, ტელეეკრანიდან კვლავ შემტევი „სკუადრა აძურა" ვიხილეთ. იმავე ფეხბურთელებმა, ძოფის ხელში, ივნისში, მეტოქეთა შეტევებს გაფაციცებით რომ შლიდნენ, საკმაოდ ძლიერ რუმინეთს თავად შეუტიეს და სამი უპასუხო გოლი შეუგდეს.

თუმცა, დღეს რა მოხდება ჩვენი სამკითხაო არ არის. ჩვენ შეგვიძლია გონებაში სამი წლის წინანდელი ამოვქექოთ. მაშინ საქართველოს ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე წვრთნიდა, გულშემატკივარს კი ძველიდან შემორჩენილი ამბიცია ჰქონდა და შედეგს ითხოვდა. მაგრამ იტალია, თუნდაც შედარებით არეული, ბუნებრივია იტალიად რჩებოდა და მოგვიგო კიდეც — 1:0.

უნდა ითქვას, რომ ქართველების გუნდმა იმ 9 ოქტომბერს ურიგოდ სულაც არ ითამაშა, მითუფრო შესვენების შემდეგ. მართალია მეტოქეს ვერ აჯობა, „სკუადრა აძურამ" სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა, ჩვენზე მეტი მომენტი შექმნა, გოლი გაგვიტანა და შეცდომა ნაკლები დაუშვა, მაგრამ აქეთაც შეიძლება რალაცეების გახსენება. კერძოდ, რომ არა ბრწყინვალე მეკარე ფრანჩესკო ტოლდო, გიორგი ნემსაძის და თემურ ქეცბაიას დარტყმები, ალბათ გოლით დასრულდებოდა — ერთი მაინც. იყო მონაკვეთები, როდესაც ბურთს ქართველები აკონტროლებდნენ, იყო იმავ ბურთისთვის ბრძოლა, რაც ხშირად ჩვენი ფეხბურთელებისგან ასე სანატრელია და ასე შემდეგ. კიდევ, ქართული გემოვნების საამებლად კახი გოგიჩაიშვილმა პაოლო მალდინის ბურთი ფეხებსშორის გაუძვრინა, თუმცა, თქვენზე იყოს, ეს ვისთვის მნიშვნელოვანია და ვისთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს.

მას მერე კი სამი რთული წელიწადი გავიდა, იტალიამ მორიგი კატენაჩოს ხანა გამოიარა და საქმე საქართველოსთან შეხვედრაზე რომ მიუდგა, როგორც შევატყვეთ, ისევ შეტევაზე გადავიდა.

რას გადაგვეკიდა, ნეტავ?

**ილია ბაბუნაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
პირველი წრე

## 3 ტური

რეგიონულ ლიგაში სამი ტური გაილია. საგანგაშო ჯერჯერობით არაფერია. მართალია, რამდენიმე გუნდი მსაჯობით უკმაყოფილო იყო, მაგრამ ორიოდ ცხარე ფრაზის შემდეგ სიმშვიდემ დაისადგურა.

აღმოსავლეთში ორხელისუფლებიანობაა. „ლოკომოტივი 3“ და გურჯაანის „ალაზანი“ დანინაურდნენ. ეგაა მხოლოდ, რკინიგზელებს თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

ცენტრალურ ზონაში იძალა ოჩამჩირის „ამირანმა“. კაკუბავას შეგირდები ჯერჯერობით ყველა მეტოქეს გაუსწორდნენ და მომავალშიც ამასვე უპირებენ დანარჩენებს.

საწყისი სამი ტური უიღბლო გამოდგა ქართული „ოლიმპიკისთვის“. კარლო მჭედლიძის გუნდი ჯერ ვერაფრით დაიკვეხნის. მართალია, არ წაუგია „ვალენსიას“, მაგრამ თამაშნაკლული მხოლოდ მეხუთეა.

დასავლეთში ორია დაუმარცხებელი. გალის „მზიურმა“ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, ხოლო შორეულ წარსულში მისი „მტერი“ მარტვილის „სალხინო“ მესამე ადგილზეა.

### აღმოსავლეთი

სამგორი 1:1 ზოოვეტი
ასკ 2:4 ალაზანი
აკადემია 1:0 ცხუმი
კავკასიონი 1:2 თბილისი 2
ლოკომოტივი 3 — ხალიბი
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ალაზანი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:8 | 6 |
| აკადემია | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ხალიბი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ზოოვეტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სამგორი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| თბილისი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ჭაბუკიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| ცხუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| კავკასიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ასკ | 3 | 0 | 0 | 3 | 5:10 | 0 |

### ცენტრალური

ოლიმპიკი 1:3 ამირანი
დინამო 2 4:1 საბურთალო
ს. ა. იბერია 1:1 ვალენსი 83
მესხეთი 1:0 მრეტები
დილა 2 0:6 ვიტ ჯორჯია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:7 | 9 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 13:4 | 7 |
| დინამო 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 10:6 | 6 |
| ს. ა. იბერია | 3 | 1 | 2 | 0 | 8:5 | 5 |
| ვალენსი 83 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მესხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| მრეტები | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| საბურთალო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| დილა 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:11 | 1 |
| ვარძია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ოლიმპიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### დასავლეთი

სამეგრელო 1:0 მერცხალი
ლაზიკა 2:2 სქური
კოლხეთი 2 2:0 დინამო სოხუმი
გურია 2 1:5 მზიური
ბათუმი 2 7:1 სულორი
სალხინო 2:1 ინტერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 3 | 3 | 0 | 0 | 13:4 | 9 |
| კოლხეთი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| სალხინო | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ბათუმი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 8:4 | 4 |
| ლაზიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 9:8 | 4 |
| მერცხალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| სქური | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სამეგრელო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| გურია 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | 4 |
| დინამო სოხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| სულორი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:13 | 0 |

# ორმა კვირამ ვის რა არგო?

**თვეები** გადის შეუმჩნევლად და რა დიდი დრო ორი კვირაა, უსაშველოდ გაიწელოს. დღეები ჩვენში ხომ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს და სიახლეც ძალიან იშვიათობაა. საფეხბურთო საქართველო მთლიანად სანაკრებო მატჩებზეა გადართული, ამიტომ ეროვნული ჩემპიონატი და კლუბები უყურადღებოდ დაგვრჩა.

ვფიქრობთ, ქომაგისთვის საინტერესო იქნება, შეიტყოს, რას აკეთებენ უმაღლესლიგელები. ბევრის თავკაცი ორკვირიანი შესვენების ნაყოფიერად გამოყენებას გეგმავდა. შეკრებაზე წავალთ, ტაქტიკურ ვარიანტებს დავამუშავებთ, მოკლედ, გუნდს დავემსგავსებითო. არაფერი განსხვავებული, აზრი მუდამ ერთია, აქამდე ათასჯერ მოსმენილი და გაგონილი.

მიუხედავად ამისა, ქართულ გუნდებში რაღაც მაინც ხდება, ამიტომ თითოეულისა ცალ-ცალკე ვთქვათ. იქნებ სადმე, ვინმეს ბანაკში რაიმე სიახლეა და ჩვენ გამოგვრჩა. არადა, გავიხსენებთ მაინც. სხვისი არ ვიცი და მე ეროვნული ჩემპიონატის მატჩები მომენატრა. მართალია, საქართველოს სტადიონებზე საინტერესო მატჩებს ნაკლებად იხილავთ, მაგრამ ისეთს მოისმენთ და დაინახავთ, გაგიკვირდებათ.

ჩემპიონ „ტორპედოთი“ დავიწყოთ, რომელიც საკუთარ სალორიას ბაზაზე ვარჯიშობს და ჩემპიონატის განახლებას ელის.

ქუთაისელებმა მთავარი მწვრთნელი და სამი ფეხბურთელი მიავლინეს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში. გიორგი იმედაძე და მალხაზ ასათიანი წუხელ მურთაზ ხურცილავას განკარგულებაში იყვნენ. მძიმე მატჩი ჰქონდათ ქართველ ახალგაზრდებს...

დავით ყიფიანი და ირაკლი ზოიძე დღეს მოხვდებიან საშინელ პრესში. ტრაპატონის იტალია ძალიან მადაზეა მოსული. ღმერთმა ქნას...

შინ დარჩენილი ტორპედოელები დღეში ორჯერ (ხანდახან კი ერთხელ) ვარჯიშობენ, შიგადაშიგ საკონტროლო მატჩებსაც თამაშობენ, მოწყენილობა და უხასიათობა არ ეტყობათ. მართალია, ძირითადი მეკარე და გუნდის „ახალგაზრდა“ გვარდია მათგან ძალიან შორს იმყოფებიან, მაგრამ მეკარეები „ტორპედოში“ ისედაც მრავლად არიან და არც შუა და წინა ხაზის მოთამაშეთა ნაკლებობას უჩივიან კლუბის მესვეურები.

მოკლედ, საწვრთნელი პროცესი ჩვეულებრივად, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ტოგონიძის ტრავმა საშიში არაა დანარჩენები ჯანზე არიან, სამ დღეში კი მორიგი ტურია.

სიმშვიდე და საქმიანი ატმოსფერო სუფევს რკინიგზელთა ბანაკში. თასის მფლობელი ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებს მთავარი მწვრთნელითა და შვიდი ფეხბურთელით შეეწია. საქმეში ჯერჯერობით მწვრთნელი და ოთხი ფეხბურთელი იყო ჩართული. მცველები — სევასტი თოდუა და აქვსენტი გილაური სათადარიგოები არიან. თავიდანვე სამარქაფოდ გამწესებულმა კახა გოგიჩაიშვილმა კი ლიტვაში, ერთ-ერთ ვარჯიშზე მარჯვენა ფეხის ნეკი გაიბზარა და საეჭვოა ეროვნული ჩემპიონატის უახლოეს ტურში ითამაშოს.

როგორც შევიტყვეთ, ეს ერთადერთი ტრავმაა „ლოკომოტივში“, დანარჩენები ყოველდღე დილომში, საკუთარ ბაზაზე ემზადებიან.

ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ შეკრებაზე არ გასულა, მაგრამ მცხეთის „არმაზს“ დღეში ორჯერ აკითხავს და გამალებით ემზადება. ძირითადი შემადგენლობის ოთხი წევრი მელქაძე, ნოზაძე, საჯაია და დიღმელაშვილი ხურცილავას ახლავს ფერმოში.

ტრავმა არც ერთ ვიტელს არ აწუხებს, დისკვალიფიცირებულიც არავინაა. „ვიტ ჯორჯიას“ ბულგარეთიდან კაპიტანი და გამთამაშებელი გიორგი ყიფიანი დაუბრუნდა, არადა, ის უკვე ნეფტოხიმიკელი გვეგონა. კლუბებს შორის შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ თავად გიორგიმ იუარა ბულგარეთში დიდი ხნით დარჩენა და ახლა კაპიტანი მცხეთაში ვარჯიშობს.

ეროვნული ჩემპიონატის ათწლიანი ისტორიის ვერც ერთ მონაკვეთში ვერ იხილავთ მსგავს შემთხვევას — თბილისის „დინამოს“, ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდს, ერთი ფეხბურთელიც არ ჰყავს ეროვნულ ნაკრებში.

მოყუჩებულა „დინამო“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, ვარჯიშობს ყოველდღე. მართალია, უმწვრთნელოდ, მაგრამ მაინც ოფლს ღვრიან ბიჭები. გოჩა ტყებუჩავას და ნიკა ჩხეიძეს რევაზ არველაძის გარეშე უწევთ გუნდის მომზადება. უფროსი არველაძე კი დღეს ანკონაში ეროვნული გუნდის თამაშს მიადევნებს თვალს.

ხურცილავასთან კი სულ ორად ორი დინამოელია — რევაზ ქემოკლიძე და გიორგი შაშიაშვილი.

„მერანი“ მართლა აღარ ხუმრობს. კლუბის ხელმძღვანელებმა ერთი კარგი უკრაინელი ანდრეი მუხინი ხომ ჩამოიყვანეს, მერე მეორეს, ნიკოლაი პოდლესნის დააჭაშნიკებინეს ეროვნული ჩემპიონატი, ახლა ვიღაც მესამე მოგვყავსო, გვითხრეს „მერანის“ აქაურმა ხელმძღვანელებმა. მართალია, მესამე ახალწვეულის ვინაობა ჯერ ვერ თქვეს, მაგრამ ჩამოვა და გავიგებთ.

სერგო გაბელაიამ სოსო დევიძე ახალგაზრდულ ნაკრებს დაუთმო, თავად კი დღეში ორჯერ სიქას აცლის ფეხბურთელებს. ავჭალელები იქადნებიან, ცოტაც გვადროვეთ და ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენთო.

სოსო ფილიამ „კოლხეთი“ თავისებურად მოათვინიერა და ახლა ყვავილნარში ჰყავს შეკრებაზე. ფოთელები ამხანაგურ მატჩებსაც თამაშობენ და დღეში ორჯერაც ვარჯიშობენ. „კოლხეთი“ ის გუნდია, რომელსაც არც ეროვნულში მოუვლენია მოთამაშე და არც ახალგაზრდულში. ფილიას ეს ხელს უნდა აძლევდეს, მწვრთნელს მთლიან კონტინგენტთან მშვიდად შეუძლია მუშაობა.

ისევ უმწვრთნელოა „ბათუმი“, ეროვნულში და ახალგაზრდულში ფეხბურთელი არ გაუშვია (არავის მოუთხოვია და იმიტომ), გონიოში გადაბარგებულან და ჩემპიონატის მერვე ტურისთვის იქ ემზადებიან. იტალიაში გაქცეული ჯანი კარნევალი კი ქართულ დელეგაციას დახვდა, ნაცნობები მოიკითხა, დღეს თანამემამულეებს უქომაგებს.

რუსთავის „გორდა“ ჩუმადაა, თავისთვის. „ფოლადზე“ ვარჯიშობენ ალადაშვილის ბიჭები, ტრავმებს იშუშებენ და ახალი მოთამაშეებით ძლიერდებიან. არა, „გორდა“ კიდევ ბევრს გაამწარებს ეროვნულ ჩემპიონატში. ბიძინა ივეჩიანი კი ისევ არ გამოჩენილა. ისე, გუნდიდან თვითნებურად წასულ თავდამსხმელზე თითქმის არც არავინ დარდობს, გუნდის თავკაცების საფიქრალი ეგაა მხოლოდ — ივეჩიანს გუნდის ფორმა გაჰყვა და მთლიანი კომპლექტიც ნაკლული დაგვირჩაო.

ორკვირიანი შუალედის დიდი იმედი ჰქონდა თსუ-ს მწვრთნელ თენგიზ კაციას. შესვენებას ნაყოფიერად გამოვიყენებთო, მაგრამ ებრალიძე ახალგაზრდულმა წაიყვანა, კიდევ სამიოდ სტუდენტი შოთა ჭეიშვილმა გაიყოლა შეკრებაზე.

თსუ დარჩენილი კონტინგენტით ემზადება, თანაც მწვრთნელს ტრავმირებულებიც ნელ-ნელა უბრუნდებიან და მერვე ტურს სრულიად ჯანმრთელი შევხვდებითო, თქვეს. მიხეილ მესხმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და ყველა პრობლემაც ამით ამოიწურა.

გორის „დილა“ კრიზისიდან თავის დაღწევის გზებს დაეძებს და ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენება მისწრება გახლდათ გორელებისთვის. მეკარე სოლოლაშვილი საბოლოოდ მოირჩენს ნატკენ მხარს, სეზონის წინ ახალშემატებული მოთამაშეებიც უფრო გაშინაურდებიან, მწვრთნელებიც რაღაცას მოიფიქრებენ, მაგრამ რას მოუხერხებენ და როგორ მოუვლიან თაობათა ცვლის მეტად მტკივნეულ პროცესს, გაუგებარია. „დილა“ გორშივე ვარჯიშობს დღეში ორჯერ და „დინამოს“ მოელის.

ბოლნისური „სიონის“ შემადგენლობას რომ გადახედავთ, ურიგო გუნდად არ მოგეჩვენებათ, მაგრამ რაღაც ვერ აეწყვნენ არჩვაძის ბიჭები. „სიონის“ კაპიტანმა დრო იხელთა და ოპერაცია გაიკეთა, ალბათ, გუნდს მეორე წრიდანვე დაეხმარება. დანარჩენები ჯანზე არიან.

„იბერია“ ისევ კარდაკარ დაიარება. ჯერ უცნობია, სად დაუხვდება „ტორპედოს“. ტრავმირებული არავინაა, ემზადებიან ქვიშხეთში, სად ისვენებენ, არ ვიცით. დღეები კი ერთმანეთს ენაცვლება, პრობლემებს ბოლო არ უჩანს.

დავიცადოთ კიდევ სამი დღე, მერე ეროვნული ჩემპიონატი განახლდება და მაშინ გამოჩნდება, ორმა კვირამ ვის რა არგო. ახლა ყველა ამბობს, კარგად ვართ, ვემზადებითო. ვნახოთ, ფიცი და ბოლო სამ დღეში ყველაფერს გამოაჩენს.

**მამუკა კვანტალიანი**

# შეიცან თავი შენი

## ვაკეში სპორტულ შესაძლებლობათა ზღვარია

**კარგი** გუნდი (საფეხბურთო, სარაგბო თუ საკალათბურთო), გამოჩენილი მძლეოსანი ან მოცურავე... მსოფლიოში ასეთებს რა გამოლევს. უცხოელებიც ტკბებიან გამარჯვებებით, არ დაელევათ სიხარულის საბაბი.

სპორტის ნებისმიერ სახეობაში ნამდვილი პროფესიონალის აღსაზრდელად საჭიროა კარგი მწვრთნელი, ნორმალური საწვრთნელი პირობები, სწორი კვება და ასე შემდეგ. მრავალ კომპონენტთაგან ერთ-ერთი და უმთავრესი სპორტსმენის ფიზიკური განვითარების დონის დადგენა, მისი ფუნქციური მდგომარეობის განსაზღვრა და ჯანმრთელობის შემოწმება გახლავთ. სხვაგვარად ამას ფუნქციურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევა ჰქვია და უცხოელებს უმაღლეს დონეზე აქვთ აყვანილი.

უამრავი ბავშვი დადის ფეხბურთზე, რაგბიზე და კალათბურთზე და დარწმუნებული ვარ, თითქმის არც ერთის მწვრთნელმა არ იცის თავისი შეგირდის ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარი. არადა, მრავალი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფაქტორია გასათვალისწინებელი. მოზარდის ორგანიზმი ძალიან სათუთია და ადრეულ ასაკში დაშვებული შეცდომა, მერე თითქმის გამოუსწორებელი ხდება.

ჩვენი მოქმედი და მომავალი ფეხბურთელები, რაგბისტები, კალათბურთელები, მძლეოსნები თუ მოჭიდავეები წელიწადში ერთხელ, დიდი-დიდი ორჯერ სამედიცინო შემოწმებას გადიან, მაგრამ ეს არასაკმარისია დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით. ჯანმრთელობის შემოწმება, ფიზიკური განვითარების დონის დადგენა და ფუნქციური მდგომარეობის განსაზღვრა აუცილებელია.

თუ ფეხბურთელს, კალათბურთელს, რაგბისტს და ასე შემდეგ აინტერესებს თავისი ფიზიკური შესაძლებლობების საზღვარი, თუ გსურთ შეიტყოთ, რამდენი ძალგიძთ ივარჯიშოთ, ან შეიძლება თუ არა საერთოდ თქვენთვის დატვირთვების მიღება, მაშინ გაიარეთ ვაკეში, ირაკლი აბაშიძის 69-ში თანამედროვე უახლესი აპარატურით აღჭურვილი ფუნქციურ-დიაგნოსტიკური ცენტრი მოგემსახურებათ. მოზარდებს სპორტის სახეობების სწორად შერჩევაშიც ეხმარებიან და არც სხვადასხვა სახის რჩევა-დარიგებას დაამადლიან.

ფასები მაქსიმალურად მისაღებია და არც გარკვეულ შეღავათებზე გეტყვიან უარს. ფუნქციურ-დიაგნოსტიკურ ცენტრში არსებული აპარატურა მსუბუქი ავტომანქანის საბარგულშიც მოთავსდება, ამიტომ ცენტრის ხელმძღვანელებს რაიონებში გასვლაც არ უჭირთ და მზად არიან, თავიანთი გამოცდილება ადგილზევე გაუზიარონ მსურველებს.

...ვალერი ახალკაცი და თამაზ ყარყარაშვილი ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სპორტული მედიცინის განხრით, 1988 წელს მოეწყვნენ. ისწავლეს, იწვალეს და უკან დაბრუნებისთანავე ფუნქციურ-დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნის იდეაც დაიბადა. მაშინვე ვერ მოხერხდა მისი შექმნა. დრო იყო არეული. ომმა და ქვეყანაში არსებულმა განუკითხაობამ რამდენიმე წელი წაიღო.

მერე იაპონელი მეგობრების დახმარებით იდეას ხორციც შეესხა. იაპონელმა ოსავამ უახლესი აპარატურა და დახმარება არ დააკლო, აკადემიკოსმა დიმიტრი წვერავამ კონსულტაციები არ დაიშურა და ცენტრმაც მუშაობა დაიწყო.

ფეხბურთის ფედერაციის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტმა უკვე გამოთქვა ფუნქციურ-დიაგნოსტიკურ ცენტრთან თანამშრომლობის სურვილი. რამდენიმე უმაღლესლიგელმაც შეაღო ცენტრის კარი. ჯერჯერობით ყველა კმაყოფილია, ალბათ, შედეგიც იქნება.

დადგენილია, ტურინის „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი ერთ მატჩში საშუალოდ 4 კილომეტრს დარბის. თქვენ რამდენს შეძლებთ? მე არ ვიცი, მაგრამ ფუნქციურ დიაგნოსტიკური ცენტრი დაგეხმარებათ, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოთ.

**დათო დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროულია, დროული



სიმენს კარიერის ღირსეულად დამთავრება სურს

**ცოტა** ხანში 38 წლისა მოვიყრები. მგონი, დროა, კარიერა დავასრულო — წერს თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ კარის დარაჯი დევიდ სიმენი. ამ წიგნს „უსაფრთხო ხელები“ ჰქვია.

სიმენის შემცვლელი არსენ ვენგერის გუნდში ავსტრიელი ალექს მანინგერია. მართალია, 23 წლის მეკარე ამჟამად ტრავმირებულია, მაგრამ სეზონის ბოლომდე ალბათ გამოჯანმრთელდება. დევიდი სწორედ ამ დროისთვის აპირებს ხელთათმნის კედელზე ჩამოკიდებას. „ჩემი მეუღლე თვლის, რომ სულ ცოტა, ორი წელი კიდევ შემიძლია თამაში, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ.“

მეკარემ „ჰაიბერიზე“ კიდევ ერთი სეზონი უნდა გაატაროს, მერე მას ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი უსრულდება. „ვგრძნობ, ისე ვთამაშობ, როგორც ყოველთვის, მაგრამ მსურს, ალან შირერივით ჯერ სანაკრებო კარიერა დავასრულო, შემდეგ კი კლუბს გამოვეთხოვო“ — დასძინა დევიდმა.

ადრეც გაუწყეთ, რომ არსენ ვენგერმა „ფეიენოორდის“ პოლონელი მეკარე იერჟი დუდეკი შეიგულა და მის გადაბირებას ცდილობს. ინგლისის ნაკრებში კი მეორე მეკარედ ლიდსელი ნაიჯელ მარტინი ითვლება. მოკლედ ასეა, კლუბში სიმენს მანინგერი ან დუდეკი, ხოლო ნაკრებში ალბათ მარტინი შეცვლის.

# ხილი ჩააყუდეს!



**გუშინ** ესპანურმა სასამართლომ მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ხესუს ხილს განაჩენი გამოუტანა: ექვსთვიანი პატიმრობა, მილიონი პესეტა (ხუთი ათასი დოლარი) ჯარიმა და 28 წლით არჩევით თანამდებობაზე მუშაობის აკრძალვა.

ხილმა კიდევ ადვილად დაიძვრინა თავი — პროკურორის წაყენებული ყველა ბრალდება რომ დამტკიცებულიყო, მინიმუმ 29-წლიანი პატიმრობა არ ასცდებოდა. პროკურორი 3 მილიონ დოლარ ჯარიმას და არჩევითი თანამდებობებიდან 74-წლიან მოკვეთასაც ითხოვდა.

ხილს ერთადერთი ბრალდება დაუმტკიცდა — ფინანსური ფონდების არადანიშნულებისამებრ გამოყენება და სასჯელიც ამის შესაბამისად მიიღო.

ისე, ერთი პუნქტი ღიმილს იწვევს — ასაკოვანი კაცისთვის რა მნიშვნელობა აქვს, 28 წლით აუკრძალავ მუშაობას თუ 74-ით?

# უეფას ვერაფერს გამოაპარებ

**ზინედინ ზიდანს** ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ორი ტურის გამოტოვება მოუწევს — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი უეფამ „დეპორტივოსთან“ მატჩში ჩადენილი უხეშობისთვის დასაჯა. შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონი“ ჩემპიონთა ლიგის ეგიდით 18 ოქტომბერს ლაკორუნიელებს ესტუმრება, 24 ოქტომბერს კი „ჰამბურგთან“ უწევს თამაში — ორივე მატჩს ზიდანი გამოტოვებს და გუნდს პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში „პანათინაიკოსთან“ დაუბრუნდება.

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა „ფიორენტინას“ მწვრთნელი ფათიჰ თერიმიც დასაჯა. თურქი სპეციალისტი გუნდს სამწვრთნელო სკამიდან ევროთასების სამ მატჩში ვერ უხელმძღვანელებს. ინსბრუკის „ტიროლთან“ შეხვედრის დროს მწვრთნელი უეფას ოფიციალურ დელეგატს შეეკამათა, რაც არ აპატიეს. ისიც გავიხსენოთ, რომ ფლორენციული კლუბი უეფას თასიდან გამოვარდა. ამრიგად, თერიმს დისკვალიფიკაცია მომდევნო სეზონში გადაჰყვება.

ევროპული ფეხბურთის მმართველმა ფულადი ჯარიმები კლუბებსაც დააკისრა. მათ შორის ერთდროულად სამ ესპანურ კლუბს მოუწევს უეფას სალაროს გამდიდრება.

26 სექტემბერს „ბარსელონასა“ და „მილანის“ მატჩის დროს „კამპ ნოუზე“ შეკრებილმა ფანთა ჯგუფმა იხულიგნა. ეს, აბა, უეფას როგორ გამოეპარებოდა — კატალონიის სიამაყე 13 ათას დოლარს გაიღებს.

„სარაგოსა“ და „რაიო ვალეკანო“ უეფას თასზე თამაშობდნენ. მავან ქომაგთა უმსგავსო საქციელს ვერც ისინი გადაურჩნენ და ახლა თვითოეულს 2600 დოლარის გადახდა მოუწევს. სარაგოსელებმა კრაკოვის „ვისლასთან“ დათმეს ორთაბრძოლა და ევროთასებს მილმა დარჩნენ. თანაც საპასუხო მატჩში ოთხი გაფრთხილება მიიღეს.

ხუთმა რაიოელმა იხილა ყვითელი ფერის ბარათი „მოლდესთან“ მატჩში, მადრიდულმა კლუბმა კი რთულ ორთაბრძოლაში ნორვეგიული ბარიერი დაძლია.

22,5 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს „ცრვენა ზვეზდას“. ქომაგებმა, რომლებიც გუნდს ვენაში ჩაჰყვნენ ნეიტრალურ სტადიონზე „ლესტერთან“ შეხვედრაზე დასასწრებად, წესრიგი დაარღვიეს. ზუსტად ამდენივე თანხით გალარიბდება სლოვაკური „კოშიცეც“. ისიც უეფას თასზე „გრაცერთან“ მატჩში დაალალატეს მაყურებლებმა. ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ კი ჩემპიონთა ლიგის ორ შეხვედრაში გულშემატკივართა უმსგავსო საქციელი 28 ათასი დოლარი დაუჯდა.

# მაკა მძიმე ტვირთია

**ბევრი** იფიქრა თუ ცოტა, მადრიდის „რეალმა“ საბოლოოდ განაცხადა — ინგლისელი სტივ მაკმანამანი, ვის გარშემოც ამ ზაფხულს დიდი ხმაური იყო, იყიდება. მადრიდელთა ეს გადაწყვეტილება მთლიანად გუნდის ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება, ყოველ შემთხვევაში, თავად „რეალის“ ხელმძღვანელობა თავის ნაბიჯს ამ ფაქტორით ხსნის.

მოგეხსენებათ, „სამეფო კლუბს“ 300 მილიონ დოლარამდე ვალი აწევს. ჰოდა, გუნდის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმაც — მაკმანამანი უფრო გვამძიმებს, ძირითადში მაინც ვერ ხვდებაო — მისი გაყიდვა გადაწყვიტა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ მაკას გაყიდვა, გეხსომებათ, ამ ზაფხულსაც დააპირა. მაშინ თავად ფეხბურთელმა იუარა წასვლა — თავს მადრიდშიც მშვენივრად ვგრძნობ, მზად ვარ, გუნდში დავრჩე და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად ვიბრძოლოო. მწვრთნელს და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ყველაფერი აგვისტოში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულმა „რეალი“ — „სანტოსის“ ამხანაგურმა მატჩმა გადაწყვიტა. იმ შეხვედრაში მაკმანამანი შეცვლაზე გამოვიდა და... ბურთთან მის ყოველ შეხებას „რეალის“ ქომაგთა მქუხარე ტაში მოსდევდა. ამის შემხედვარე დელ ბოსკეც უმალ მოლბა. მართლა ეგრე კი არ არის საქმე, ჩვენ ვხედავთ სტივის ერთგულებას და თავის გამოჩენის შანსს მივცემთო, თქვა მაშინ მწვრთნელმა.

ახლა კი საქმე ისევ მოტრიალდა. „რეალმა“ მაკმანამანთან დაშორება საბოლოოდ გადაწყვიტა და ინგლისურ „ლიდს იუნაიტედს“ შესაბამისი წინადადებითაც მიმართა — 8,7 მილიონი დოლარი მე და სტივ მაკმანამანი შენო.

8,7 მილიონი დოლარი ნაკრების 28 წლის ნახევარმცველში, დღევანდელი ფასების შემხედვარე, დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტაა, მაგრამ ამის მიუხედავად, ლიდსელებს უმალ ჯიბეზე ხელი არ გაუკრავთ. არ გეგონოთ, მაკას ფასი ისე დაეცა, „ლიდსს“ აღნიშნული ფასი ეძვიროს. უბრალოდ, პრემიერლიგური კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელის ხელფასზე ფიქრობს. მაკმანამანის ხელფასი „რეალში“ კვირაში 94 ათასი ამერიკული დოლარია, რაც ორჯერ აღემატება იმ თანხას, რომელსაც „ლიდსის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები იღებენ. ლიდსელებიც იმაზე მსჯელობენ, უღირთ თუ არა ამხელა ხელფასის გადახდა.

რაც შეეხება თავად მაკმანამანს, იგი ამ ზაფხულს ინგლისში დაბრუნების სასტიკი წინააღმდეგი იყო, „რეალში“ დარჩენისთვის ყველანაირად იბრძოდა, მაგრამ უკვე მიხვდა, რომ გუნდში ფეხს ვერ მოიკიდებს და რაღა დარჩენია...

ვიდრე მაკმანამანის ამბავი გაირკვევა, ჩემპიონთა ლიგაც მოახლოვდა. 17 ოქტომბერს მადრიდელები „ლევერკუზენს“ მასპინძლობენ. ამ მატჩს „რეალი“ ძველი თავდასხმით შეხვდება. გუნდის ექიმის ალფონსო დელ კორალის თქმით, ფერნანდო მორიენტესი ტრავმისგან სრულად განიკურნა და იმ მატჩში თამაშსაც შეძლებს. შეგახსენებთ, მადრიდელმა ფეხი სამი კვირის წინ იტკინა და ამდენ ხანს უსაქმოდ იყო. მორიენტესის გამოჯანმრთელებამ „რეალს“ მართლაც რომ სულზე მოუსწრო — „ლევერკუზენის“ შემდეგ მადრიდელებს ესპანეთის ჩემპიონატის უმთავრესი მატჩი ელით: 22 ოქტომბერს „ბარსელონასთან“.

**ვანო ოქროპირიძე**

# სენტ ეტიენიდან წასული ტულუზის გადარჩენას შეეცდება

**რობერ ნუზარე**, რომელიც „სენტ ეტიენის“ მწვრთნელის პოსტიდან რამდენიმე დღის წინ დაითხოვეს, ამიერიდან „ტულუზს“ უთავკაცებს. ისე მოხდა, რომ ტულუზური კლუბის ხელმძღვანელის სავარძელი დროებით ცარიელი იყო, მას შემდეგ, რაც იგი ალენ ჟირესმა დატოვა. ნუზარეს ბევრი არ უფიქრია, ორშაბათს „ტულუზის“ მესვეურთა შეთავაზებას დათანხმდა, თანაც უქმეები კლუბის ფეხბურთელებთან ერთად საწვრთნელ ბაზაზე გაატარა.

ნუზარემ გუნდი მხოლოდ სეზონის ბოლომდე ჩაიბარა, თუმცა თუ მას მეორე დივიზიონში დაქვეითებისგან იხსნის, მაშინ ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. არადა, ეს ამოცანა ერთობ რთული შესასრულებელია — „ტულუზმა“ 10 თამაშში მხოლოდ 6 ქულა დააგროვა.

„სასწრაფოდ ახალი ძალა და სისხლი გვჭირდება, რათა გუნდი გავარდნას გადავარჩინოთ“ — განაცხადა ნუზარემ, რომელსაც პირველი გამოცდის ჩაბარება ლიონში ელის — მისი გუნდი პარასკევს იქაურ „ოლიმპიკს“ ხვდება. აღვნიშნოთ, რომ ამ სპეციალისტს ლიონურ კლუბში ნახევარმცველად უთამაშია, კარიერის მანძილზე კი „ბორდოს“, „მონპელიესა“ და „გენიონის“ ღირსებაც დაუცავს.

რობერ ნუზარე საფრანგეთში ერთ-ერთ გამოცდილ მწვრთნელადაც ითვლება. იგი „ორლეანს“, „მონპელიეს“, „ლიონსა“ და „კანს“ ავარჯიშებდა, ერთი ხანობა კი აფრიკაში, კოტ დივუარის ნაკრების თავკაცადაც მუშაობდა.

# ეს რა უბედურებაა



პეტი უდოპინგოდ ვეღარ ძლებს

**საფრანგეთის** ეროვნული გუნდისა და ესპანური „ბარსელონას“ ნახევარმცველ ემანუელ პეტის მოთმინების ფიალა აევსო და აღშფოთებულმა თქვა: „დღეს პროფესიონალ ფეხბურთელებს მაქსიმალურ მოთხოვნებს გვიყენებენ, გადაჭარბებულსაც კი. ბოლო ორ თვეში მხოლოდ ერთი დასვენების დღე მქონდა. ვერც ერთი სპორტსმენი ვერ შეძლებს ორი დღის შუალედით, ყოველ მესამე დღეს თამაშს თუ...“

ეს წინადადება პეტიმ ისეთი სიტყვებით დაასრულა, იქნებ მომავალში მწარედაც ინანოს. ფრანგს, ამიერიდან, ალბათ, ხშირად ვიხილავთ ისეთ ვითარებაში, როგორშიც დიეგო მარადონა იყო, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიასთან მატჩის შემდეგ. გემახსოვრებათ, მაშინ მარადონას ექიმებმა მინდორზევე ხელკავი გამოსდეს და დოპინგის ტესტირებაზე წაიყვანეს. პეტის კი იგივე მდგომარეობაში იმიტომ აღმოჩნდება, რომ მან ზემოთ დაწყებული წინადადება ამგვარად დასრულდა — თუ დოპინგი არ მიიღოო.

პეტი მხოლოდ ამას არ დასჯერდა, ადგა და განავრცო — სულაც არ მინდა სხვადასხვაგვარი სტიმულატორის გამოყენება, მაგრამ რა ვქნა, თანამედროვე სპორტი სწორედ ამისკენ მიბიძგებსო. მოკლედ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ყველაფერში გადატვირთული საფეხბურთო კალენდარი დაადანაშაულა.

პეტის თანამემამულემ, ინგლისურ „ჩელსიში“ მოთამაშე ფრანკ ლებეფმაც აუბა მხარი. „ეს რა უბედურებაა, პარიზში კამერუნის ნაკრებთან გამართული მატჩიდან სამ დღეში ასეთი დამღლელი მოგზაურობა გვქონდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. კიდევ კარგი, ჩემი კლუბის ახლანდელი თავკაცი კლაუდიო რანიერი გაგებით მოეკიდა ყველაფერს და ორდღიანი დასვენების უფლება მომცა, მაგრამ საქმე მარტო ჩემში როდია. მე ჯანდაბას, 32 წლის ვარ და სადაცაა კარიერას დავასრულებ, მაგრამ ახალგაზრდებზე არ ფიქრობენ? ასეთ ტემპში მაქსიმუმ ხუთი-ექვსი წელი ითამაშონ, მეტს ვერ გაუძლებენ“ — ასე გამოხატა უკმაყოფილება ლებეფმა.

აღსანიშნავია, რომ გადატვირთულ კალენდარზე ბოლო დროს სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ ფეხბურთელები. ყველა უკმაყოფილოა, ამიტომაცაა, რომ ზოგი ნაკრებში თამაშს უარობს და ზოგიც...

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პირველდივიზიონელმა „ფულემმა“, რომელმაც ჩემპიონატი ძლიერად დაიწყო და ახლა ცხრილის სათავეშია, „ბორდოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველი ნიკოლა სანიონი გადაიბირა. ლონდონური კლუბის თავკაცმა ჟან ტიგანამ 20 წლის ფეხბურთელი „ფულემისა“ და „ბორდოს“ ამხანაგური მატჩის დროს მოიწონა. სანიონს ფრანგულ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და „ფულემში“ ერთი წლით გაანათხოვრეს.

**რუმინელმა ფორვარდმა ადრიან ილიემ ტრავმის გამო სამშაბათს ვარჯიში შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს „ვალენსიას“ რიგებში ამ სეზონში არ უთამაშია. მან ტრავმა ექვსი კვირის წინ მიიღო. კლუბის ექიმები იმედოვნებენ, რომ რუმინელი პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში გამოჩნდება მინდორზე, როცა ვალენსიელები „ვილიარეალს“ შეხვდებიან.**

**ფრანგ** ლუის ფერნანდესს „სარაგოსას“ ხელმძღვანელობა მწვრთნელობას სთავაზობდა, მან კი ორი კვირა მოსაფიქრებელი ვადა ითხოვა. „სარაგოსას“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ პასუხს ასე სწრაფად ვერ ვიტყვი“ — განაცხადა ფერნანდესმა. შეგახსენებთ, რომ კლუბის თავკაცის სავარძელი ცოტა ხნის წინ ხუან მანუელ ლილომ დატოვა. ვაკანტურ პოსტზე იუპ ჰაინკესს იწვევდნენ, მაგრამ გერმანელმა უარი განაცხადა.

**იტალიურმა „ინტერმა“ „ლაციოს“ კლარენს ზეედორფი შესთავაზა და სანაცვლოდ მარსელო სალასი და პაოლო ნეგრო სთხოვა. გავიხსენოთ, რომ „ლაციო“ ჩილელი ფორვარდის გაყიდვას არაერთხელ აპირებდა, მსურველებიც მრავლად იყვნენ — „რეალი“, „იუვენტუსი“, „მილანი“, „არსენალი“. ზეედორფი კი „ინტერში“ წლის დასაწყისში მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა. როგორც იტალიური სააგენტოები იუწყებიან, იგი მილანსაც მალე დატოვებს.**

**ბელგიელი** ფორვარდი ჟილ დე ბილდე „შეფილდ უენსდიდან“ „ასტონ ვილაში“ გაანათხოვრეს, თუმც ჯერჯერობით მხოლოდ ორი თვით. არ არის გამორიცხული, ბირმინგემულმა კლუბმა ფეხბურთელი უფრო მეტი ხნით დაიტოვოს. „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელობა ლუკ ნილისის შემცვლელს ეძებს, რომელმაც წინა თვეში ტრავმა მიიღო და სათანადოდ ჯერაც ვერ მომჯობინდა. დე ბილდე „უენსდიში“ ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენიდან“ 3 მილიონ გირვანქად გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ევროპა. 11 ოქტომბერი

**არა ბექჰემი, არა კაპიტანი, არა მწვრთნელი და არა ქულა. კიდევ ის, რომ არავის სურს მისი მწვრთნელობა. ასეთია დღესდღეობით ინგლისის ნაკრები, რომელსაც ფინური გამოცდა ელის.**

**რა მოხდებოდა, ევრო 2000-ზე ჰოლანდიელებს ტოლდოს კარში ერთი პენალტი რომ გაეტანათ, ხოლო აბელ შავიერს ფრანგებთან მატჩში ბურთი ხელზე არ მოხვედროდა? რა, და ფინალში, როტერდამში, ერთმანეთს ალბათ ჰოლანდია და პორტუგალია შეხვდებოდნენ.**

**ეს მატჩი როტერდამში ამ საღამოს გაიმართება... დღეს 21 შესარჩევი მატჩია.**

## I ჯგუფი

### სლოვენია — შვეიცარია

ლიუბლიანა 23.15

მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)

### რუსეთი — ლუქსემბურგი

მოსკოვი 20.00

მსაჯი: ჯონ ფერი (ჩრდ. ირლანდია)

**შაბათს** რუსებმა იძულებით გამოტოვეს იუგოსლავიასთან მატჩი. პოლიტიკური არეულობის გამო ამ თამაშის აპრილში გადადებამ რომანცევი და მისი გუნდი რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ჯერ ერთი, რუსეთის ნაკრები ოქტომბერში ტრადიციულად კარგად თამაშობს. მეორეც — რომანცევის თქმით, შაბათისთვის მთავარ კონკურენტთან სათამაშოდ ფეხბურთელები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჩინებულად იყვნენ მზად. ახლა კი რა იქნება, არავინ იცის. ქვეყნის საფეხბურთო კავშირის მამები რომ გალანძღეს, ეტყობა გულზე მოეშვათ და სხვა რაღა გზა ჰქონდათ, ლუქსემბურგთან დღევანდელი შეხვედრისთვის მზადება გააგრძელეს.

თითქოს რუსებს მოგება არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ მოთამაშეები მაინც ფრთხილობენ: „მთავარია, მალე გავიტანოთ. კარგად ვიცით, რომ ლუქსემბურგის მსგავსი გუნდები პირველ გოლამდე იბრძვიან, მერე კი ტყდებიან. თუნდაც გასული შაბათის კვიპროს-ჰოლანდიის მატჩი გავიხსენოთ. კვიპროსელებმა 69-ე წუთამდე გაძლეს, მერე გოლი გაუშვეს და ჯამში 0:4 წააგეს. თუ სწრაფი ბურთის გატანა გინდა, მინდორზეც სწრაფად უნდა იაზროვნო. სხვაგვარად არაფერი გამოვა" — აი, ასე ფიქრობს ესპანური „სელტას" ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი, რომელსაც ქუსლის ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, დღეს ვერც ითამაშოს.

„შარშან ანდორასთან ძალიან გაგვიჭირდა. იოლად მოგებას ვფიქრობდით, მაგრამ... ამიტომ ლუქსემბურგთანაც ყურადღებით და დიდი მონდომებით უნდა ვითამაშოთ" — ამბობს მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი ეგორ ტიტოვი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## II ჯგუფი

### ირლანდია — ესტონეთი

დუბლინი 23.30

მსაჯი: ტერი ჰუგი (ნორვეგია)

### ჰოლანდია — პორტუგალია

როტერდამი 23.30

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

რა აქვთ საერთო ჰოლანდიასა და პორტუგალიას? ერთი ის, რომ ორივე ევრო 2000-ის დამარცხებული ნახევარფინალისტია და მეორეც ის, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევში, რომელიც ერთი თვის დაწყებულია, ერთმაც და მეორემაც შინ ირლანდიასთან ფრედ ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერ მოიგო.

დიახ, მათ ევროპის პირველობაზე ფინალის მასპინძელ ქალაქში, როტერდამში ჩასვლა ვერ მოახერხეს, მაგრამ დანაკლისს დღეს საღამოს „აინაზღაურებენ" — მეორე შესარჩევი ჯგუფის მთავარი მატჩი „ფეიენოორდის" სტადიონზე გაიმართება.

მართალია, დღევანდელი მოწინააღმდეგენი თეორიულად იყვნენ და რჩებიან ჯგუფის ფავორიტებად, მაგრამ ირლანდიასაც თუ არ დაივიწყებენ, მათთვისვე იქნება უკეთესი.

ამ საღამოს მილანის „ინტერის" ფეხბურთელი კლარენს ზეედორფი, ალბათ, სასტარტო შემადგენლობაში მოხვდება. ამას ის ორი გოლი გვაფიქრებინებს, ზეედორფმა კვიპროსელთა კარში, მატჩში გვიან ჩართულმა რომ გაიტანა. მისი ძირითადი ამოცანა კი, ბუნებრივია, შეტევის დროს პატრიკ კლუივერტის პასებით მომარაგება იქნება. მოსალოდნელი იყო, რომ მწვრთნელი ლუის ვან გაალი მარჯვენა ფრთაზე რონალდ დე ბურს განამწესებდა, ვინაიდან ჯეფრი ტალანმა წინა შეხვედრაში იმედი ვერ გაუმართლა, მაგრამ გუშინდელ ვარჯიშზე რეინჯერსელმა ტრავმა მიიღო და ალბათ ამ თამაშს გამოტოვებს.

რაც შეეხება რონალდ დე ბურის ძმას, ფრანკს, იგი ძველებურად დაცვის ცენტრში იმოქმედებს, ოღონდ გვერდით ჩვეულ პარტნიორს, იაპ სტამს ვერ იგულებს, რის გამოც მეტად გაუჭირდება, მაგრამ ვგონებთ, სიხარულის მიზეზი მაინც მიეცემა: ამ საღამოს შემდეგ იგი ეროვნულ გუნდში ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობით აარონ ვინტერის ტოლ-სწორი იქნება. შეგახსენებთ, რომ ვინტერმა თავისი 84-ე მატჩი ნარინჯისფერი მაისურით ევრო 2000-ის ნახევარფინალში, იტალიასთან ითამაშა და სანაკრებო ფეხბურთს დაემშვიდობა კიდეც.

ახლა სტუმრებზე შევჩერდეთ. მათი მწვრთნელი ანტონიუ ოლივეირა, მისი ბანაკიდან გამოსულ ხმათა თანახმად, წინა ხაზში ცვლილებებს ამზადებს. კერძოდ, მთავარ თავდამსხმელად პორტუგალიელებს „ბორდოში" მოთამაშე პედრო პაულეტა ეყოლებათ, ხოლო რიკარდუ ზა პინტუ, რომელმაც ცენტრფორვარდობას თავი ვერ გაართვა, სკამზე დაჯდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ოლივეირა, ორი თუ სამი წლის წინანდელისგან განსხვავებით, ზა პინტუს ალიყურს გადაურჩება.

ერთი ცვლილებაც დაცვის მარჯვენა ფრთაზეა მოსალოდნელი. იქ თუ პორტუელი კარლუშ სეკრეტარიუ გამოჩნდება, მაშინ პორტუგალიელთა დაცვა უფრო შემტევ თვისებებს შეიძენს.

— პორტუგალიას ყველას დამარცხება შეუძლია, გნებავთ შინ და გნებავთ სტუმრად, მაგრამ საამისოდ მოთმინება და შთაგონებაა საჭირო — ბრძანა სტუმართა მწვრთნელმა.

თავისი აზრი გამოთქვა მადრიდის „რეალის" ვარსკვლავმა ლუიშ ფიგუმაც. მისი თქმით პორტუგალიელებს ჰოლანდიელთა შესრულებით უფრო ღია ფეხბურთი ეამებათ.

*სავარაუდო შემადგენლობები*

*ჰოლანდია: ვან დერ სარი; ბოსველტი, რაიციგერი, ფ. დე ბური; ნუმანი, კოკუ ტალანი, დავიდსი, ზეედორფი; კლუივერტი, ოვერმარსი*

*პორტუგალია: კიმი; სეკრეტარიუ, დიმაში, ფერნანდუ კოუტუ ჟორჟე კოშტა; ვიდიგალი, სერჟიუ კონსეისაუ, ფიგუ, რუი კოშტა; ჟოაუ პინტუ, პაულეტა*

ამრიგად, როტერდამში ჯგუფის მთავარი მატჩია, მაგრამ აკი ზევითაც მოგახსენეთ, რომ ლიდერობაზე დიდი პრეტენზია ირლანდიამაც წამოაყენა. დღეს ნიკ მაკარტის ბიჭები შინ, დუბლინში, ესტონეთს მასპინძლობენ და, დაგვეთანხმებით, დიდი შანსია, სამი ქულა მიითვალონ.

მაკარტის ორშაბათის ვარჯიშზე საგანგებო პატივით დასვენების უფლება პორტუგალიაში წაგებისგან მხსნელი მეტ ჰოლანდისთვის მიუცია.

— ესტონეთს კარგად ორგანიზებული, ერთსულოვანი გუნდი ჰყავს, რომელიც, ალბათ, დაცვით ტაქტიკას აირჩევს და ამიტომ მათი სხარტი თავდამსხმელებისკენ მთელი გულისყურით უნდა ვიყოთ. აშკარა საფრთხე ჯარიმებისა და კუთხურების დროს გვემუქრება, რადგან სიმაღლეში, ვგონებ, ცოტა უპირატესობა აქვთ. ერთი სიტყვით, ვიცი, რომ ესტონეთის ნაკრები წასაგებად არ ჩამოდის — ბრძანა ირლანდიელთა თავკაცმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:7 | 3 |
| ირლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |




კვიპროსთან დუბლის გამტანი ზეედორფი (№14) დღეს ძირითადში იქნება

## III ჯგუფი

### მალტა — ჩეხეთი

ვალეტა 21.00

მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)

### დანია — ბულგარეთი

კოპენჰაგენი 22.15

მსაჯი: ოგიუზ სარვენი (თურქეთი)

### ისლანდია — ჩრდ. ირლანდია

რეიკიავიკი 00.30

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

**ექვსი** ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი ისლანდიასთან მატჩს თავისებურ ყაიდაზე შეხვდება. გერი ტაგარტს, როი კეროლს, მარკ უილიამსს, ჯეფ უიტლის, კევინ ჰორლოკსა და ჯეიმს ქუინს რაღაც მოეპრიანათ და თამაშის წინ თმები ქერად გადაიღებეს. სწორედ ისე, რუმინელები საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მოიქცნენ და ხორვატების წინააღმდეგ ყვითელი თმებით წარსდგნენ.

ამაზე ბრიტანელთა მწვრთნელმა სემი მაკილროიმ თქვა, თავზე ორი ღერი თმა დამრჩენია, შეღებვის შანსი არ მქონდა, თორემ იქნებ მათთვის მიმებაძა.

ისე, გაინტერესებთ, რა გეგმები აქვს მაკილროის მომავალი მატჩისთვის? მაშინ თავად მას მოუსმინეთ: „როცა მარტი დადგება და „უინძორ პარკზე" ჩეხებთან თამაშის დრო მოაღწევს, მაშინ უკვე შვიდი ქულა უნდა გვქონდეს". ჩრდილოირლანდიელებს ახლა 4 ქულა აქვთ. ასე რომ, ადვილი მისახვედრია, რომ რეიკიავიკიდან ბელფასტში სამი ქულის წაღებას აპირებენ.

მწვრთნელს ძალიან ახარებს დემიენ ჯონსონის დაბრუნება, რომელმაც შაბათს დანიელებთან ტრავმის გამო ვერ ითამაშა. სულ ახლახან გაირკვა, რომ ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა და მინდორზე გასვლას ალბათ შეძლებს. „ვარჯიში დაიწყო და დიდი იმედი გვაქვს, თამაშსაც მოახერხებს" — ოპტიმიზმით აცხადებენ ექიმები.

სამაგიეროდ, ვარჯიში გამოტოვა გერი ტაგარტმა. მას მუხლი დაუზიანდა და მწვრთნელის საფიქრალი ახლა ისაა, შეძლებს თუ არა იგი მინდორზე გასვლას. არადა, საამისოდ ფეხბურთელმა თავისი თმის ფერიც კი გაიმეტა.

ორივე საწყისი მატჩის წაგებამ ისლანდიელები რთულ ვითარებაში ჩააგდო. იქაური გაზეთების აზრით, ნაკრების მწვრთნელმა ატლი ედვალდსონმა ჩეხებთან აშკარა შეცდომა დაუშვა და 0:4 წაგება ამანაც განაპირობა. იმაზეც ალაპარაკდნენ, ჩრდილოირლანდიელებთან წაგება მწვრთნელს ალბათ სავარძლის ფასად დაუჯდებაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |



REUTERS

პაველ ნედვედი: ჩეხების ვარჯიშში მალტაზე

### ურთიერთშეხვედრები

| მალტა — ჩეხეთი | | | |
|---|---|---|---|
| 31.10.84 | მ.ჩ.შ. | ჩეხეთი — მალტა | 4:0 |
| 21.04.85 | მ.ჩ.შ. | მალტა — ჩეხეთი | 0:0 |
| 06.09.94 | ე.ჩ.შ. | ჩეხეთი — მალტა | 6:1 |
| 12.10.94 | ე.ჩ.შ. | მალტა — ჩეხეთი | 0:0 |
| 18.09.86 | მ.ჩ.შ. | ჩეხეთი — მალტა | 6:0 |
| 24.09.94 | მ.ჩ.შ. | მალტა — ჩეხეთი | 0:1 |
| **დანია — ბულგარეთი** | | | |
| 11.10.71 | ე.ჩ.შ. | დანია — ბულგარეთი | 2:2 |
| 31.10.79 | ე.ჩ.შ. | ბულგარეთი — დანია | 0:3 |
| 02.11.88 | მ.ჩ.შ. | დანია — ბულგარეთი | 1:1 |
| 26.04.89 | მ.ჩ.შ. | ბულგარეთი — დანია | 0:2 |

## IV ჯგუფი

### სლოვაკეთი — შვედეთი

ბრატისლავა 23.15

მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)

### აზერბაიჯანი — თურქეთი

ბაქო 20.00

მსაჯი: ალან სნოდი (ჩრდილოეთ ირლანდია)

### მოლდოვა — მაკედონია

კიშინიოვი 22.00

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

**ცენტრალური** მატჩი, რა თქმა უნდა, ბრატისლავაში გაიმართება, სადაც ჯგუფის ლიდერად მოულოდნელად ქცეული სლოვაკები შვედებს უმასპინძლებენ. სლოვაკები ამ მატჩამდე უდანაკარგოდ მოვიდნენ, მაგრამ საეჭვოა, შვედების დამარცხება შეძლონ — სლოვაკთა მწვრთნელ იოჟეფ ადამეცს საფიქრალი არ ელევა, ლამის ნახევარი გუნდი დაშავებული ჰყავს, თანაც ნაკრებმა შაბათს უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა კიშინიოვში.

პრობლემები შვედებსაც არ აკლიათ. სოდერბერგ-ლაგერსბეკის ორხელისუფლებიანობა გვარიანად შეირყა. შვედური პრესა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მწვრთნელებს. ძირითადად მათ იმას უწუნებენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩაფლავებული ნაკრები არ გადაახალისეს. თურქეთთან საშინაო ფრემ კი კიდევ ერთი ნაპერწკალი შეჰმატა ამ საქმეს: „ან მოიგეთ ბრატისლავაში, ანაც ნაკრებიდან წადით" — ულმობელია შვედური პრესა. მწვრთნელების პრობლემას ისიც ართულებს, რომ თურქეთთან მატჩში ნიკლას ალექსანდერსონი დაშავდა. ექიმთა თქმით, მას სამი კვირით მოუწევს დასვენება. ალექსანდერსონს სავარაუდოდ სტოკჰოლმის აიკ-ის მცველი კორნელიუსონი შეცვლის.

კედელზე ბუცების ჩამოკიდება განუზრახავს მცველ რონალდ ნილსონს. მისთვის სლოვაკებთან მატჩი 115-ე იქნება სანაკრებო კარიერაში. ნილსონი 14 წელი იცავდა ქვეყნის უპირველესი გუნდის ღირსებას. „ეს თამაში უნდა მოვიგოთ, ფეხბურთს წაგებული ვერ დავტოვებ" — ამბობს ვეტერანი.

სლოვაკური გაზეთები კი თავისიანთა ექვს ქულას იმდენად აღუფრთოვანებია, რომ ფეხბურთელები ლამის გმირებად შერაცხეს, ტაბლოიდები არც გამამხნევებელ ფრაზებს იშურებენ: „თქვენ უნდა გაიმარჯვოთ, თქვენ ეს შეგიძლიათ" — მოუწოდებენ ისინი.

მოლდოვა მაკედონიას მასპინძლობს. საამმატჩოდ სრულ მზადყოფნაშია მაკედონიელთა ლიდერი და აზერბაიჯანელთა კარში ორი გოლის გამტანი გიორგი ხრისტოვი. მისი თანაგუნდელებიც ჯანმრთელად არიან, მოლდოველ რებეჯას და გაიდამაშჩუკს კი მცირე ტრავმები აწუხებთ, თუმც არც იმდენად სერიოზული, რომ ვერ ითამაშონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| თურქეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## V ჯგუფი

### პოლონეთი — უელსი

ვარშავა 23.00

მსაჯი: ლუშილიუ კორტესი (პორტუგალია)

### ბელარუსი — სომხეთი

მინსკი 20.00

მსაჯი: სორინ კორპოდინი (რუმინეთი)

### ნორვეგია — უკრაინა

ოსლო 22.00

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

შინ ნორვეგიასთან ბოლო წუთებზე გამარჯვების ხელიდან გაშვების მიუხედავად, უელსის ნაკრები ვარშავას კარგ ხასიათზე და უდანაკარგოდ ეწვია. აი, ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია კი ღელავს — პოლონეთის დედაქალაქში დაახლოებით 500 უბილეთო ბრიტანელის ჩასვლაა მოსალოდნელი. თუ გავიხსენებთ, რომ პოლონელმა ფანებმა შაბათს საკუთარ პოლიციასთან ბრძოლა გადაიტანეს, ჩხუბის და აყალმაყალის საფრთხე ამჯერად უფრო დიდია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| უკრაინა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## VI ჯგუფი

### ხორვატია — შოტლანდია

ზაგრები 22.00

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**გუშინწინ** სქოთები — ჯეკი მაკნამარა, ნილ მაკკანი და კრისტიან დეილი ეროვნული გუნდის მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა შინ გაუშვა. სამეულმა შოტლანდიურ ლაზარეთში გადაინაცვლა და მანამდე დაშავებულთ — პოლ ლამბერტსა და ბარი ფერგიუსონს შეუერთდა. ბრაუნის პრობლემები ამით არ ამოიწურება: ზაგრების „მაკსიმირზე“ ვერ ითამაშებს რეინჯერსელი ბილი დოდსი. არა, ფორვარდი ტრავმას არ უჩივის, მას ბრიტანეთში დაბრუნების ფრიად საპატიო მიზეზი ჰქონია — როცა ბილი სან მარინოსთან მატჩში ნაკრებს ეხმარებოდა, ამ დროს მისი მეუღლე სამშობიაროში იწვა. დოდსიც მალე მამა გახდა, უზომოდ გახარებული ბრაუნს დაეთხოვა და ჰაიდა, ახალშობილისკენ გასწია.

მწვრთნელსაც რა უნდა ექნა, გადაწყვიტა, ხორვატებთან სასტარტოში „მანჩესტერ სიტის“ 26 წლის ფორვარდი პოლ დიკოვი დააყენოს. ერთ დროს ჩვენი გიო ქინქლაძის თანაგუნდელს დებიუტი სან მარინოსთან ჰქონდა, თუმცა შეცვლაზე შევიდა. ახლა მწვრთნელი შეჰპირებია, მატჩს თავიდანვე დაიწყებო: „მის შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს შემპარვია. წლევანდელი სეზონიც ჩინებულად დაიწყო და „სიტის“ თავდასხმის ხაზში სახელგანთქმულ ჟორჟ ვეასაც ეცილება“ — აცხადებს ბრაუნი. მწვრთნელი დიკოვს, როგორც ჩანს, ჩინებულად იცნობს. 1989-ში, როცა შოტლანდიის 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპული ვერცხლი მოიპოვა, გუნდს სწორედ ბრაუნი წვრთნიდა. პოლ დიკოვიც პირველად მაშინ გამოჩნდა.

ეს რაც შეეხებათ სქოთებს, მაგრამ არაფერი გვითქვამს მასპინძლებზე, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ ხორვატიაზე. მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა იცის კოლეგა ბრაუნის პრობლემები, მაგრამ მაინც ფრთხილობს. ბლაჟევიჩს არც დიპლომატია დაეწუნება: „მერე რა, რომ შოტლანდიას ბლომად დაშავებული ფეხბურთელი ჰყავს. მათ მსოფლიოში ნებისმიერი გუნდის დამარცხება ძალუძთ. ამასთანავე, შესარჩევების დიდი სპეციალისტებიც არიან“ — აცხადებს ბლაჟევიჩი და შუკერის ჯანმრთელობას ჩაუფიქრებია. მართალია, ვესტჰემელმა მტკივანი ფეხის კუნთი მოირჩინა, არაა გამორიცხული, თავიდანვე ძირითადში ვერ ითამაშოს. თუ ასე მოხდა, მის ადგილს ზაგრებელი ქომაგის ახლანდელი კერპი, „დინამოს“ ფორვარდი ბოშკო ბალაბანი დაიკავებს. ხორვატთა შეტევების სულისჩამდგმელი კი, თქმა არ უნდა, ვეტერანი მიდლსბროელი ალენ ბოკშიჩი იქნება.

ერთი სიტყვით, დღეს ზაგრების „მაკსიმირზე“ სავარაუდოდ ეს ფეხბურთელები გავლენ მინდორზე:

*ხორვატია: პავლოვიჩი; შტიმაცი, რ. კოვაჩი, სიმიჩი, სოლდო; იარნი, სარიჩი, ნ. კოვაჩი, პროსინეჩკი; ბოკშიჩი, შუკერი (ან ბალაბანი)*

*შოტლანდია: სალივანი; ვეირი, ჰენდრი, მ. ელიოტი; ბოიდი, ბარლი, ჰათჩისონი, კამერონი, ნეისმიტი; ჯონსტონი (ან გალაჰერი), დიკოვი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 2 | 3:0 | 6 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## VIII ჯგუფი

### ლიტვა — უნგრეთი

კაუნასი 23.30

მსაჯი: ორჰან ერდემირი (თურქეთი)

**საქართველოსთან** შერცხვენილი ლიტვა დღეს უნგრეთს მასპინძლობს. როგორ შეიწირეს ქართველებმა სტასის სტანკუსი, გუშინდელ „სარბიელშიც“ წაიკითხავდით. რას შეცვლის აქამდე სტანკუსის თანაშემწე იულიუს კვედარასი, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი ლიტველთა დღევანდელ მეტოქე უნგრეთზე ვთქვათ.

უნგრეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკეიმ კვირას დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც დღეს კაუნასში ლიტვის ნაკრებთან მატჩში დაიცავენ ამ ქვეყნის ღირსებას.

ბიჩკეის ნაკრებში ერთი დებიუტანტი ჰყავს: გერმანული „ულმის“ იანუშ რადოკი. მწვრთნელმა აგრეთვე მიიწვია დღესდღეობით საუკეთესო უნგრელი ფორვარდი მიკლოშ ფეჰერიც.

უნგრელები შესარჩევში მეორე მატჩს გამართავენ. ალბათ, გახსოვთ სექტემბერში ბიჩკეის დამოძღვრილებმა იტალიელებს კინაღამ კუდით ქვა რომ ასროლინეს — შინ, ბუდაპეშტში 2:2 ეთამაშნენ.

*მეკარეები: გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), გაბორ ბაბოში (ბრედა, ჰოლანდია);*

*მცველები: დიორდ კორსოში (შტურმი, ავსტრია), ვილმოშ შებოკი (კოტბუსი, გერმანია), ტამაშ იუჰარი (ვაშში), იანუშ რადოკი (ულმი, გერმანია), იანუშ მატიუში (კოტბუსი, გერმანია), ჩაბა ფეჰერი (ბრედა, ჰოლანდია), ლასლო ბოდნარი (დინამო, კიევი, უკრაინა);*

*ნახევარმცველები: ტამაშ პეტო (ვაშში), იშტვან ჰამარი (ბეითარი, ისრაელი), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი, გერმანია), მიკლოშ ლენდვაი (ანტვერპენი, ბელგია), ბელა ილეში (მტკ), ჰენრიკ როშა (დუნაფერი);*

*თავდამსხმელები: ტიბორ დომბი (უტრეხტი, ჰოლანდია), ფერენც ჰორვატი (კოტბუსი, გერმანია), მიკლოშ ფეჰერი (ბრაგა, პორტუგალია), ტამაშ ნადი (დუნაფერი), პეტერ კაბატი (ვაშში)*

## VII ჯგუფი

### ავსტრია — ესპანეთი

ვენა 23.30

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### ისრაელი — ბოსნია

თელ ავივი 22.25

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

**გასული** წლის 27 მარტი ავსტრიელებს დიდხანს და მწარედ ემახსოვრებათ. ამ დღეს ავსტრიის ნაკრები ევროპის ჩემპინატის შესარჩევ მატჩში ვალენსიაში ესპანეთის ეროვნულ გუნდს ეწვია და... 0:9 განადგურდა. რევანშის შანსი სტუმრებს 2 სექტემბერს მიეცათ, როცა ესპანელები თავად ისტუმრეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ისევ წააგეს, ამჯერად 1:3.

რა მოხდება დღეს? გუნდების სიძლიერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კვლავ ესპანელებმა უნდა მოიგონ, პროგნოზებიც ამაზე მეტყველებს, მაგრამ...

„ოთხშაბათს სულ სხვა გუნდს იხილავთ. ესპანელებთან ბოლომდე ვიბრძოლებთ, თავს არ დავზოგავთ. საამისო მოტივაცია საკმარისზე მეტი გვაქვს“ — თქვა ავსტრიელთა თავკაცმა ოტო ბარიჩმა შაბათს ლიხტენშტაინთან საგარეო 1:0-ის მერე და, მოტივაციაში, უპირველესად, სწორედ 0:9 იგულისხმა.

ლიხტენშტაინთან მატჩის შემდეგ ბარიჩი და მისი შეგირდები სამშობლოში მკაცრად გააკრიტიკეს. გუნდის თამაშით მწვრთნელიც უკმაყოფილო დარჩა, ფეხბურთელებს სულ სხვა დავალება მივეცი და ვერ შეასრულესო. ბარიჩმაც შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა გადაწყვიტა. კერძოდ, გუნდში უხმო გრაცის „შტურმის“ თავდამსხმელ ტომისლავ კოციანს, რომელმაც ტრავმის შემდეგ ვარჯიში, სულ ორი დღეა, განაახლა. ნაკრებში გამოიძახეს ფრანგულ „სტრასბურგში“ მოთამაშე მარიო ჰაასიც. კოციანის მსგავსად, ისიც შემტევია. სავარაუდოდ, ორივე მათგანი ძირითად შემადგენლობაში იქნება. მოსალოდნელია ასევე მიუნხენელი ჰარალდ ჩერნის თამაშიც, რომელიც გუნდს ვადუცშიც ახლდა, მაგრამ ფეხი აწუხებდა და ვარჯიშს გუშინწინდა შეუდგა.

„თამაშს შეტევებზე ავაგებთ, მაგრამ ჩვენი უპირველესი საზრუნავი მაინც არწაგება იქნება. ფრეც დაგვაკმაყოფილებს. ესპანელები ჯგუფის უპირობო ფავორიტები არიან, მაგრამ მათ ვენიდან სამი ქულა არ უნდა გავატანოთ“ — განაცხადა მატჩამდელ პრეს-კონფერენციაზე ბარიჩმა.

საბრძოლველად ემზადებიან ფეხბურთელებიც. „ვადუცში გამართული მატჩი უკვე დავივიწყეთ. ჩვენი მიზანი მოგებაა. ეს გამარჯვება ჩვენი მომავალი წარმატებების საწინდარი უნდა გახდეს“ — იმედიანად არის განწყობილი მარკუს შოპი.

ერთი სიტყვით, ავსტრიელები საბრძოლველად ემზადებიან, თუმცა, ცხადია, ესპანელებიც მიმდინარე შესარჩევ ციკლში ზედიზედ მესამე გამარჯვებას აპირებენ.

შაბათს ისრაელის ნაკრებთან შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ ესპანურმა პრესამ კამაჩო და მისი შეგირდები აქო და ადიდა. ცხადია, იქაურები თავიანთი გუნდისგან ვენაშიც მოგებას ელიან.

„ავსტრიის ნაკრები საზოგადოებას რატომღაც ისეთი გუნდი ჰგონია, რომელსაც ადვილად უნდა მოუგო. არც ასეა საქმე. ჩვენ ძნელი შეხვედრა გველის. შარშან ვენაში კი მოვიგეთ, მაგრამ ეს დიდი ჯაფის ფასად მოვახერხეთ. ოთხშაბათსაც ასე იქნება. მიუხედავად ამისა, მინდორზე მხოლოდ სამი ქულისთვის გავალთ“ — ასეთი კომენტარი გააკეთა ხოსე ანტონიო კამაჩომ, რომლის ხელმძღვანელობითაც დღეს ესპანეთის ნაკრები 25-ე მატჩს ჩაატარებს. წინა 24-დან კამაჩოს აქტივში 17 მოგებაა.

დღეს კამაჩოს ბარსელონელი ხერარდის შემცვლელის არჩევა მოუწევს. ის ისრაელთან მატჩის 30-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. როგორც გაირკვა, ნახევარმცველმა კუნთი დაიზიანა და დღეს თავის ნაკრებს ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ, კვლავ მწყობრში იქნება გუნდის კაპიტანი ფერნანდო იერო, ვინც ისრაელთან ეროვნულ გუნდში 24-ე გოლი შეაგდო, ალფრედო დი სტეფანოს გადაასწრო და ახლა ემილიო ბუტრაგენიოს ორი ბურთითღა ჩამორჩება. 32 წლის მცველი, ალბათ, მასაც ჩამოიტოვებს, თუმც სულ მალე იქნებ ისევ მეორე გახდეს, რადგან რაული, რომელმაც ნაკრებში უკვე 18 გოლის გატანა მოასწრო, ჯერ 23 წლისაა. სხვათა შორის, ამ 18-იდან 5 რაულმა სწორედ ავსტრიელებს გაუტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## IX ჯგუფი

### ალბანეთი — საბერძნეთი

ტირანა 20.30

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

### ფინეთი — ინგლისი

ჰელსინკი 21.00

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

**ლონდონის** „არსენალის“ 34 წლის მცველი მარტინ კიოუნი ფინელებთან მატჩისთვის ინგლისის ნაკრების კაპიტნად დაინიშნა. გერმანიასთან მარცხის შემდეგ ინგლისელებმა მწვრთნელი კევინ კიგანი, ლიდერი დევიდ ბექემი და კაპიტანი ტონი ადამსი დაკარგეს. კიოუნი კაპიტნად მწვრთნელის მოვალეობას შემსრულებელმა ჰოვარდ უილკინსონმა დანიშნა. „ნაკრებში რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებიც თავიანთ კლუბებს კაპიტნობენ — ამბობს უილკინსონი — ამასთანავე გვყავს ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე დევიდ სიმენი, მაგრამ მე კიოუნი ვამჯობინე. მარტინი ვარსკვლავებით გადაჭედილ „არსენალშიც“ ლიდერია, ხოლო მისი ენთუზიაზმი და პროფესიონალიზმი — ყველასთვის სამაგალითო. სწორედ ასეთი კაცი უნდა გაუძღვეს ნაკრებს“.

ამ ცნობიდან მარტინ კიოუნისთვის კაპიტნის სამკლავურის გადაცემის გარდა, იმასაც ვიგებთ, რომ დევიდ ბექემი და ტონი ადამსი ჰელსინკში ვერ წავიდნენ. ცხადია, ამ ფეხბურთელებს ძველი მწვრთნელის ბედი არ გაუზიარებიათ, ისინი გუნდიდან ტრავმებმა ამოაგდო.

დევიდ ბექემს მუხლი აწუხებს და სავარაუდოდ, ორი კვირა ვერ ითამაშებს. რამდენ ხანს გასტანს ადამსის ფეხის მკურნალობა, უცნობია.

ნაკრებში სხვა პრობლემებიცაა. კუნთი დაიჭიმა და ტრავმირებულთა რიგებს შეუერთდა გრემ ლე სო. არადა, ამ ფეხბურთელს აქამდე 16 თვე გაუცდა და ნაკრებში დაბრუნებისთანავე ისევ დაშავდა. მოსალოდნელია, რომ არ ითამაშებს პოლ ინსიც, ოღონდ სულ სხვა მიზეზით: მისი ცოლი ყოველ წუთს ბავშვს ელის და ბედნიერი მამიკო სასთუმალთან უნდა ეჯდეს. მცირედ დაშავებულნი არიან პოლ სქოულზი და გარი ნევილი. შეძლებენ თუ არა ისინი თამაშს, ჯერაც გაურკვეველია.



REUTERS ჰელსინკიდან

ინგლისელთა დროებითი კაპიტანი მარტინ კიოუნი და დროებითი მწვრთნელი ჰოვარდ უილკინსონი იმედიანად არიან

ყოველივე ამან ჰოვარდ უილკინსონი აიძულა, ახალი ფეხბურთელების ძიება დაეწყო და „მანჩესტერ იუნაიტედში“ კიგანისგან დავიწყებული ტედი შერინგემი იპოვა. ცვლილებებია სამწვრთნელო შტაბშიც. კევინ კიგანთან ერთად გადადგნენ მისი თანაშემწეები — არტურ კოქსი და პიტერ ბერდსლი. უილკინსონს ფინელებთან ნაკრების ყოფილი მოთამაშე სტიუარტ პირსი და „მანჩესტერში“ ალექს ფერგიუსონის ყოფილი თანაშემწე ბრაიან კიდი დაეხმარებიან.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მთელ ინგლისს აინტერესებს — დატოვებენ უილკინსონს მწვრთნელად, თუ ვინმე სხვას მიიწვევენ.

კანდიდატი უამრავია (41 დავითვალეთ) და ეს სიჭრელე ქილიკის საბაბიც გამხდარა.

გუშინწინ ლონდონის რადიოში ვიქტორია ადამსს უთქვამს, სიამოვნებით ჩავიბარებდი ნაკრებსო, რაზეც მასა და დიჯეის ბლომად უცინიათ. შენი ქმარი რას ფიქრობს ამაზეო — ჰკითხეს პოშ სფაიზს — რა ვიცი, რატომღაც გაბრაზდა, დამიყვირა, ხმა ჩაიწყვიტე, ფეხბურთისა არაფერი გაგეგებაო.

სანამ ბექემის მეუღლე დაუხვეწავი, არაინგლისური იუმორით მსმენელებს ართობდა, ხოლო ქმრის თავს ლაფს ასხამდა, გაზეთ „სანის“ მკითხველები ტელეფონებთან მიმსხდარიყვნენ და ინტერაქტიულ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ. „სანმა“ ასეთი კითხვა დასვა: ვის ისურვებდით ინგლისის ნაკრების მომავალ მწვრთნელად? პასუხის ერთ-ერთ ვარიანტად სანელებმა... სახედარი ჩაწერეს. ალბათ, უკვე მიხვდით, საითაც ვუმიზნებთ: ვირი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პასუხი გამოდგა და ახლანდელ მოვალეობის შემსრულებელ უილკინსონზე ოთხჯერ მეტი ხმა მოაგროვა.

ახლა კი სერიოზულად.

გუშინწინ უპირველეს კანდიდატებად ტერი ვენეიბლზსა და ლესტერელ პიტერ ტეილორს მიიჩნევდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ნაკრებში მუშაობის სურვილი არ მაქვსო და მისი დანიშვნის შანსი „უილიამ ჰილის“ მიხედვით 20-1 გახდა. ლონდონელ ბუქმეიქერებს მეორე ადგილზე ახლა ემე ჟაკე ჰყავთ (6-1), თუმცა სავარაუდოდ ფრანგიც ქვევით ჩაინაცვლებს, რაკი გუშინ განაცხადა: „სამწვრთნელო ასპარეზზე დაბრუნება არ მსურს, არც ინგლისში და არც სადმე სხვაგან. ჩემი ახლანდელი სამუშაოთი კმაყოფილი ვარ“. შევახსენებთ, რომ ფრანგთა გამჩემპიონებელს თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა დირექტორის პოსტი უკავია.

მესამე-მეოთხე პოზიციებზე არსენ ვენგერი და ჰოვარდ უილკინსონი (8-1) არიან.

ისე, ვის აღარ შეხვდებით მწვრთნელობის მაძიებელთა სიაში. აი, თუნდაც პოლ გესქოინი, რომლის შანსს „უილიამ ჰილი“ 1000-1 აფასებს.

მეორე საკითხი, რომელზეც დღეს გაუთავებლად საუბრობენ, უფრო ზოგადია — დასაშვებია თუ არა, რომ ინგლისის ნაკრები უცხოელმა ჩაიბაროს. ბრიტანეთის სპორტის ყოფილი მინისტრი ტონი ბენქსი ამბობს: „დროა, თვალები გავახილოთ. დღეს მსოფლიოში ბევრი კარგი მწვრთნელია და რატომ არ უნდა მოვიწვიოთ რომელიმე მათგანი? თუ უცხოელი მწვრთნელი ჩვენსას სჯობს და მხოლოდ მისი არაინგლისელობის გამო ვიტყვით უარს, უბრალოდ, სულელები ვიქნებით“. ამ სიტყვებმა და კანდიდატთა შორის უცხოტომელთა გამოჩენამ (შეგვიძლია, ემე ჟაკეს და არსენ ვენგერს დავუმატოთ მარჩელო ლიპი, ფრანკ რაიკაარდი, დინო ძოფი და ბევრიც სხვა) დიდად აღაშფოთა სერ ბობი ჩარლტონი: „სად არის ჩვენი ეროვნული სიამაყე? გინდათ დამარწმუნოთ, რომ ბრიტანეთში კარგი მწვრთნელი არ მოიძებნება? ან უცხოელი ისევე კარგად იცნობს ინგლისურ ფეხბურთს, როგორც ჩვენიანი? ნუ გავიწყდებათ, რომ ინგლისელები ვართ, ინგლისელს კი ასეთი რამ აზრადაც არ უნდა მოუვიდეს“.




THE SUN

ბი, ამ არსებამ უილკინსონს აჯობა

სერ ბობის მოკრძალებით შევკადრებთ: როცა ორი წლის წინ მარტინ ედვარდსს სურდა, ინგლისის ეროვნული სიამაყე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ავსტრალიელი რუპერტ მერდოკისათვის მიეყიდა, თქვენ დიდად არ აღშფოთებულხართ. რატომ?

*ინგლისის სავარაუდო შემადგენლობა*

*სიმენი; ფ. ნევილი, საუთგეიტი, კიოუნი, ბერი; უაიზი, პარლოუ, სქოულზი; შერინგემი, ჰესკი, კოული*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ინგლისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### ურთიერთშეხვედრები

| ალბანეთი — საბერძნეთი | | | |
|---|---|---|---|
| 27.02.85 | მ.ჩ.შ. | საბერძნეთი — ალბანეთი | 0:2 |
| 30.10.85 | მ.ჩ.შ. | ალბანეთი — საბერძნეთი | 1:1 |
| 18.11.98 | ე.ჩ.შ. | ალბანეთი — საბერძნეთი | 0:0 |
| 06.10.99 | ე.ჩ.შ. | საბერძნეთი — ალბანეთი | 2:0 |
| **ფინეთი — ინგლისი** | | | |
| 13.06.76 | მ.ჩ.შ. | ფინეთი — ინგლისი | 1:4 |
| 13.10.76 | მ.ჩ.შ. | ინგლისი — ფინეთი | 2:1 |
| 17.10.84 | მ.ჩ.შ. | ინგლისი — ფინეთი | 5:0 |
| 22.05.85 | მ.ჩ.შ. | ფინეთი — ინგლისი | 1:1 |

# ყველაფერში დამნაშავე თქვენა ხართ!



კრისტოფ დაუმ თავის გასამართლებლად თმის დაპუტვა მოუწია

ცოტა ხნის წინ მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა საქვეყნოდ განაცხადა, კრისტოფ დაუმის გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა არ შეიძლებაო. მიზეზებიც ჩამოთვალა. დაუმი გადასახადებს მალავს, კოკაინის მომხმარებელია და მეძავებთან ერთობაო — აი, ასეთი სერიოზული ბრალდებები წაუყენა ჰიონესმა „ლევერკუზენის“ ამჟამინდელ და ეროვნული გუნდის მომავალ (ვითომ?) თავკაცს.

დაუმს თავის მართლება არ დაუწყია. პირიქით, თავიდან ჟურნალისტებთან შეხვედრასაც გაურბოდა, მაგრამ ამით საქმეს არ ეშველა. მითქმა-მოთქმა არა თუ ჩაცხრა, უფრო გაძლიერდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც, ჯერ დაუმის მხარე რომ დაიჭირა, მერე მწვრთნელს ბრალდებების უსაფუძვლობის დამტკიცება მოსთხოვა.

რა ექნა დაუმს? ორშაბათს დილით კლინიკაში გამოცხადდა, სადაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის ექიმისა და ნოტარიუსის თანდასწრებით თავიდან რამდენიმე ღერი თმა ამოიძრო და გამოსაკვლევად ჩააბარა. ანალიზის შედეგად გაირკვევა, მართლა ეტრფის თუ არა ჰერ დაუმი კოკაინს. პასუხი ოთხ კვირაში გამოცხადდება. ორშაბათსვე მწვრთნელმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, პრესკონფერენცია მოიწვია და ჰიონესის ნათქვამს ცილისმწამებლური უწოდა.

„არ მინდოდა, ჰიონესს ავყოლოდი და თავის მართლება დამეწყო, მაგრამ ოჯახის, მეგობრების, ლევერკუზენელი თანამშრომლებისა და საფეხბურთო კავშირში მომუშავე მომავალი თანამშრომლების წინაშე პასუხისმგებლობა ვიგრძენი, სხვა არჩევანი არ მქონდა. ჰიონესმა ჩემს, როგორც ადამიანის სახელსაც ჩირქი მოსცხო, კერძო ცხოვრებაში ჩაერია. ყოველივე ამის შემდეგ გადავწყვიტე, კომენტარი გამეკეთებინა და ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა“ — აღნიშნა დაუმმა პრესკონფერენციაზე.

დღეს უკვე მთელი გერმანია დარწმუნებულია მწვრთნელის სიმართლეში. ყველას სჯერა, რომ ოთხ კვირაში ტესტების პასუხი ჰიონესის სიტყვების სიცრუეს დაამტკიცებს.

და იცით, გუშინ კიდევ რა მოხდა? ული ჰიონესი მედიას შეხვდა. როგორ ფიქრობთ, რას იტყოდა? ცხადია, ყველაფერში ჟურნალისტები და პრესა დაადანაშაულა. დიახ, დაუმზე რაღაცეები კი ვთქვი, მაგრამ ბევრი რამ თქვენი დამატებული და გაბუქებულიაო.

... გაგრძელება იქნება.

# ამბობენ

ამბობენ, რომ ფაბიენ ბარტეზისა და ლინდა ევანგელისტას გზები გაიყარა. ამბობენ, რომ მათ ერთმანეთი სამი კვირაა არ უნახავთ. ამბობენ, რომ ფაბიენი მანჩესტერში კვლავ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობს და სახლის შეძენას არ ჩქარობს. ამბობენ, რომ ევანგელისტა ნიუ იორკში დაფუძნდა.



ლინდა ევანგელისტა ფაბიენ ბარტეზთან ერთად

და, როგორც ჩანს, რასაც ამბობენ, დიდი ნაწილი მართალია — ფეხბურთისა და პოდიუმის ვარსკვლავების თანაცხოვრება დასასრულს მიუახლოვდა. ამის ფორმალური მიზეზი ის გახლავთ, რომ ლინდას მანჩესტერული კლიმატის გაძლება არ შეუძლია. წყვილი ხომ აქამდე მონაკოში, წალკოტ ადგილას, მდიდრულ სახლში ცხოვრობდა, მის ფონზე კი ჩრდილო ინგლისის მრავალმილიონიანი ქალაქი წესით, მართლაც ერთობ რუხი უნდა ყოფილიყო.

კიდევ, ამბობენ, რომ ლინდა მუცლის მოშლის შემდეგ კვლავ დეპრესიაშია და ინგლისში საცხოვრებლად წასვლა იმთავითვე არ უნდოდა, ფაბიენმა კი სწორედ ამ დროს აიტეხა მანჩესტერში გადასვლა.

ერთი ხნის წინ ფაბიენი მონაკოში ჩასულა, ლინდას ღამის კლუბში შეხვედრია და მანჩესტერში პენტჰაუსის ყიდვაზე დაუთანხმებია. თურმე ამისთვის 725 ათასი გირვანქაც გადაუდია, მაგრამ ახლა...

იმ დღეს, ვარჯიშიდან გამოსულ, გაწუწულ ბარტეზს ჟურნალისტები შემოეხვივნენ.

— პირადი ცხოვრება ჩემი პრობლემაა და არავის საქმე არ არის. გმადლობთ, კარგად brძანდებოდეთ — იყო პასუხი.



ლინდა ევანგელისტა, სანამ ფაბიენ ბარტეზს გაიცნობდა

# გოლდ ტრაფორდი

რაიან გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეპატრონე პიტერ კინიონთან აწარმოებს მოლაპარაკებას და მალე, შესაძლოა, ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი. თუ ასე მოხდა, იგი გუნდში ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშე გახდება და თავად კაპიტან როი კინსაც აჯობებს — უელსელი კვირაში 55 ათას გირვანქას მიიღებს. თუ ამ თანხას ხუთ წელიწადზე გადავამრავლებთ, 14 მილიონი გირვანქა გამოვა.

შეგახსენებთ, რომ როი კინის ხელფასი კვირაში 52 ათასი გირვანქაა, გიგზი კი ახლა მხოლოდ ამ თანხის ნახევარს, 25 ათასს იღებს. უელსელის მიმდინარე შეთანხმება 15 თვის შემდეგ იწურება, „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობას კი მისი გაშვება არ სურს. დათმობაზეც ამიტომ მიდის და 26 წლის ფეხბურთელს ხელფასს სარეკორდოდ უზრდის.

გიგზი „ოლდ ტრეფორდზე“ 1990 წლის დეკემბერში მივიდა და მას შემდეგ ფერგიუსონის გუნდში 274 შეხვედრა ჩაატარა. უელსელი აცხადებს: „სულით მანჩესტერელი ვარ. სხვა ლიგაში თამაშის საშუალება მაქვს, მაგრამ არ ვთანხმდები. მხოლოდ ფული არაფერს ნიშნავს, თანაც პრემიერლიგა ძალიან კარგი და საინტერესო ტურნირია. აქ უამრავი დიდებული ფეხბურთელი თამაშობს. „მანჩესტერთან“ ერთად ტიტულების მოგება ძალიან მსიამოვნებს და სად უნდა წავიდე?“

იმასაც ამბობენ, კონტრაქტის ფურცელი უკვე მზადაა და მას მალე დაამშვენებს კინიონისა და გიგზის ხელმოწერაო. თუმცა გიგზი, ალბათ, ცოტა ხნით იქნება ყველაზე მაღალხელფასიანი, რადგან მოსალოდნელია, რომ „ოლდ ტრეფორდის“ შეფი დევიდ ბექემს ჯერ არნახულ გასამრჯელოს, კვირაში 70 ათას გირვანქას შესთავაზებს.




უკვე მილიონერი გიგზი მალე უფრო გამდიდრდება

*იშვიათად შეხვდებით ფეხბურთელს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს ერთად ფლობდეს. თანამედროვეთაგან ეს ბედნიერება საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეებს ხვდათ წილად. მათ შორის ყველაზე გამორჩეული ზინედინ ზიდანია, გუნდის ერთხმად აღიარებული ლიდერი. წლეულს ზიდანი ევრო 2000-ზე ჩინებული თამაშისთვის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ფრანგმა გულახდილად ისაუბრა და მომავალ თაობას ბრძნული ცხოვრებისეული რჩევები მისცა. ზიდანმა გაამხილა, რომ მას ერთი ნატვრა აქვს, რომელიც ფეხბურთს არ ეხება. ერთ დღეს ოცნებების ასრულება რომ შეეძლოს, იგი ინატრებდა...*

# ნუ შეხედავთ ფეხბურთს, როგორც გამდიდრების საშუალებას



**— რატომ გადაწყვიტეთ, მაინცდამაინც ფეხბურთი გეთამაშათ?**

— ბავშვობაში სულ ფეხბურთზე ვფიქრობდი. თვალწინ მედგა მარსელის ქუჩები, სადაც ამხანაგებთან ერთად ვთამაშობდი. ფეხბურთი ერთადერთი გასართობი იყო, რაც მსიამოვნებდა და საკუთარი პოტენციალის გამომჟღავნების საშუალებას მაძლევდა. მშობლები მთხოვდნენ, სწავლისთვის მეტი ყურადღება დამეთმო. ახლა მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემში მომავალი დაინახა და დამეხმარა, ფეხბურთელი გამოვსულიყავი. ყოველთვის ვოცნებობდი, სპორტის ამ სახეობას ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი სჭეროდა და ძალიან მიხარია, რომ ასე მოხდა.

**— თქვენი ყველაზე ბედნიერი მოგონება...**

— ვგონებ, პასუხი თქვენც წინასწარ გეცოდინებათ: ორი ფინალური მატჩი 1998 წელს ბრაზილიასთან და 2000 წელს იტალიასთან. ორივე მოვიგეთ და ჯერ პლანეტის, ხოლო შემდეგ კონტინენტის უძლიერესი გუნდი გავხდით. თავად ჩემთვის დაუვიწყარი გრძნობა იყო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, „სტად დე ფრანსზე“ ორი გოლის გატანა. თუმცა ერთიც უნდა აღვნიშნოთ, ეს ორივე საერთო ფრანგული წარმატება გახლდათ. სულ სხვა იყო ევრო 2000-ის ფინალი როტერდამში.

**— ფეხბურთელი და მწვრთნელი, რომელთაც ყველაზე მეტად აფასებთ.**

— კარიერის მანძილზე ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია. სამართლიანი არ ვიქნები, რომელიმე განსაკუთრებით გამოვყო. ყველა სპეციალისტი თავისებურად იყო ძლიერი. კონკრეტულ დეტალს ზოგი მწვრთნელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, ზოგი კი ყურადღებასაც არ აქცევს. თავიდან მათი ხასიათი უნდა შეისწავლო. ისე, ყველა ფეხბურთელს დაუდგება რთული პერიოდი, ისევე როგორც მე. ამ დროს მწვრთნელის დახმარება და მითითება ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთელებიდან ძალიან ვაფასებ და ყოველთვის ვიხსენებ ენცო ფრანჩესკოლის. საფრანგეთის ჩემპიონატში მისი თამაშები ჩემთვის ნამდვილი გაკვეთილი იყო. უნდა უყურო, დატკბე და ისწავლო ბურთის ფლობა, პასი, მომენტის გამწვავება და სხვა მრავალი.

**— რომელია საუკეთესო თამაში, რომელიც ოდესმე გინახავთ?**

— თუ ნანახს მეკითხებით, აუცილებლად 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალს დაგისახელებთ, რომელიც სევილიაში საფრანგეთსა და გერმანიას შორის ჩატარდა. ეს იყო მატჩი, რომელსაც ვერასდროს დავივიწყებ.

**— მას მერე თამაშის სტილი საგრძნობლად შეიცვალა?**

— ფეხბურთი ყოველწლიურად იხვეწება და ვითარდება. ახლა ერთმანეთს კომერციული მხარე და წარსულის გამოცდილება ერწყმის, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელებისთვის მთავარი ყოველდღიური მზადყოფნაა. ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას მოთამაშემ ყველაზე მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. თუ გსურს, წარმატების მწვერვალს მიაღწიო და იქ გაჩერდე, უნდა მოემზადო და თანამედროვე ფეხბურთს მოერგო.

**— ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომელთაც ფეხბურთი ძალიან უყვართ, რას ურჩევდით?**

— მათთვის საუკეთესო რჩევა იქნებოდა — ფეხბურთი ყოველთვის აღიქვან, როგორც თამაში.

ახალგაზრდებმა არასდროს იფიქრონ, რომ ეს დიდი ფულის შემოსავლის წყაროა. თამაშით ყოველთვის უნდა ისიამოვნო და შენი ბუნებრივი მონაცემები დახვეწო. თუ ამას შეძლებ, უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. ძალიან საშიშია, იფიქრო მხოლოდ ფულზე და თანდაყოლილი ნიჭი დაივიწყო.

**— ერთი სურვილი რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?**

— ეს პირადი ოცნებაა და ფეხბურთთან არ არის დაკავშირებული, თუმცა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მსურს, მსოფლიოს გაჭირვებულ და ღარიბ ბავშვებს დავეხმარო. ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო პროექტის ხორცშესხმა და გაფართოებაა. ჩემი სურვილია, მომავალშიც განვაგრძო მუშაობა, რათა ბავშვებმა უკეთესად იცხოვრონ.

**თარგმნა ნიკა შუღლაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-14 ტური
11 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 003 | ბოვუა-ნიორი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 004 | კაენი-აიაჩო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 005 | კრეტეი-ლე მანი | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 23.00 | 006 | გენიონი-მონპელიე | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 23.00 | 007 | ლავალი-ანჟე | 1,3 | 4,4 | 8,8 |
| | 008 | ლავალი-ანჟე 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 23.00 | 009 | ლორიანი-ლე ავრი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 010 | ნიცა-მარტიგი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 011 | ნიმი-შატორუ | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 23.00 | 012 | ვასკეალი-კანი | 1,8 | 2,8 | 4,7 |

მჩ შესარჩევი მატჩები
11 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 501 | რუსეთი-ლუქსემბურგი | 1,02 | 11,0 | 20,0 |
| | 502 | რუსეთი-ლუქსემბურგი 0:3 | 1,55 | 4,4 | 2,7 |
| 20.00 | 503 | აზერბაიჯანი-თურქეთი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 20.00 | 504 | ბელარუსი-სომხეთი | 1,5 | 3,4 | 6,0 |
| 20.30 | 505 | ალბანეთი-საბერძნეთი | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| 21.00 | 506 | ფინეთი-ინგლისი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 21.00 | 507 | მალტა-ჩეხეთი | 20,0 | 10,0 | 1,03 |
| 22.00 | 508 | მოლდოვა-მაკედონია | 2,3 | 3,0 | 2,8 |
| 22.00 | 509 | ხორვატია-შოტლანდია | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 22.00 | 510 | ნორვეგია-უკრაინა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.15 | 511 | დანია-ბულგარეთი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.25 | 512 | ისრაელი-ბოსნია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 513 | პოლონეთი-უელსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 514 | პოლონეთი-უელსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.15 | 515 | სლოვენია-შვეიცარია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.15 | 516 | სლოვაკეთი-შვედეთი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.30 | 517 | ირლანდია-ესტონეთი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 518 | ირლანდია-ესტონეთი 0:2 | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 23.30 | 519 | ჰოლანდია-პორტუგალია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 520 | ავსტრია-ესპანეთი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 23.30 | 521 | ლიტვა-უნგრეთი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.45 | 522 | იტალია-საქართველო | ანგარიში - 5,0 | | |
| 00.30 | 523 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 04.00 | 524 | აშშ-კოსტა რიკა | 1,6 | 3,2 | 5,6 |

აზიის თასი (ლიბანში)
12 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 525 | ერაყი-ტაილანდი | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 526 | ლიბანი-ირანი | 4,0 | 3,1 | 1,7 |

ეჩ შესარჩევი მატჩები. 21 წლამდე
11 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 569 | რუსეთი-ლუქსემბურგი | 1,02 | 9,0 | 17,0 |
| 19.15 | 570 | ისრაელი-ბოსნია | 1,5 | 3,2 | 5,0 |

ჰოკეი
11 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 904 | ნიუ ჯერსი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 905 | რეინჯერსი-მონრეალი | 1,7 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 906 | ტორონტო-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 907 | ატლანტა-ვაშინგტონი | 2,2 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 908 | დეტროიტი-ედმონტონი | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 909 | მინესოტა-ფილადელფია | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 24.00 | 910 | ანაჰაიმი-ბოსტონი | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 911 | ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,1 |

12 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 912 | დალასი-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 913 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 914 | კალგარი-კოლუმბუსი | 1,4 | 4,0 | 3,5 |
| 24.00 | 915 | ვანკუვერი-კოლორადო | 2,3 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 916 | სან ხოსე-ფინიქსი | 2,2 | 4,0 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროთა მუშაობა**

**ბათუმსა და ქუთაისში**

**მუშაობის განახლების თარიღი**
**წინასწარ გამოცხადდება**

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი და სტალინის ქუჩა №30), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## სლოვენია

I ტური

როგლა — ზაგორიე 96:79, პივოვარნა — ტრიგლავი 98:91, ლოკა კავა — სავინსკი 100:90, კრაშკი ზიდარი — კემოპლასტი 80:79, ოლიმპია — ჰელიოსი 93:63

**კრკა 83:67 სლოვანი**

კრკა: ანზულოვიჩი (6), დონჩიჩი (21), პეტროვი (10), დევისონი (9), გრუმი (15), დრობნიაკი (2), შრეკიჩი (10), არაპოვიჩი (10)

სლოვანი: ნოვაკი (3), ლაკოვიჩი (13), ჟაკელი, გრბეშიჩი (6), უგრეხელიძე (5), კოკალი (3), კოვაჩი (3), პავიჩი (4), ბოისა (15), მარავიჩი (9), ცქიტიშვილი (6)

II ტური

ჰელიოსი — კრაშკი ზიდარი 69:73, როგლა — კრკა 74:80, სავინსკი — პივოვარნა 60:82, ზაგორიე — კემოპლასტი 82:81, ტრიგლავი — ოლიმპია 67:84

**სლოვანი 70:65 ლოკა კავა**

სლოვანი: ნოვაკი (4), ლაკოვიჩი (4), ჟაკელი (13), გრბეშიჩი, უგრეხელიძე (4), კოკალე (5), კოვაჩი (4), პავიჩი (6), მარავიჩი (22), ცქიტიშვილი (8)

ლოკა კავა: ივანოვიჩი (24), იოკიჩი (9), ბოიოვიჩი (14), ჰარტმანი, ჯუკიჩი, სავიჩი (8), ბოშნიაკი (4), კეშელი (4), შუბიცი, კარნიჩარი (2)

III ტური

ოლიმპია — სავინსკი 92:54, კრკა — ზაგორიე 106:61, კემოპლასტი — ჰელიოსი 104:79, კრაშკი ზიდარი — ტრიგლავი 90:82, ლოკა კავა — როგლა 89:77

**პივოვარნა 81:93 სლოვანი**

პივოვარნა: ლისიცა (20), მაროევიჩი (17), იურაკი (15), დუშაკი (8), დრაგშიჩი (6), მილეტიჩი (6), უდრიჰი (4), ოჭჩინა (3), დელიჩი (2)

სლოვანი: მარავიჩი (21), ლაკოვიჩი (16), ნოვაკი (11), კოვაჩი (9), ცქიტიშვილი (8), პავიჩი (8), უგრეხელიძე (7), ჟაკელი (6), გრბეშიჩი (3), ბოისა (2), კოკალი (2)

# ბოისა: მე თქვენ დაგიმტკიცებთ...



ვლადიმერ ბოისა (მარცხნივ) გამოჯანმრთელდა, დავით უგრეხელიძე კი „სლოვანის" სასტარტო ხუთეულში დამკვიდრდა

სლოვენიის ჩემპიონატში, სადაც ჩვენებურები — ვლადიმერ ბოისა, დავით უგრეხელიძე და ნიკა ცქიტიშვილი თამაშობენ, გასულ უქმეებზე მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. ნელ-ნელა ეშხში შედის ამ ქვეყნის ახალი პირველობა და ამიერიდან, ჩვენც, ცხადია, მუდმივად მივადევნებთ თვალყურს იქ განვითარებულ მოვლენებს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი, როგორც წესი, ქართულ-სლოვენიურ „სლოვანს" მივაპყრობთ, რომელმაც ევროთასზე წარმატებული თამაში შინაურ ასპარეზზეც მოგებებით განაგრძო და სამ საღებიუტო შეხვედრაში ორჯერ იმარჯვა.

„სლოვანი" პირველ მატჩში ბოლო გათამაშების ჩემპიონ „კრკასთან" დამარცხდა სტუმრად. ვლადიმერ ბოისა, იაკა ლაკოვიჩთან ერთად, თავისი გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ. ამ დუეტმა „სლოვანის" მთლიანი მონაგარის თითქმის ნახევარი გააძერხა და თანაგუნდელებსაც მხარი რომ აებათ, ვინძლო ჩემპიონატის პირველი სენსაციაც გამომცხვარიყო, მაგრამ... ის დღე უდავოდ ნოვომესტოელი დონჩიჩისა იყო, რომელმაც ჩემპიონს ჩემპიონური სტარტი აღებინა.

მეორე შეხვედრა ასევე სტუმრად გამართა „სლოვანმა" არანაკლებ ძლიერ მეტოქესთან, ლაშკოს „პივოვარნასთან". ამ მატჩშიც სამივე ჩვენებური დაასაქმა ლიუბლიანელთა მთავარმა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა და საბოლოოდ „სლოვანმა" წარმატებით გადაჭრა დასახული ამოცანა, თუმც ვლადიმერ ბოისას საამმატჩო მონაგარი — მხოლოდ 2 ქულა — ავად გვენიშნა და არც შევმცდარვართ — „სლოვანის" ჩვენებურ ლიდერს ოდენ ხუთ წუთს უთამაშია, ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ტვინის მსუბუქი შერყევა მიუღია და დარჩენილი დრო გუნდის ექიმის მეთვალყურეობით სათადარიგოებში გაუტარებია. „პივოვარნელი გორან იურაკი გამოუვალ სიტუაციაში მოვაქციე, არც სროლა გამოსდიოდა, აღარც პასი და ჯარიმაზე წამოვიდა. სწორედ ამ დროს მისი იდაყვი მომხვდა თავში, მაშინვე თვალთ დამიბნელდა. მოგვიანებით კი ექიმებმა ტვინის შერყევა დამიდგინეს" — გვითხრა ბოისამ.

შემდეგი ტურის მატჩი შინ, „ლოკა კავასთან", რომელიც ასევე „სლოვანის" გამარჯვებით დასრულდა, ცხადია, გამოტოვა ვლადიმერმა. ტრავმის შემდეგ მან პირველად გუშინ წაივარჯიშა, მანამდე კი სამი დღე საწოლში გაატარა. უახლოეს სათასო შეხვედრაში მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდთან ვოვა, ალბათ მონაწილეობას არ მიიღებს ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩში „ოლიმპიასთან" კი აუცილებლად ვითამაშებო, ამბობს ჩვენებური. შეგახსენებთ, ბოისა სწორედ „ოლიმპიას" საკუთრებაა და „სლოვანში" გახლავთ განათხოვრებული. ასე რომ, საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე, ვლადიმერს „ოლიმპიას" მთავარ მწვრთნელ ზმაგო საგადინთან თავისი სიძლიერის დამტკიცება სურს.

ბოისას არყოფნაში „სლოვანიდან" მარკო მარავიჩს გამოუდვია თავი, თორემ სავსებით შესაძლებელი იყო, გაცილებით დაბალი კლასის „ლოკა კავას" ემარჯვა. ტომო მაჰორიჩს, რომელიც „პივოვარნას" ძლევის შემდეგ ფრთაშესხმული იყო, გვარიანად შეუფუცხუნებია შეგირდები და „სლოვანსაც" უკანასკნელ წუთზე გამოუტაცია მეტოქისთვის გამარჯვება. ქართველებს, უგრეხელიძესა და ცქიტიშვილს, ამ მატჩში მაინცდამაინც შედეგიანად არ უთამაშიათ, თუმც მთლიანობაში მათი გარჯით კმაყოფილი ყოფილა მაჰორიჩი. უგრეხელიძეს მუდმივად ძირითად ხუთეულში აყენებს მწვრთნელი, ცქიტიშვილს კი, ადრე დაცვაში თამაშს რომ უწუნებდა, ახლა სულ აქებს.

სლოვენიის ჩემპიონატს „კრკა", „ოლიმპია" და „კრაშკი ზიდარი" წაუგებლად ლიდერობენ. თუკი პირველი ორის ცხრილის სათავეში ყოფნა კანონზომიერია, „კრაშკი ზიდარის" მათ კომპანიაში გარევა ერთგვარი სენსაციაცაა — ეს გუნდი წინა სეზონში პირველ ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა.

**გიორგი გიქაშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 3 | 3 | 0 | 269:184 | 6 |
| კრკა | 3 | 3 | 0 | 269:202 | 6 |
| კრაშკი ზიდარი | 3 | 3 | 0 | 243:230 | 6 |
| პივოვარნა | 3 | 2 | 1 | 261:244 | 5 |
| ლოკა კავა | 3 | 2 | 1 | 254:237 | 5 |
| სლოვანი | 3 | 2 | 1 | 230:229 | 5 |
| კემოპლასტი | 3 | 1 | 2 | 264:241 | 4 |
| როგლა | 3 | 1 | 2 | 247:248 | 4 |
| ზაგორიე | 3 | 1 | 2 | 222:283 | 4 |
| ტრიგლავი | 3 | 0 | 3 | 240:272 | 3 |
| ჰელიოსი | 3 | 0 | 3 | 211:270 | 3 |
| სავინსკი | 3 | 0 | 3 | 204:274 | 3 |

# სპარტაკმა გეზი იცვალა

## გაგნიძის გუნდი თბილისში აღარ ჩამოვა

**გუშინდელ** „სარბიელში" მოსკოვის „სპარტაკის" საქართველოში შესაძლო ვიზიტის თაობაზე გამცნეთ. 24 ოქტომბერს რუსეთის სუპერლიგა იწყება და ქართველი გიორგი გაგნიძის გუნდიც მანამდე თბილისში აპირებდა ჩამოსვლას, რათა სპარინგ-მატჩები გაემართა ჩვენებურ „აზოტთან", სტუ-სთან და „მაკაბისთან". გუშინ კი შევიტყვეთ, რომ „სპარტაკს" გეგმები შეცვლია და გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ სიდიაკინი საქართველოს ნაცვლად კორეისკენ გაუძღვება შეგირდებს. ამ აზიურ ქვეყანაში თურმე საერთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს.

ამ მიზეზის გამო „სპარტაკმა", შესაძლოა, რუსული სუპერლიგის პირველი ტურის მატჩი გამოტოვოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბის ხელმძღვანელობამ მეტოქე, ირკუტსკის გუნდი შეხვედრის გადატანაზე დაიყოლია. სპარტაკელებს მატჩის წინასწარ გამართვაც შეუთავაზებიათ ირკუტსკელებისთვის და რაკი ამაზე ვერ დაითანხმეს, ქართული ტურნეც ჩაეშალათ. თუ მეტოქე გაჯიქდა და „სპარტაკს" პირველი ტურის შეხვედრის სამომავლოდ გადატანაზეც არ დათანხმდა, გაგნიძის კლუბს კორეული ტურნირიც უკან დარჩება.

**ლევან ბაქურაძე**

## იტალია

რეგულარული ჩემპიონატი იწყება 15 ოქტომბერს, მთავრდება 2001 წლის 6 მაისს.

მონაწილეობს 18 გუნდი

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

ბენეტონი — კანტუ
კინდერი — სიენა
ვიოლა — აველინო
ტრიესტი — მიულერი
მონტეკატინი — იმოლა
სკავოლინი — აეროპორტი
ვარეზე — ფორტიტუდო
კორდივარი — ადეკო
სნაიდერო — რიმინი

## ესპანეთი

რეგულარული ჩემპიონატი იწყება 15 ოქტომბერს, მთავრდება 2001 წლის 15 მაისს.

მონაწილეობს 18 გუნდი

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

ხირონა — ფორუმი
ესტუდიანტესი — ბარსელონა
ბრეოგანი — ორენსე
კოსტაბლანკა — კასერესი
პამესა — ხუვენტუდი
ტაუ — ხიხონი
კანარიასი — კახა სან ფერნანდო
ფუენლაბრადა — რეალი
უნიკახა — კანტაბრია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ევროპული ამბები

### საფრანგეთი



„ლიმოჟთან" დაკავშირებით სკანდალები არ წყდება

# ჯერ ვალები, ხელფასები მერე

## ლიმოჟი კოლეგებმაც ჩაწიხლეს

**ორშაბათს** ფრანგულ კალათბურთში მორიგი სკანდალი დაიწყო და ის ისევ „ლიმოჟთანაა" დაკავშირებული. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში სამი ტიტულის (საფრანგეთის ჩემპიონობა, საფრანგეთისა და კორაჩის თასები) მომხვეჭ „ლიმოჟს" ფინანსური საქმეები საკმაოდ აერია და ამის გამო ქვეყნის ეროვნულმა საკალათბურთო ლიგამ მას პროფესიულ ჩემპიონატში მონაწილეობა აუკრძალა. თუმცა შემდეგ ლიმოჟელებმა ვალების ნაწილი გადაიხადეს, ნაწილსაც ნელ-ნელა დავფარავთო და მათ პრო B-ში თამაშის ნება დართეს. თითქოს ფრანგული კალათბურთის ხელმძღვანელების რისხვა არ ეყოფოდა და ახლა „ლიმოჟს" სხვა გუნდებიც შემოსწყრნენ. უფრო სწორად, მის გამო საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციას აუმხედრდნენ.

ფრანგულმა პროფესიულმა კლუბებმა, რა თქმა უნდა, „ლიმოჟის" გამოკლებით, საფრანგეთის თასის გათამაშებას გამოუცხადეს ბოიკოტი, აქაოდა, ფედერაცია „ლიმოჟისადმი" უადგილო შემწყნარებლობას იჩენსო. ფრანგულ კალათბურთში ახალი ამბოხის სუნი ტრიალებს. რაც გუშინ მხოლოდ მუქარას ჰგავდა, დღეს უკვე რეალობაა. კალათბურთის პროფესიული კლუბების კავშირის (კპკკ) პრეზიდენტმა ჟერარ მორისმა ცალსახად განაცხადა, რომ საფრანგეთის თასს მოყვარულებს უტოვებს.

ეს გადაწყვეტილება იმას მოჰყვა, რომ ფედერაცია „ლიმოჟს" სახელფასო ფონდის 1,6 მილიონი ფრანკით (დაახლოებით 430 ათასი ლარი) გაზრდას დაჰყაბულდა, რითაც ეს ფონდი 6,6 მილიონი ფრანკი (დაახლოებით 1,77 მილიონი ლარი) გახდა. კპკკ-ს ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ „ლიმოჟის" დღევანდელ ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და იმის ნაცვლად, რომ ლიმოჟელებმა ახალი, ძლიერი კალათბურთელები მიიზიდონ მაღალი ხელფასებით, უმჯობესია, მათ ძველი ვალები დაფარონ.

კლუბებს ერთგვარად ლიგის ხელმძღვანელობაც უჭერს მხარს, რომელიც აცხადებს, რომ ფედერაცია „ლიმოჟის" საქმის ძირისძირობამდე გამოკვლევის საშუალებას არ იძლევა. თუმცა ამას ლიგის თავკაცები ოფიციალურად კი არ ამბობენ, არამედ გადაკვრით.

„ეს გადაწყვეტილება „ლიმოჟის" წინაალმდეგ კი არ მიგვიღია, ჩვენ უბრალოდ საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვა გვსურდა" — უთხრა ფრანგულ გაზეთ „ესტ რეპუბლიკენს" მორისმა, რომელიც „მონპელიეს" პრეზიდენტიცაა.

ბოიკოტისგან ყველაზე მეტად საფრანგეთის თასი იზარალებს. ეს ტურნირი დიდი პრესტიჟულობით ვერც აქამდე დაიკვეხნიდა, მატჩების უმრავლესობის დროს ტრიბუნები სანახევროდაც კი არ ივსებოდა, ახლა კი საერთოდ... ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე დაწყებულმა ამბოხმა საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის ჩინოსნები განარისხა. „პროფესიული კლუბების ქცევა აღმაშფოთებელია" — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა ივან მენინიმ, რომელსაც ქვეყნის ნაკრების მიერ სიდნეიში მოპოვებული ვერცხლის მედლებით ტკბობა არ აცალეს. თუმც მას იმედი აქვს, რომ ამბოხებულებთან საერთო ენას მაინც გამონახავს და არეულობასაც ჩააწყნარებს. „საფრანგეთის თასის გათამაშებაში პროფესიონალები მხოლოდ თებერვლიდან უნდა ჩაებან. ასე რომ, მათ ჭკუაზე მოსაყვანად დრო ჯერ კიდევ გვაქვს" — უთხრა მენინიმ ერთ-ერთ ლოტარინგიულ (საფრანგეთის მხარეა) გაზეთს.

დრო კი არის, მაგრამ დათმობენ კი კლუბები თავიანთ პოზიციებს? ძნელი სათქმელია. წესით, ისევ „ლიმოჟი" უნდა დაზარალდეს და შეთანხმებასაც, ალბათ, მის საზიანოდ მიიღებენ. ყოველ შემთხვევაში, სხვა გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს.

**გაიოზ თალაქვაძე**

# ჯონსონების ცქერაში გაზრდილი უკრაინელი როკი

## ვიტალი პოტაპენკოს მეჯიქს ლარი ერჩივნა




ვიტალი პოტაპენკო

*„ბოსტონ სელტიქსის“ უკრაინელი ცენტრი ვიტალი პოტაპენკო იმ იშვიათ ევროპელთაგანია, რომლებიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას შეეგუვნენ. ამაში პოტაპენკოს ვეება სხეულმაც შეუწყო ხელი. მართალია, იგი სიმაღლით მხოლოდ 208 სანტიმეტრია, მაგრამ საკმარისი ჯანი მოსდევს საიმისოდ, რომ ფარქვეშ ამერიკელ ცენტრებს ეჭიდაოს. პოტაპენკოს ნბა-ში თამაშის ოთხწლიანი გამოცდილება აქვს, მწვრთნელი რიკ პიტინოც ნდობას უცხადებს და მუდმივად სასტარტო ხუთეულში ათამაშებს. ამას წინათ გულშემატკივრებს საშუალება მიეცათ, კალათბურთელისთვის ინტერნეტის საშუალებით კითხვები დაესვათ.*

**— გაიხსენეთ თქვენი დებიუტი ნბა-ში.**

— მახსოვს, ჩემი პირველი გუნდი „კლივლენდი“ „ნიუ ჯერსის“ ხვდებოდა. ჩვენ ბევრით ვიგებდით, ამიტომ მწვრთნელმა მაიკ ფრატელომ პირველ ტაიმში ოთხ წუთით, მეორეში კი რვა წუთით შემიშვა მოედანზე. ეს ბევრი არაა, მაგრამ მაინც საკმაოდ ვინერვიულე. სეზონის დაწყებამდე საჩვენებელ შეხვედრებში თამაშის მცირეოდენი გამოცდილება კი მქონდა, მაგრამ სულ სხვა იყო ნბა-ს ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა. მერე, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, მღელვარებამ გამიარა.

**— ვიტალი, ევროპელ ბიჭს არ გაგიჭირდათ ცხოვრების ძირეულად შეცვლა და აქაურობასთან შეგუება?**

— თავიდან ყველაზე უფრო ენობრივი ბარიერის გადალახვა გამიძნელდა, ცხოვრების ახალი წესიც უცხოდ მეჩვენა, თუმც არც იმდენად, რომ დიდი პრობლემები შემქმნოდა. ინგლისურში მალე გავიტეხე ენა, სკოლაში ცუდი მოსწავლე არ ვიყავი და ამანაც გამიიოლა საქმე. გარდა ამისა, აქაურ უნივერსიტეტში სწავლისას და მის გუნდში თამაშისას ბევრი მეგობარი შევიძინე. ყველა თბილად მეპყრობოდა, განსაკუთრებით ის ბიჭი, ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი. უკრაინა სულ სხვაა, მაგრამ აქაურობასაც მალე გავუშინაურდი.

**— დიდხანს ოცნებობდით ნბა-ში თამაშზე?**

— თხუთმეტი წლის ვიყავი, როდესაც უკრაინაში ნბა-ს თამაშების ტელეტრანსლაცია დაიწყეს. კვირაში ერთ შეხვედრას აჩვენებდნენ და მეც, რა თქმა უნდა, არც ერთს არ ვტოვებდი, ის კი არა, ვიდეოკასეტებზე ვიწერდი. თუმც მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იქ ვითამაშებდი. რეალურად ამაზე მაშინ დავფიქრდი, როდესაც კლივლენდის უნივერსიტეტში ჩავაბარე. სეზონის დაწყებამდე „კლივლენდ კავალიერზი“ ჩვენს დარბაზში ვარჯიშობდა და მეც ყოველდღე დავდიოდი იქ. სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ ნბა-ში თამაში შემეძლო და ეს სულაც არ იყო უტოპია.

**— ვის უნდა უმადლოდეთ ნბა-ში მოხვედრას?**

— ჩემს ოჯახს. თუმც დღეს რომ ნბა-ში ვთამაშობ, პირველ ყოვლისა, ერიკ უოტკინსის დამსახურებაა. ჩვენ ერთად ვთამაშობდით უნივერსიტეტის გუნდში და ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ერიკი შესანიშნავი უკანახაზელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მერე გულმა შეაწუხა. სწორედ იგი მიადვილებდა განსხვავებულ კალათბურთთან შეგუებას. ოჯახთან ერთად უოტკინსი ჩემი გულშემატკივარი იყო.

**— ვიტალი, თქვენ აშკარად მოსწონხართ „ბოსტონის“ მწვრთნელ რიკ პიტინოს. ერთხელ მან როკი ბალბოას შეგადარათ. ეთანხმებით მას?**

— არ ვიცი. შესაძლოა სტალონეს გმირივით მეც ბევრს ვვარჯიშობ და საკმაოდ ჯანიანიც ვარ. ვარჯიშით მანამდეც არ ვზოგავდი თავს, მაგრამ პიტინოს რიტმს მაინც ვერ ვყვები. იგი კარგი სპეციალისტია და ამავე დროს მომთხოვნი, ვარჯიშით სულს ამოგხდის. მახსოვს, „კლივლენდიდან“ სამი-ოთხი კვირის გადმოსული ვიყავი, როცა ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ვარჯიშის შემდეგ მკითხა, ხომ არ დაიღალეო. მაშინ იმის თავიც არ მქონდა, რაიმე მეპასუხა. ერთმანეთში თამაშისას მთელ მოედანზე პრესინგს ვთამაშობდით, ყველას ევალებოდა სირბილი და მეურვის დევნა, მიუხედავად იმისა, გამთამაშებელი იყო თუ ცენტრი. თუმც პიტინოს ხელში აშკარად მოვუმატე.

**— ახალ გუნდში როგორ მიგიღეს, ვარსკვლავებთან — ანტუან უოლკერთან და პოლ პირსთან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ?**

— არა, არავითარი. სულ მალე შევეჩვიე ჩემს ახალ გუნდსა და ადგილსამყოფელს. ბოსტონი სულ სხვაა. კლივლენდი სამრეწველო გიგანტია, აქ კი ბევრი უნივერსიტეტია და ქალაქი ახალგაზრდებითაა სავსე. გარდა ამისა, ბოსტონში ბევრი ისტორიული ღირსშესანიშნაობაა, ერთი სიტყვით, სულ სხვა ატმოსფეროა. ანტუანი და პოლი კარგი თანაგუნდელები არიან. ჩვენ თითქმის ერთი ასაკისანი ვართ და მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს.

**— ნბა-ში ყველაზე უფრო ვის წინააღმდეგ გაგიჭირდათ თამაში?**

— ნბა-ში ცენტრთაგან უძლიერესი, რა თქმა უნდა, შაკილ ონილია, რადგან იგი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ყველაზე დიდია. თუმცა, ჩემი აზრით, გაცილებით ძნელია ალონზო მურნინგისა და პატრიკ იუინგის მეურვეობა. ისინი სახიფათონი არიან ფარიდან ოთხი-ხუთი მეტრის მოშორებითაც კი და მათი დევნა დიდ ენერგიას მოითხოვს. ბრწყინვალე ფორმაშია მურნინგი და პირადად მე ყველაზე უფრო მისი დაჭერა მიჭირს-ხოლმე. ალონზო არასდროს გაძლევს მოდუნების საშუალებას და თუ 48 წუთი გიჟივით არ სდიე, თან შენი საუკეთესო თვისებები არ გამოავლინე, პირწმინდად დაგჩაგრავს. გარდა ამისა, დაცვაში იგი გაუვალი კედელივითაა და საკუთარ ფართან არანაკლებ სახიფათოა.

**— ბევრი თვლის, რომ თქვენ მძიმე ფორვარდი (ჩვენებურად თავდამსხმელი) უფრო ხართ, ვიდრე ცენტრი. როგორ ფიქრობთ, ხართ ნამდვილი ცენტრი?**

— კარგი კითხვაა. საკმაოდ მძიმე სხეული მაქვს, კარგი მხტომელი და დამფარებელი არ ვარ, თუმცა, მე მგონი, მოედანზე ცუდად არ ვმოძრაობ და ურიგოდ არ ვესვრი. ვფიქრობ, თავდამსხმელის პოზიციაზე თამაში უფრო მომიხდებოდა და მეც ეს მირჩევნია. როდესაც „ბოსტონში“ გადმოვედი, აქ არ ჰყავდათ დიდი ცენტრი, თავდამსხმელის ადგილზე კი ანტუან უოლკერი თამაშობდა. ანტუანი ჩემზე დაბალია და ცენტრი ვერ იქნება, ამიტომ ეს ამპლუა მე ვიტვირთე.

**— ბავშვობაში ვინ იყო თქვენი კერპი?**

— მაშინ ყველა აღმერთებდა ლარი ბერდს, მეჯიქ ჯონსონს და მაიკლ ჯორდანს. ცხადია, ჩემი იდეალებიც ისინი იყვნენ. მაგრამ ცოტა რომ წამოვიზარდე, მივხვდი, ამ ამპლუის მოთამაშეებისგან მაგალითს ვერ ავიღებდი. როდესაც ლიგაში ლარი ჯონსონი გამოჩნდა, მეც ახალი კერპი გავიჩინე. ლარი დიდი იყო, თან სწრაფი და კარგადაც ისროდა, ხშირად ფარიდან პერიმეტრზე ამოდიოდა, ახლაც ასეა. ბავშვობაში ოთახის კედლები მისი პლაკატებით მქონდა აჭრელებული.

**— კალათბურთისგან თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

— ძალიან მიყვარს წიგნების კითხვა და ფილმების ყურება, მოგზაურობაზეც არ ვამბობ უარს და როცა დრო მაქვს, ხშირად ვალაგებ ჩემოდანს. შტატებსა და კანადაში თითქმის ყველა ქალაქი ვნახე, თუმცა, ჩემი აზრით, ბოსტონი მაინც ყველას სჯობს.

**— კალათბურთის გარდა სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ?**

— ამერიკული ფეხბურთი. ხშირად დავდივარ „ნიუ ინგლენდ პატრიოტზის“ (ბოსტონის საფეხბურთო გუნდია) შეხვედრებზე და თუ დაკავებული არ ვარ, ყოველთვის ვუყურებ თამაშებს ამ გუნდის მონაწილეობით. ისინი ნამდვილი ათლეტები და მეომრები არიან. სწორედ ასეთი უნდა იყოს ჭეშმარიტი სპორტსმენი, ასეთი ვარ მეც.

**ირაკლი ფირუაშვილი**

*მართალია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში უკვე გაიხსნა საწვრთნელი ბანაკები, მაგრამ გუნდები, რომლებმაც ვერ მოასწრეს საბოლოოდ დაკომპლექტება, კვლავ განაგრძობენ ახალ კალათბურთელთა აყვანას.*

# ლტოლვილი მილზი ინდიანამ შეიფარა

**თავდამსხმელი** ჯო სმიტი ამას წინათ თავის გუნდ „მინესოტა ტიმბერვულვზთან“ საიდუმლო და უკანონო ხელშეკრულების გაფორმებაში ამხილეს. ლიგამ ეს კონტრაქტი ბათილად გამოაცხადა და „მინესოტამაც“ ნბა-ს სხვა ფორვარდებს მიაპყრო მზერა. რამდენიმე დღის წინ „მგლების“ ხელმძღვანელობამ „ატლანტა ჰოქსის“ თავისუფალი აგენტი ლაფონსო ელისი მიიწვია, თუმცა, როგორც ჩანს, იგი სმიტის ღირსეულ შემცვლელად არ მიიჩნია და კიდევ ერთ თავდამსხმელს დაუწყო ძებნა. მინესოტელები შორს არ წასულან, მინეაპოლისშივე გამონახეს სასურველი კალათბურთელი. ეს შარონ რაიტი გახლავთ, უკვე პენსიაზე გასული მოთამაშე.

რაიტს კალათბურთის თამაში მიტოვებული კი ჰქონდა, მაგრამ იგი ვეტერანი ნამდვილად არ გახლავთ, ნბა-ში სულ ექვსი წლის წინ მივიდა. 1994 წლის დრაფტში რაიტი „მინესოტამ“ მეექვსე ნომრად აირჩია. გუნდი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და მოთამაშემაც თავიდან გაუმართლა ამომრჩევლებს. პირველ სეზონში, ახალბედობისას მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 11,4 ქულა და 6 მოხსნა გახლდათ. იგი ახალბედების მეორე სიმბოლურ გუნდშიც შეიყვანეს. თუმც რაიტმა შემდგომი რამდენიმე სეზონი ულიმღამოდ თამაშში გალია და ჩამქრალი ტალანტის სახელიც დაიგდო. ამას ისიც დაერთო, რომ 1998 წელს ავარიაში მოჰყვა და სერიოზულმა ტრავმამ აიძულა, კალათბურთიდან წასულიყო (როგორც აღმოჩნდა, დროებით).

მატებაა „ინდიანაშიც“. ნბა-ს ფინალში გასვლის შემდეგ „პეისერზი“ ძირფესვიანად შეიცვალა. კალათბურთს თავი დაანება რიკ სმიტსმა, რომელიც ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში გუნდის შეუცვლელი ცენტრი გახლდათ.

ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად ვიცე-ჩემპიონმა 4 ოქტომბერს ტერი მილზი აიყვანა. ეს უკანასკნელი ბედნიერი უნდა იყოს იმით, რომ, როგორც იქნა, საბოლოოდ დამკვიდრდა ერთ გუნდში. ამ ბოლო ხანებში მილზი ბევრს „მოგზაურობდა“. შარშან მან „მაიამიში“ დაიწყო და ახალი სეზონის დასაწყისს „დეტროიტში“ შეეგებებოდა, ამ გუნდს „დალასისთვის“ რომ არ გაეცვალა. ამ რამდენიმე კვირის წინ ტერი „დალასიდანაც“ გამოაგდეს, არ გვჭირდებიო და ეს ლტოლვილი რამდენიმე დღის წინ ვიცე-ჩემპიონმა „ინდიანამ“ შეიფარა.

მილზი ურიგო მოთამაშე არაა. 208-სანტიმეტრიან თავდამსხმელ-ცენტრს ნბა-ში ცხრა სეზონი გაუტარებია. მისი კარიერის საშუალო შედეგიანობაა 10,8 ქულა, 5,5 მოხსნა და 1,3 პასი.




ტერი მილზი (№6) ვინს კარტერს უფარებს

**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23



# ყაჩაღთა შთამომავალი უოქროოდ ვერ ისვენებს

## მუხრან ვახტანგაძე ოლიმპიურმა ბრინჯაოს ხალიჩაზე დატოვა

სიდნეიში წასვლის წინადღეს ფალავანთა კლუბში ბეგი დარჩიასთან (ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი) სასაუბროდ მისულს დარბაზში ალექსანდრე ცერცვაძე, მუხრან ვახტანგაძე და გენადი ჩხაიძე დამხვდნენ. გადავწყვიტე, მათაც გამოვლაპარაკებოდი და რადგან მწვრთნელმა განსაკუთრებით ვახტანგაძე შეაქო, ამ დროისთვის გუნდში ყველაზე მეტადაა საბრძოლველად შემართული, თუ ეს განწყობა ოლიმპიადაზეც შეინარჩუნა, ჩათვალეთ, საჩემპიონო კაციაო, პირველად მას მივაშურე. მისვლის მიზეზი რომ გაიგო, მუხრანმა მორიდებით გაიღიმა და თანაგუნდელებზე მანიშნა, ფავორიტები ეგენი არიან და მათ ესაუბრეო. მისმა მწვრთნელმა ჯონი რეხვიაშვილმაც იგივე გაიმეორა. მაგრამ წავიდა მუხრანი ოლიმპიადაზე და ვლადიმერ ჭანტურიასთან ერთად „ბრინჯაოს ხანის“ ყველაზე დიდ მოულოდნელობად იქცა.



თბილისში დაბრუნებულ მუხრან ვახტანგაძეს აეროპორტში ნაცნობ-მეგობრები მრავლად დახვდნენ



ოლიმპიურ კვარცხლბეკზე: შანდორ ბარდოში, ჰამზა ერლიქაია და მუხრან ვახტანგაძე

**— მუხრან, თუ შეიძლება, მკითხველს გააცანით თქვენი თავი და პირველი ნაბიჯები სპორტში.**

— 27 წლის ვარ, ვარჯიში 12 წლისამ დავიწყე. ხელვაჩაურში დავიბადე, მაგრამ სკოლაში ბათუმში დავდიოდი. ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი, სკოლაში ვერაფრით მომათვინიერეს და 12 წლისა მშობლებმა ხულოს სკოლა-ინტერნატში გამგზავნეს, სადაც სასწავლო ნაწილის გამგედ ჩემი ნათესავი მუშაობდა. იქ მკაცრი რეჟიმი და კარგი საჭიდაო სკოლა იყო. რადგან სხვა გასართობი არ მქონდა, დავიწყე ვარჯიში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გოდერძი ბოლქვაძესთან. საერთოდ, ცხოვრებაშიც ჟინიანი ვიყავი, მებრძოლი და ეს სპორტში ძალიან გამომადგა.

**— კი მაგრამ, ხულოში რომ გაგზავნეს მშობლებმა, ბათუმში არ იყო სხვა სკოლა, ან თუნდაც იგივე ინტერნატი?**

— სამი სკოლა გამოვიცვალე ბათუმში და ვერსად მომარჯულეს. იმ ნათესავის იმედად გამიშვეს ხულოში. მადლობა ღმერთს, ასე რომ მოხდა. ეს ბედნიერი შემთხვევა გამოდგა. იქ ოთხი წელიწადი გავატარე, გოდერძი ბოლქვაძის მზრუნველობა წუთითაც არ მომკლებია და მისგან ადამიანობა, კაცობა ვისწავლე. სამწუხაროდ, ის ვერ მოესწრო ჩემს წარმატებას — სიდნეიში წასვლამდე ათი დღით ადრე გარდაიცვალა. მის ცხედართან დავიფიცე, თუ მსაჯებმა არ დამჩაგრეს, ოლიმპიადიდან უმედლოდ არ ჩამოვალ-მეთქი.

**— მაინც რას აკეთებდი ასეთს სკოლაში, არსად რომ არ გაჩერებდნენ?**

— სულ ვჩხუბობდი. უსამართლობას ვერ ვიტანდი. ჩემი თანდასწრებით ვერავის დაჩაგრავდნენ. სათქმელსაც პირდაპირ ვამბობდი. ახლაც ასეთი ვარ. ცელქიც ვიყავი. სულ რაღაცას ვამტვრევდი, ვაფუჭებდი, ფულზეც ვთამაშობდი. როცა ხელვაჩაურში ჩემს ძველ უბანში მივდივარ, არავის სჯერა, რომ ასე შევიცვალე. თუმცა, სპორტის გადამკიდეს იქ ჩასვლა ოცნებად მექცა.

**— მერე რა მოხდა თქვენს ცხოვრებაში, რამ შეგცვალათ?**

— სპორტმა. გითხარით, რომ ჟინიანი ვიყავი. ვერ წარმომედგინა ტოლსწორთან წაგება. ყოველთვის პირველობა მინდოდა. თავიდან ჩემს ასაკში სულ ვიგებდი. წარმატებამ გამახალისა, მაგრამ გამათამამა კიდეც. ამიტომ ვარჯიშს მოვუკელი და ერთი წელიწადი სულ ვაგებდი. ამან მეტი სტიმული მომცა ახალი გამარჯვებების მისაღწევად. მინდოდა, ჩემს მძლეველთათვის სამაგიერო გადამეხადა და თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. ასე თანდათან გამიტაცა სპორტმა, მომეწონა, მივეჩვიე რეჟიმს და შავბნელ საქმეებზე საფიქრალად აღარ მეცალა.

**— ბავშვობიდან რა შემოგრჩათ?**

— ჟინი, აზარტი, მებრძოლი ხასიათი, სამართლიანობა. ჩემს გვერდით ვერავინ დაიჩაგრება. კიდევ, სიფიცხე, თუმც ეს თვისება, ალბათ, გენეტიკურად მივიღე ყაჩაღი წინაპრებისაგან.

**— ასეთებიც გყავდნენ?**

— ჩემს გვარს 250-წლიანი ისტორია აქვს. რაჭიდან შუახევში გადმოსახლებულა ყაჩაღი, ვინმე გოგია, რომლის გვარიც არ შემონახულა. დღეს იმ სოფელს მის პატივსაცემად გოგაძეები ჰქვია. მისი ერთ-ერთი შვილი — ვახტანგი მოგვიანებით დასახლებულა მეზობელ სოფელში, დღევანდელ ვახტანგეთში. ჩვენი გვარიც აქედან მოდის.

სხვათა შორის, დედაჩემის ბაბუაც ყაჩაღი ყოფილა.

**— ასეთი ხალხის შთამომავალი წაგებას ვერ შეეგუებოდით.**

— წაგება ვის სიამოვნებს, მაგრამ სპორტი სპორტია. ხან მოიგებ, ხან წააგებ. თუ აგებ, შენი ბრალია და არა სხვისი. ეს იგი, რაღაც დააკელი საკუთარ თავს. ამით არასოდეს დავბოღმილვარ. მეტოქეს სამაგიეროს ყოველთვის ხალიჩაზე ვუხდიდი — სამჯერ მეტს ვვარჯიშობდი და ვუგებდი.

**— მშობლები როგორ შეხვდნენ სპორტით თქვენს გატაცებას?**

— მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, კარგად მესწავლა. სხვათა შორის, ნიჭიერიც ვიყავი და სკოლა მაღალ ნიშნებზე დავამთავრე. მაგრამ 45 წუთი ერთ ადგილზე გაჩერება ძალიან მიჭირდა. გაკვეთილის ბოლომდე ვერ ვძლებდი.

მშობლებსაც უკვირდათ, რეჟიმმა ორ წელიწადში სულ რომ შემცვალა. მათთვის სპორტი უცხო იყო, არც მისი ფასი იცოდნენ. მაგრამ მერე, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით წარმატებებს მივაღწიე, დამინიშნეს ხელფასი და თავს როგორღაც ვირჩენდი, კმაყოფილები დარჩნენ. თუმცა მაინც სულ ჩამჩიჩინებდნენ, რად გინდა ეს ჭიდაობა, რა უნდა მოგცეს, აჯობებს, სადმე კარგ სამსახურში მოეწყოო. მაგრამ მჯეროდა, რომ თავდაუზოგავი შრომა შედეგს მოიტანდა. ვგრძნობდი, დიდ წარმატებასთან ახლოს ვიყავი. საბედნიეროდ, მოლოდინი გამიმართლდა და ამაში დიდი როლი ითამაშა ჩემმა მწვრთნელმა ჯონი რეხვიაშვილმა. მან რწმენა შემმატა და, საერთოდ, არ ვიცი, უიმისოდ რას მივაღწევდი. მხოლოდ მას სჯეროდა ამ წარმატებისა. ჩემზე მეტადაც. ძალიან ვემადლიერები აგრეთვე ბათუმელ თენგიზ თედორაძეს. ჯერ ხომ მის ჭიდაობაზე ვიზრდებოდი, ხალიჩიდან წასვლის მერე, თენგიზი თვითონ მოდიოდა დარბაზში და მავარჯიშებდა, არც რჩევა-დარიგებებს მაკლებდა.

**— მუხრან, ვნახე, როგორ დაგხვდნენ მეგობრები აეროპორტში. აგერ, მეორე დღეა და ისინი ისევ თქვენს გვერდით არიან. ვხედავ, მხოლოდ სპორტზე არ უნდა იყოთ მიჯაჭვული. მაინც, როგორია მუხრან ვახტანგაძე ცხოვრებაში?**

— მუდამ მზად ვარ სხვების დასახმარებლად. ასეთია ჩემი ცხოვრებისეული მრწამსი. იქნებ ეს ჩემი, როგორც მოქმედი სპორტსმენის, ნაკლიც იყოს, რადგან ამის გამო ხშირად რეჟიმს ვარღვევ, მაგრამ ასეთი ვარ და რა ვქნა. ამდენი მეგობარიც ამიტომ მყავს. ვარჯიშის შემდეგ რომ არ მოვინახულო, არ შემიძლია. ისინი ჩემი ოჯახის წევრებივით არიან და ეს წარმატება მათმა მხარდაჭერამაც განაპირობა.

თავისუფალ დროსაც ისე ვატარებთ, როგორც გარემოება მოითხოვს, თუმცა სასმელი მაინცდამაინც არ მიყვარს და ვერც ბევრს ვსვამ. შვიდი ჭიქა ღვინო გვარიანად მათრობს.

**— ოჯახი ახსენეთ და ალბათ დროა, იგი უფრო ახლოს გაგვაცნოთ.**

— მყავს მეუღლე, მაკა ჭყონია და შვილები — 2 წლის და თერთმეტი თვის გიორგი და მასზე ზუსტად ერთი წლით უმცროსი მარიამი.

მაკა რომ არა, სპორტიდან დიდი ხნის წასული ვიქნებოდი. ის სულ მარწმუნებდა, გაიმარჯვებო და ამ წარმატებაში დიდი წვლილიც მიუძღვის. შვილები კი დამატებით სტიმულს მაძლევენ — როცა ხალიჩაზე გავდივარ, სულ იმას ვფიქრობ, ჩემი გიორგის და მარიამის მამას ვინ უნდა მოუგოს-მეთქი.

**— მახსოვს, შარშან კარტოზიას ტურნირი რომ მოიგეთ, გიორგი მაშინვე ხალიჩაზე შემოვარდა, მერეც სულ უკან დაგდევდათ და ბოლოს კვარცხლბეკზეც ამოვიდა. მასაც ჭიდაობისკენ ხომ არ მიუწევს გული?**

— ჯერ პატარაა, მაგრამ უკვე გაიძახის, უნდა ვიჭიდავოო. სიდნეიში მიმავალს შემეხვეწა, მამა, ოქროს მედალი ჩამომიტანე ავსტრალიიდანო.

**— მუხრან, მინდა, ჩვენი ამასწინანდელი შეხვედრა გავიხსენო ფალავანთა კლუბში... მანამდე ბეგი დარჩიამ ძალიან გაქოთ, რაც, არ დაგიმალავთ, გადაჭარბებული მეჩვენა. არ ელოდით ამ მედალს?**

— დიდი მადლობა ბეგის ამ სიტყვებისთვის. ეს პირველად მესმის. მაშინ დარბაზში ჩემზე ტიტულიანი სპორტსმენები იმყოფებოდნენ და ეგ იმიტომ გითხარით, თორემ იმედი როგორ არ მქონდა. კარგად ვიყავი მომზადებული. ბოლოს მოწყობილი ოთხი შეკრება ძალიან წამადგა ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც.

**— სპორტიდან წასვლას ჯერ ხომ არ აპირებთ?**

— არა, ნამდვილად არა, სიდნეიში რომ მომეგო, წავიდოდი, ახლა კი არა. ჩემი სურვილია, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდე. ღმერთის წყალობით, ალბათ, ამ სურვილს ათენში ავისრულებ.

**— არადა, ეს სიდნეიშიც შეგეძლოთ.**

— ჰამზა ერლიქაიას ადრე რომ შევხვედროდი, ეგებ უფრო თავისუფლად მეჭიდავა. ვიცოდი, ჩვენს შორის გამარჯვებული ჩემპიონი გახდებოდა, რადგან მეორე წყვილში შედარებით სუსტები გავიდნენ. ჩვენი შეხვედრა მართლაც ნაადრევ ფინალად მონათლეს. ამან როგორღაც შემბოჭა. თანაც, ვხვდებოდი, თურქთან არ მომაგებინებდნენ, თუ რამდენიმე თავით მაღლა არ ვიდგებოდი. მართლაც, პირველი ქულა მეტოქეს აჩუქეს. მე უფრო პრაგმატული ჭიდაობის სტილი მაქვს. ბევრ ქულას არ ვაგროვებ, მაგრამ არც ვკარგავ. მსაჯების საქციელზე, ავღელდი და წავაგე, თუმცა მერე ნორვეგიელ ფრიც აანსენთან მაინც განვეწყე საბრძოლველად და იოლად მოვუგე. სხვათა შორის, სალიცენზიო ტურნირებზე აანსენმა სამჯერ მოუგო ერლიქაიას. როგორც მითხრეს, თურქეთში დაბრუნებულ ჰამზას ტელევიზიით უთქვამს, ყველაზე მეტად გურჯ ვახტანგაძესთან გამიჭირდაო.

**— მუხრან, მომავალს იმედიანად უყურებთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მეტად პერსპექტიული და ამბიციური თაობა მოდის, რომელიც თვითონ აპირებს ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლას და იოლად არაფერს დაგითმობთ.**

— თაობა მართლაც ნიჭიერი მოდის: გიორგი რურუა, ზვიად ქარდავა, ჩემი მწვრთნელის ვაჟი — დევი რეხვიაშვილი. არც ემზარ მახარაძე უნდა დაგვავიწყდეს. ყველას შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მეც ჩემსას ვეცდები.

**— თქვენი და დევი რეხვიაშვილის გზები რომ გადაიკვეთოს, ჯონი როგორ პოზიციას დაიკავებს?**

— მამამ რომ შვილს უქომაგოს, ცხადია, არ გაემტყუნება, მაგრამ ის იმდენად წმინდა გულის კაცია, ყოველთვის სიმართლეს მიემხრობა. გითხარით, ის მამასავით მპატრონობდა. მე მის სახლში ვცხოვრობდი და დევი ჩემს გვერდით იზრდებოდა.

სხვათა შორის, მე და დევი საქართველოს პირველობებზე სამჯერ შევხვდით ერთმანეთს და ჯონი არც ერთხელ არ შემოსულა დარბაზში.

*საუბრისას მუხრანმა ისიც მითხრა, ამ მედალს ოჯახის წევრებს, ნაცნობ-მეგობრებს, ახლობლებსა და ქომაგებს ვუძღვნიო, სულ ბოლოს კი საქართველო დაასახელა. თან განმარტა, ოქრო რომ ამეღო, მაშინ პირველად საქართველოს ვიტყოდიო. იმედია, ამის დროც მოვა და თუ დღეს მუხრანმა გარდაცვლილ მწვრთნელს შეუსრულა პირობა, ხვალ შვილსაც აუსრულებს სურვილს.*

ირაკლი თავაძე



მუხრან ვახტანგაძემ (მარცხნივ) ბრინჯაოს მედალი ნორვეგიელი ფრიც აანსენის ძლევით მოიგო



# ზურაბ ჟვანიამ ოლიმპიელები და ჯანო ბაგრატიონი „ბაგრატიონით“ ადღეგრძელა



ელდარ კურტანიძის ავტოგრაფი საქართველოს პარლამენტს

**სასიამოვნო** მოუსვენრობაში არიან ჩვენი ოლიმპიელები. ჯერ იყო და სიდნეიდან თბილისისკენ გეზაღებულებს გზად ათენში საქართველოს ელჩი საბერძნეთში ალექსანდრე ჩიკვაიძე შეეგება ამალითურთ და ქალაქიც შემოატარა; მერე იყო დილაუთენია საზეიმო დახვედრა თბილისის აეროპორტში, მიღება საქართველოს პრეზიდენტთან, გუშინ კი ოლიმპიელებს საქართველოს პარლამენტი ფეხზე წამოუდგა და ტაშით შეეგება. დარბაზი ტაშით შეეგება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, პარლამენტარ ჯანო ბაგრატიონსაც, რომელიც ავადმყოფობის მერე პირველად გამოჩნდა თავისი კოლეგების იმ საფიხვნოში.

იქვე დაისვა საკითხი, ჩვენს თავგამოჩენილ ოლიმპიელებს დაპირებული პრემიალური თანხა დაუბეგრავად გადავცეთო. გადაწყდა, რომ ეს საკითხი განიხილონ პარლამენტის კომიტეტებში და წარმოადგინონ წინადადება.

ეტყობა, ოლიმპიურ თამაშებზე პირველ ექვს ადგილზე გასული ჩვენი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები, ისე როგორც სხვა მრავალი ქვეყნისა, პრემიებს დაუბეგრავად მიიღებენ.

დაიმსახურეს კიდეც, რადგან, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ბრძანა, ჩვენმა ოლიმპიელებმა მედლების რაოდენობით აჯობეს მრავალი წელგამართული და დალხენილი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელთაგან ბევრი სულაც საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა.

ბატონი ზურაბ ჟვანია მხოლოდ მილოცვებსა და კომპლიმენტებს არ დასჯერდა და საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის წევრები მიიწვია პარლამენტის პრეს-კაფეში, სადაც მათი, ჯანო ბაგრატიონისა და მთელი ოლიმპიური დელეგაციის სადღეგრძელო კოლეგებთან ერთად შამპანურ „ბაგრატიონით“ დალია. ბოლოს ოლიმპიურ მედალოსნებს დაფაზე დაატოვებინა ავტოგრაფები. იმ დაფაზე პირველი ავტოგრაფები დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ამსვლელ ქართველ მთამსვლელებს დაუტოვებიათ. მას მერე საქართველოს სპორტულ საზოგადოებას და მათ გულშემატკივრებს დიდად სასიხარულო ალარაფერი ჰქონიათ. ამიტომ დაფაზე მთამსვლელთა ავტოგრაფებს ოლიმპიელებისა მოჰყვა.

იქ კიდევ ბევრი ადგილია...

**ავთანდილ ჭყუიშელი**

**ავტორის ფოტოები**



პარლამენტმა ოლიმპიურ მედალოსნებს სუფრაც გაუშალა



ფოტო სამახსოვროდ: აკაკი ჩაჩუა, გიორგი ვაზაგაშვილი, ზურაბ ქვანია, გიორგი ასანიძე და ელდარ კურტანიძე




ანდრეა ტაფი

# ზაბელ კაპუტ!

## ტაფი ფრანგულ ტაფაში მოიხრაკა

**იტალიის** ნაკრების მიღმა დარჩენილმა ანდრეა ტაფიმ კვირას მარტოობაში მოიგო მსოფლიოს თასის მეცხრე ეტაპი, პარიზი-რუბეს კლასიკური რბოლა, რომელიც ტრადიციულად სპრინტერული ფინიშებით სრულდება ხოლმე და ყველას, ვინც პლუეიში, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა, დაუმტკიცა, რომ არასწორად მოიქცნენ.

„იტალიური ველოსპორტის თავკაცებმა მითხრეს, რომ ფორმაში არ ხარო“ — ირონიულად განაცხადა ტაფიმ 254,5-კილომეტრიანი რბოლის ბოლოს, რომელიც ახალგაზრდა ფრანგი სილვენ შავანელის (21 წლის) გაქცევითაც იყო საინტერესო.

ქვაფენილიანი გზების სპეციალისტმა ტაფიმ პარიზი-რუბე შარშანაც მოიგო, ფინიშამდე 23 კილომეტრით ადრე განახორციელა შეტევა, როცა წვიმა გადაღებას აპირებდა. მან დაწინაურებულ 13-კაციან ჯგუფში თანაგუნდელების სიმრავლით ისარგებლა. თუმცა იტალიელს მხოლოდ ნარდელოსა და ბეტინის დახმარებით არ უხეირია, იგი ხულ შეტევაზე ფიქრობდა და საწადელსაც მიაღწია. თავიდან, ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე, ტაფიმ ბელგიელებთან ნიკო მატანსა და რიკ ვერბრიუგესთან ერთად სცადა გაქცევა, გადამწყვეტი იერიში კი მაშინ მიიტანა, როცა ანდრეი ჩმილის წინამძღოლობით პირველი მდევრები მიუახლოვდნენ დაწინაურებულებს.

ისე, არც ნარდელოსა და ბეტინის უნდა დავუკარგოთ გარჯა. ისინი ყველა შეტევას აკონტროლებდნენ და ტაფის დაწევის მცდელობებს დასაწყისშივე ალკვეთდნენ ხოლმე. ყველაზე მეტად ჩმილი აქტიურობდა, რომელსაც ძლიერ სურდა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში ერიკ ზაბელს დასწეოდა. ბელგიელმა მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია მიზანს, რადგან ტურნირის ბოლო, მეათე ეტაპის წინ (ლომბარდიის ტური, 21 ოქტომბერი) ზაბელმა 74-ქულიანი მარაგი „დაიტოვა“ თავისი მე-11 ადგილით.

„სე ლა ვი“ — ფრანგულად განაცხადა ზაბელმა მას შემდეგ, რაც ფინიშის ხაზზე თავისი ფიზიკური მდგომარეობა ერთი გერმანული სიტყვით შეაფასა და რომელსაც არ ვთარგმნით, რადგან ფრანგული ფრაზისა არ იყოს, მაინც ყველა გაიგებს — „კაპუტ“. მასავით დაღლილები ჩანდნენ სხვა ტელეკომელებიც, რომლებმაც თავიანთი სპრინტერის დახმარება ვერაფრით შეძლეს. გერმანულ გუნდს კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვა — წაიქცა და დაშავდა იან ულრიხი, რომელიც შესაძლოა გუშინ ჯაბუკთა შეჯიბრით დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ გამოვიდეს. ფრანგულ ქალაქ პლუეიში წარმატების საკმაოდ კარგი შანსი აქვს ჩმილს. ტაფის კი...

„ეს ჩემი პირველი წარმატებაა ამ სეზონში, თუმცა „ვუელტას“ შემდეგ მშვენიერ ფორმაში ვარ და არც პლუეიში შევირცხვენდი თავს. მიკელე ბარტოლის გრეგარადაც რომ წავეყვანეთ, მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი. უცხოელმა მრბოლებმა რომ გაიგეს, მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვაკლდი, ჩვენთვის მშვენიერი ახალი ამბავიაო, მითხრეს“ — სინანულს ვერ მალავდა იტალიის ნაკრებს ჩამოცილებული ანდრეა ტაფი.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მსოფლიოს თასი**

მეცხრე ეტაპი

პარიზი — რუბე, 254,5 კმ

1. ანდრეა ტაფი (იტალია, მაპეი) — 6სთ 38წთ 36წმ
2. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — +38წმ
3. დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) — +38
4. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 1წთ 35
5. გორაზდ სტანგელი (სლოვენია, ლიკიგასი) — 1წთ 38

**საერთო ჩათვლა**

1. ერიკ ზაბელი (გერმანია) — 347 ქულა
2. ანდრეი ჩმილი — 276
3. რომანს ვაინშტეინსი (ლატვია) — 204
4. პაოლო ბეტინი — 201
5. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) — 160

გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# თაგუნები ექსპერიმენტს გადაურჩნენ

## ბათუმში ბელარუსულად გამოიდარა



ტატიანა პუჩეკი

ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

რას მივიღებთ აქედან, ძნელი სათქმელია — მაყურებელთა მისაზიდად და დასაინტერესებლად გამოგონილმა მორიგმა ხერხმა შეიძლება ჩოგბურთელებზე უარყოფითად იმოქმედოს და ნევროზული შეტევების ან თვითმკვლელობის მიზეზად იქცეს.

ჯერჯერობით ბათუმიდან ნოვატორული სისტემის მსხვერპლთა შესახებ არაფერს იტყობინებიან. ის კი არა, საპრიზო ფონდის კიდევ უფრო გაზრდითა და WTA ტურის ნამდვილ პირველობასთან მიახლოებით (ბათუმში 75 ათასი დოლარი დაარიგეს, ყველა მცირე ტურნირზე კი იგივე მაჩვენებელი 112 ათასია) უკმაყოფილო ნამდვილად არავინ დარჩებოდა. ეგაა მხოლოდ, მოთამაშეები და მაყურებლები მჟავე ამინდმა და გადაუღებელმა წვიმამ გააწვალა, რის გამოც ტურნირი ერთი დღით გვიან დაიწყო.

ქართველ ჩოგბურთელთაგან მწვანეების არნახულად დიდი რაოდენობის მოპოვების შესაძლებლობით, როგორც ყოველთვის, მხოლოდ მაკა ჩახნაშვილმა ისარგებლა. ყველა სხვამ, სულ კი ბათუმში ათამდე ქართველი თამაშობდა, კვალიფიკაციაში ან ძირითადი ბადის პირველივე წრეში წააგო.

ჩახნაშვილმა ჯერ პოლონელ მარინა ლაზაროვსკაიას სძლია, მერვედფინალში კი რუსი გალია ფოკინა დაამარცხა. ისევე, როგორც „ქართუ ბანკის" პირველობაზე, 17 წლის თბილისელს ბათუმშიც არგენტინელმა მარიანა დიას-ოლივამ შეაწყვეტინა წინსვლა. ბრძოლა აქაც დაძაბული იყო და სამხრეთამერიკელმა მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტ სეტში იძალა. იმედია, გაისად დიას-ოლივას საქართველოში არც ერთ ტურნირზე აღარ მიიწვევენ, მაკას კი ერთხელაც მივულოცავთ წარმატებულ ასპარეზობას და ვუსურვებთ, ქართველი ჩოგბურთის ქომაგები ხშირად გაეხარებინოს.

ფინალი ბათუმში სრულიად ბელარუსული გამოდგა. ჩახნაშვილის ჯავრი უკვე მომდევნო ეტაპზე ამოიყარა ტატიანა პუჩეკმა, მისმა თანამემამულე ნადეჟდა ოსტროვსკაიამ კი ნახევარფინალში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო იუნიორი, აშშ-ის ღია პირველობისა და უიმბლდონის ფინალისტი ტატიანა პერებინისი დაამარცხა.

ბელარუსებმა ფინალში უშელავათოდ იბრძოლეს. ჩასკვნილ-ჩასუქებულმა ოსტროვსკაიამ პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, თუმცა გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზე მცირე უპირატესობით მაინც გაცილებით აგრესიულმა (და ნერვიულმა) პუჩეკმა იმარჯვა.

ჩემპიონს 11 760 დოლარი ერგო, ფინალისტს — 6 272.

**ელგუჯა ფხაკაძე**

ბათუმიდან

**საქართველო. ბათუმის ქალთა ღია პირველობა. ხალიჩა. საპრიზო 75 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ნადეჟდა ოსტროვსკაია** (1, ბელარუსი) — ჟული პულინი (ინგლისი) 4:1, 4:2, 5:4 (7:5); **ტატიანა პუჩეკი** (2, ბელარუსი) — ტატიანა კოვალჩუკი (უკრაინა) 5:4 (7:4), 2:4, 2:4, 4:1, 4:0; **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) — მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) 4:5 (3:7), 4:1,4:1, 1:4, 4:2; **ტატიანა პერებინისი** (უკრაინა) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 4:2, 4:2, 4:1

ნახევარფინალი: **ნადეჟდა ოსტროვსკაია** — ტატიანა პერებინისი 4:2, 4:2, 4:1; **ტატიანა პუჩეკი** — მარიანა დიას-ოლივა 5:4 (11:9), 5:3, 0:4, 4:0

ფინალი: **პუჩეკი** — ოსტროვსკაია 4:1, 4:1, 2:4, 1:4, 5:4 (7:4)

თუ ზემოთ მოყვანილ ანგარიშებს თვალი გადაავლეთ, დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ — არც ჩვენ გაგიჟებულვართ, არც ბათუმის ტურნირის ორგანიზატორები და ეს არც გაზეთში გაპარული შეცდომაა. უბრალოდ, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) მომდევნო ექსპერიმენტებით ჩოგბურთის პოპულარობის გაზრდას ცდილობს. საცდელ თაგუნებად კი, როგორც ყოველთვის, შედარებით მცირე მასშტაბის კაცთა და ქალთა პირველობები იქცა.

ასეთი ფორმატით მატჩების მოსაგებად ორი კი არა, სამი ხელის მითვლაა საჭირო, სამაგიეროდ, თავად სეტები შედარებით დამოკლდა: თამაში ექვსის ნაცვლად ოთხი გეიმის მოგებამდეა, ტაი-ბრეიკიც 6:6-ის ნაცვლად 4:4-ზე ინიშნება. მიზანი რიგითი, უმნიშვნელო გეიმების რაოდენობის შემცირება (განსაკუთრებით ყველა სეტის დასაწყისში) და დაძაბული, გადამწყვეტი მომენტების ზრდაა.

კრივი



მაიკ ტაისონთან საჩხუბრად ანჯეი გოლოტას ელ კერტო ამზადებს

# ვინ აუშვა ძაღლები?

## დიდინებს შავბნელ წარსულზე მოლაყბე გოლოტა და ტაისონს გალახვას უპირებს

„ნიუ ჯერსის შტატში, ჯერსი სიტის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშმომთავრებული ანჯეი გოლოტა გარეთ გამოვიდა და ხმა ააყოლა პოპულარულ სიმღერას — „ვინ აუშვა ძაღლები?", დინამიკებიდან რომ იღვრებოდა" — ჰყვება სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტი გუშინდელ ცნობაში. სიმღერის სათაურში დასმული კითხვა აქტუალურია — მაიკ ტაისონი და ანჯეი გოლოტა ერთმანეთს 20 ოქტომბერს დაკბენენ და მათი გამჩერებელი არც არავინაა, რადგან „რკინის მაიკმა" 10 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს და პოლონელმა — 2,2 მილიონი, ეს კი ხუმრობა საქმე არ არის. რინგზე ძალლური ქცევებით ორივე ცნობილია. ტაისონისგან ევანდერ ჰოლიფილდის ყურის მოჭმისა და ლენოქს ლუისის გულის გამოღების ზრახვის ამბები ყველამ იცის, გოლოტაც ნაკლებ ხმაურიანი, მაგრამ ასევე ბინძური ამბებით გათქმული გახლავთ. ორჯერ გააგდეს რინგიდან — რიდიკ ბოუს წელს ქვემოთ მუშტები რომ უთავაზა და ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ჩაწყობილი ბრძოლების ოსტატად თვლიან. 36 გამარჯვებასთან ერთად ნაგები 4 წაგებიდან მისი ორი მარცხია ყველაზე საეჭვო. სამი წლის წინ ლენოქს ლუისმა პირველ რაუნდში თითქმის უჩხუბრად დააგდო, ხოლო 98-ში ცხრა რაუნდის მანძილზე ცემით გაასია მაიკლ გრანტი, ორჯერ დასცა და საკმარისი გამოდგა მეათე რაუნდში ამერიკელის ეთი შტურმი, რომ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი ეთქვა, თუმცა რეფერიმ კითხვა ხუთგზის მაინც გაუმეორა.

ტაისონთან ბრძოლისწინა დღეებში გოლოტა წარსულზე გულუბრყვილოდ საუბრობს. ის მაიკზე ნაკლებ ყიამყრალია და წესიერი ლაპარაკი ეხერხება. „არ ვიცი, გრანტთან როგორ წავაგე — ეუბნება გოლოტა ჟურნალისტს და კისრის კუნთებს ავარჯიშებს — მეათე რაუნდში უცებ ისეთი დაღლა ვიგრძენი, მუშტებს მაღლა ვერ ვწევდი. როცა გონს მოვედი, უკვე გვიან იყო". რა იყო და როგორ, ეშმაკმა უწყის, ხოლო წაგებისთვის განტევების ვაცად მიჩნეული მწვრთნელი, როჯერ ბლადვორთი (რომელიც მას წლების მანძილზე არიგებდა ჭკუას), გოლოტამ დაითხოვა და ახლა ელ კერტო ავარჯიშებს, რომელიც შეგირდზე აღფრთოვანებით საუბრობს. „მინდა, რაღაც გითხრათ — ნებართვას ითხოვს კერტო — ამ ბიჭს ოცი მძიმეწონოსნის ნიჭი აქვს. იგი ჯერ კიდევ 5 წლის წინ ჩემპიონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამარჯვების ხელოვნებას ვერ ფლობს. მე მის ჩხუბში არაფერს შევცვლი, უბრალოდ ვასწავლი, როგორ გაიმარჯვოს და ეს საკმარისი იქნება".

არადა, 20 ოქტომბერს გოლოტა ძალიან მაგარ ვინმესთან იჩხუბებს, ეყოფა კი კერტოს ნასწავლი?

**დავით გულუა**

ჰოკეი

# რეკორდი ოჯახში დარჩა

9 ოქტომბერი

**ტორონტო — დალასი 1:3**

**1:0 0:0 0:3**

**1:0 სვობოდა 14'22 (1); 1:1 ჰალი 47'22 (1); 1:2 მოროუ 49'13 (1); 1:3 ნუინდაიკი 53'58 (1)**

„მთელი ზაფხული, ეს მესმის, მერე საწვრთნელ ბანაკშიც იგივეს მიმეორებდნენ, ამიტომ ამ საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა" — თქვა მატჩის შემდეგ გახარებულმა ბრეტ ჰალმა, თან დასძინა, არა მგონია, ამით მამაჩემი გამენაწყენებინაო. წინა სეზონი უმცროსმა ჰალმა კარიერის განმავლობაში გატანილი 610 შაიბით დაასრულა, რაც მისი ლეგენდარული მამის, ბობის შედეგს უდრიდა. ახლა კი, სეზონის მესამე მატჩში, ბრეტმა (1+2) მას გაუსწრო. ხარობდა ბრენდენ მოროუც (1+2), ჰალის ახალგაზრდა პარტნიორი. სწორედ მან მიაწოდა საგოლე პასი თავსიზე 15 წლით უფროს ვარსკვლავს, რომელიც ბავშვობაში თურმე კერპად მიაჩნდა. ეს გოლი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ დალასმა ინიციატივა იგდო ხელთ და ამ წყვილის უშუალო მონაწილეობით გატანილი კიდევ ორი შაიბის ხარჯზე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

**ბოსტონი — ფლორიდა 4:2**

**2:1 2:1 0:0**

**1:0 ნაბლი 1'47 (1); 1:1 ნიდერმაიერი 4'11 (1); 2:1 ელორანტა 8'54 (1); 3:1 ელისონი 40'42 (2); 4:1 აქსელსონი 52'18 (1); 4:2 უიტნი 57'46 (1).**

ბოსტონელი „დათვები" ყველა ღონეს ხმარობენ, რათა წინა სეზონის უხეირო დასაწყისი არ გაიმეორონ. ყველაზე მეტად კი ის ჰოკეისტები გამოირჩევიან, რომლებიც ლამის სეზონის დაწყებამდე ეომებოდნენ კლუბს კონტრაქტების თაობაზე. ჯო ტორნტონი, ჯეისონ ელისონი და სერგეი სამსონოვი ყველა თამაშში ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ხელფასი ტყუილად არ მოუმატეს. ზედიზედ მეორედ დამარცხებულ ფლორიდელთაგან კი პაველ ბურესა და მისი სახელოვანი თანამემამულის, ლარიონოვის გარდა ჯერჯერობით ვერავის გამოვარჩევთ.

**კოლუმბუსი — ლოს ანჯელესი 1:7**

**0:2 0:1 1:4**

**0:1 რობიტაილი 5'19 (3); 0:2 შნაიდერი 13'48 (1); 0:3 ბუკბერგერი 23'16 (1); 1:3 რაიტი 42'19 (1); 1:4 პალფი 44'00 (2); 1:5 რობიტაილი 48'38 (4); 1:6 ჯ. ბლეიკი 57'26 (1); 1:7 რაინპრეხტი 58'32 (1)**

ლიგის ახალწვეულს აშკარად უჭირს. შინ გამართულ პირველივე მატჩში „კოლუმბუსის" ნაცვლად — „ცისფერი ჟაკეტები" გვარიანად გაილახნენ (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით). ჯერ იყო და, ლოსანჯელესელი მატიას ნორსტრიომის გასროლილმა შაიბამ მასპინძელთა თავკაცს, დეივ კინგს წარბი გაუხეთქა, თუმცა მწვრთნელმა შეგირდები არ მიატოვა და სახედასისხლიანებული გაუძლვა მათ. შემდეგ კი „მეფეებმა" ჰოკეის გაკვეთილი ჩაუტარეს დებიუტანტს და ბოლო პერიოდში ანგარიში მასპინძელთათვის სამარცხვინო გახადეს.

**სამველ ლარიბიანი**




ტორონტოელთა მეკარე კერტის ჯოზეფმა დალასელი ტაილერ ბუკის (55) დარტყმული შაიბა მარჯვედ დაიჭირა

# შიგნიდან გატეხილი ციხეები

### პირველი ტური

I ჯგუფი

**ბიარიცი (საფრანგეთი) 37:30 ნორთჰემპტონი (ინგლისი)**

ბიარიცი: 4ლ — ბეტსენი (2), ბერნა-სალი, ბიდაბი; 4გ. და 3ს — ბოტიკა
ნორთჰემპტონი: 5ლ — ფაასი, შეპერი, სტიუარტი, ჰანტერი, კოენი; 1გ. და 1ს — შეპერი

**ედინბურგი (შოტლანდია) 29:21 ლენსტერი (ირლანდია)**

ედინბურგი: 3ლ — პატერსონი, ტეილორი, ატერსონი; 1გ. და 1ა — როსი; 3ს — როსი (2), ჰოდჯი
ლენსტერი: 3ლ — დემპსი, ოკელი, პატი; 2ს — ჰეკენუი

II ჯგუფი

**სტად ფრანსე (საფრანგეთი) 92:7 აკილა (იტალია)**

სტად ფრანსე: 13ლ — ლოსიუკი, კომბა (2), მიტონი, ლიმა (2), ჟუიე, ლომბარი (2), ლანდრო, მეისონი, დე ვილიე, დომინგესი; 13გ. და 1ს — დომინგესი
აკილა: 1ლ — ნაპოლი; 1გ — ბურგესი

**სუონსი (უელსი) 54:28 უოსპსი (ინგლისი)**

სუონსი: 5ლ — რობინსონი (4), გიბსი; 4გ., 4ს. და 3ა — ტომასი
უოსპსი: 3ლ — უორსლი (2), ლიუსი; 2გ. და 3ს — ლოგანი

III ჯგუფი

**ტულუზი (საფრანგეთი) 22:32 სარასენსი (ინგლისი)**

ტულუზი: 3ლ — მარფენგი (2), გარბაჟოზა; 2გ. და 1ს — მარფენგი
სარასენსი: 2ლ — ომაჰონი, მიურეი; 2გ., 4ს. და 2ა — კასტენიედი

**ოლსტერი (ირლანდია) 32:23 კარდიფი (უელსი)**

ოლსტერი: 2ლ — კონსტეიბლი, ჰოუ; 2გ., 5ს. და 1ა — ჰამფრიზი
კარდიფი: 2ლ — ნ. ჯენკინსი, მორგანი; 2გ. და 3ს — ნ. ჯენკინსი

IV ჯგუფი

**მანსტერი (ირლანდია) 26:18 ნიუპორტი (უელსი)**

მანსტერი: 3ლ — შიენი, გალვეი, ჰორგანი; 1გ. და 3ს — ოგარა
ნიუპორტი: 2ლ — ბრიზი; 1გ. და 2ს — ჰოვარტი

**ბათი (ინგლისი) 25:13 კასტრი (საფრანგეთი)**

ბათი: 1ლ — ლაილი; 1გ. და 6ს — პრისტონი
კასტრი: 2ლ — ლასისი; 1გ. და 2ს — თაუნსენდი

V ჯგუფი

**ლიანელი (უელსი) 20:27 გლოუსესტერი (ინგლისი)**

ლიანელი: 2ლ — ჯონსი, ვიატი; 2გ. და 2ს — ჯონსი
გლოუსესტერი: 2ლ — ლითლი, ჰეზელი; 1გ — გომარშალი; 5ს — მენიქსი (3), ფანულა (2)

**რომი (იტალია) 5:14 კოლომიე (საფრანგეთი)**

რომი: 1ლ — დე ანჯელისი
კოლომიე: 1ლ — ტომასი; 3ს — კარე

VI ჯგუფი

**პონტიპრიდი (უელსი) 40:25 გლაზგო (შოტლანდია)**

პონტიპრიდი: 4ლ — კოკბეინი, ჯარვისი, ვუდვორდი, ჯონი; 4გ. და 4ს — ჯარვისი
გლაზგო: 1ლ — ბალოკი; 1გ. და 6ს — ჰეიესი

**ლესტერი (ინგლისი) 46:18 პო (საფრანგეთი)**

ლესტერი: 4ლ — ჰამილტონი, ბეკი, ჰოვარდი, საჯარიმო; 4გ. და 5ს — სტიმპსონი; 1ა — გუდი
პო: 2ლ — ტრაი, ბომატი; 1გ. და 2ს — ოკანი



ბიარიცი — ნორთჰემპტონი. მასპინძელი ფილიპ ბერნა-სალის (ბურთით) ამ შეტევას „ბიარიცის“ მორიგი ლელო მოჰყვა

ამ უქმეებზე მორაგბეთა ევროპის თასის რიგით მეექვსე გათამაშება დაიწყო. ამ ტურნირს „ჰაინეკენის თასსაც“ უწოდებენ, რადგან მისი მთავარი სპონსორი სწორედ ეს ჰოლანდიური ფირმაა, რომელიც მშვენიერი ხარისხის ლუდის ჩამოსხმითაა ცნობილი.

სანამ პირველი ტურის მატჩებს მიმოვიხილავთ, ორიოდ სიტყვა გათამაშების ფორმულაზეც ვთქვათ. 24 გუნდი ექვს ჯგუფადაა დაყოფილი და მიმოსვლითი სისტემით ექვს მატჩს გამართავს. ოქტომბერში ოთხი ტური ჩატარდება, დარჩენილი ორი და მეოთხედფინალები, რომლებიც ერთმატჩიანია, იანვარში გაიმართება, ნახევარფინალები და ფინალი კი გაზაფხულზეა დანიშნული. მეოთხედფინალში თითოეული ჯგუფის პირველადგილოსნები და ორი საუკეთესო მეორე ადგილზე გასული გუნდი გავა. ჯგუფის გამარჯვებული ქულების თანაბრობის შემთხვევაში ურთიერთშეხვედრების შედეგებით გამოვლინდება, საუკეთესო მეორეები კი ჯერ დაგროვილი ქულებით, მერე გატანილი ლელოებით განისაზღვრებიან. ეს სისტემა იმ გუნდებს აყენებს უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში, რომელთა ჯგუფებშიც ერთი ან მეტი აშკარად სუსტი კლუბია. თუმცა აბსოლუტურად სამართლიანი სხვაც ბევრი რამე არ არის და... მეოთხედფინალები იმ გუნდის მოედანზე გაიმართება, რომელიც ჯგუფურ ტურნირს უკეთესი შედეგით დაამთავრებს, რაც ნამდვილად დიდი უპირატესობაა. ბოლო სამი მატჩი კი ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდება, ოღონდ აუცილებელი არაა, ქვეყანაც ნეიტრალური იყოს.

ახლა გამართულ მატჩებსაც მივხედოთ.

პირველ ჯგუფში კარგად დაიწყო შეჯიბრი „ბიარიცმა“, რომელმაც ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული დაამარცხა. ბასკებმა დაამტკიცეს, რომ მშვენიერ ფორმაში არიან, თუმც დასანანიც აქვთ, რადგან ორი ლელო მატჩის მიწურულსღა გაუშვეს, რამაც შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი და ნორთჰემპტონელები საბოლოოდ ერთნაირ ქულებს დააგროვებენ, ინგლისელები კი შინ მათ უფრო დიდი ანგარიშიც დაამარცხებენ.

ედინბურგში მასპინძლებმა მეტად რთულ თამაშში იმარჯვეს და ირლანდიელებს, ფაქტობრივად, უკვე გადაუწურეს მეოთხედფინალში გასვლის იმედი. თავად კი ცოტა ხნით, სანამ ფრანგებსა და ინგლისელებს შეხვდებიან, კიდევ შეუძლიათ, იოცნებონ.

მეორე ჯგუფში ტურის ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა — საფრანგეთის ჩემპიონმა „სტად ფრანსემ“ იტალიის ვიცე-ჩემპიონ „აკილასგან“ ქვა ქვაზე არ დატოვა და 92:7 გაანადგურა. იტალიელთა სალელოე მოედანზე ბურთიანად შეღწევა თითქმის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა და პარიზელებმა 13 ლელოც გაიტანეს. ყველაზე მეტად აპენინელები თვისტომმა დიეგო დომინგესმა აზარალა, რომელმაც ერთი გარდასახვაც არ გააცუდა და ჯამში 34 ქულა მიითვალა. წარმოშობით არგენტინელი დომინგესი იტალიის ნაკრებს შარშან დაემშვიდობა, მაგრამ ახლა შეიძლება უკანაც მიაბრუნონ, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ ლაპარაკი ამ მატჩამდეც იყო.

საკუთარ მოგებაზე ნაკლებად არ გახარებიათ ფრანგებს [illegible] მეტოქის, ინგლისური „უოსპსის“ უელსურ „სუონსისთან“ მარცხი. ევროპის თასზე ინგლისელებს ასეთი დიდი ანგარიშით არასოდეს წაუგიათ.

ტურის სენსაცია მესამე, სიკვდილისად წოდებულ ჯგუფში მოხდა, სადაც „სარასენსი“ „ლესტერისა“ და „ბათის“ შემდეგ მესამე გუნდი შეიქმნა, ევროპის თასზე „ტულუზი“ მისსავე მოედანზე რომ დაამარცხა. პარიზული მატჩის მსგავსად, აქაც „შიგნიდან გატყდა ციხე“. სტუმართა რიგებში საუკეთესო უდავოდ მათთან ამ სეზონისთვის გადაბარგებული ფრანგი ტომა კასტენიედი იყო, რომელიც ბევრის, და მათ შორის საქართველოს ნაკრების ფრანგი თავკაცის კლოდ სორელის აზრით, მსოფლიოში საუკეთესო მცველია. კასტენიედმა თითქმის უშეცდომოდ ურტყა და თავის ანგარიშზე 22 ქულაც ჩაიწერა, იმდენი რამდენიც მთელმა „ტულუზმა“ ერთად მიითვალა.

მოულოდნელად წააგო უელსის ჩემპიონმა და ამ ქვეყნის ნაკრების საბაზო გუნდმა „კარდიფმაც“. თუმცა ირლანდიური „ოლსტერი“ სუსტი გუნდიაო, ნამდვილად ვერავინ იტყვის, რადგან მას ორი წლის წინ ევროპის თასიც კი მოუგია. მომავალ ტურში ფრანგები უელსელებს ესტუმრებიან და იმ შეხვედრაში დამარცხებულს მეოთხედფინალის გზა თითქმის გადაეღობება.

მომდევნო ჯგუფში ორივე მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა იოლად ვერც „მანსტერმა“ მოიგო და ვერც „ბათმა“.

მეხუთე ჯგუფში კი სტუმრებმა იმარჯვეს. ინგლისელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო ავსტრალიის ნაკრებიდან ახლახან წასული ჯეისონ ლითლი იყო. რომაელთა „კოლომიესთან“ გამალიანება კი ტურის მოულოდნელი შედეგების კატეგორიაში უნდა შევიტანოთ.

დაბოლოს. მეექვსე ჯგუფში „ლესტერმა“ „პო“ გაანადგურა და ლონდონელმა ბუკმეიკერებმა რომ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხეს, გაამართლა. ისე, აქვე გეტყვით, რომ ლონდონელ ფსონების სპეციალისტებსაც მოსდით შეცდომები, რადგან მათი მეორე ფავორიტი „ტულუზი“ იყო... თუმცა შეჯიბრის ბოლომდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი და ეგებ ისინი მაინც მართლები გამოდგნენ. „პონტიპრიდისა“ და „გლაზგოს“ დაპირისპირება დაძაბული მხოლოდ პირველ ტაიმში იყო, რომელიც მასპინძლებმა 4 ქულით მოიგეს (16:12). შესვენების შემდეგ უელსელებმა კიდევ სამი ლელოს გატანა მოახერხეს და შოტლანდიელები შინ უქულოდ გაუშვეს.

მეორე ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება და უკვე საკმაოდ ბევრი რამ გაირკვევა.

**გაიოზ თალაკვაძე**

---

IV ნრე. II ტური
ბათუმი
8 ოქტომბერი

**დათვები 52:7 ასკ**

IV ნრე. II ტური
თბილისი
8 ოქტომბერი

**ლოკომოტივი 1 — ყოჩები**

**შაბათს** ვარკეთილის სტადიონზე „ლოკომოტივი 1“ — „ყოჩების“ მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ ეს შეხვედრა გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამის მიზეზი არც გაფუჭებული მოედანი და არც რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობა ყოფილა. საქმე ისაა, რომ რკინიგზელებს ეროვნული ჩემპიონატის სამონაწილეო თანხა საქართველოს რაგბის კავშირში ჯერაც არ შეუტანიათ და სანამ დავალიანებას არ დაფარავენ, მატჩების ჩატარება ეკრძალებათ. მაგრამ შესაძლოა, „ლოკომოტივი 1“ უფრო მკაცრად დაისაჯოს და ჩემპიონატიდან. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რკინიგზელთა ხელმძღვანელობა ამ დღეებში საჭირო თანხის შოვნას და რაგბის კავშირის ვალის გასტუმრებას ვერ შეძლებს.

**გაჩო სვანიძე**

---

# ქურციკებს მწყემსი გამოუცვალეს

**სამხრეთ აფრიკის** მორაგბეთა ნაკრებს ნიკ მალეტი აღარ გაწვრთნის.

თავიდან იმის შესახებ, თუ რატომ დაითხოვეს მალეტი. ოფიციალური ვერსიით, მას სამხრეთ აფრიკის რაგბის ფედერაციის კრიტიკა არ აპატიეს. „ქურციკთა“ თავკაცმა სამი ერის პირველობის საშინაო მატჩების ბილეთების მაღალი ფასები შეაფასა უარყოფითად და თავისი ქვეყნის რაგბის მამებს ასეთი პოლიტიკა დაუწუნა, აქაოდა, ხელმოკლე ქომაგებს თამაშებზე დასწრება ძალიან გაუჭირდებათო. თუმც ეს რომ მიზეზი კი არა, უფრო საბაბია, იქიდანაც ჩანს, რომ მალეტს ეს ერთ-ერთ ბარში უთქვამს კაცისთვის, რომელიც უბრალო ქომაგად მიუჩნევია, ის კი ჟურნალისტი ყოფილა და მეორე დღესვე მთელი ქვეყნისთვის მოუდვია ეს ამბავი. ისე, სამხრეთ აფრიკის მთავარ მწვრთნელს თავისი რაგბის ფედერაციის ღიად კრიტიკა აზრადაც არ მოსვლია.

ნიკ მალეტის გადაყენების ნაღდი მიზეზი უფრო მის მიერ სიახლეების დანერგვის მცდელობა და ამ ხნის განმავლობაში გუნდის რამდენიმე წაგება უნდა იყოს. თანაც მასსა და ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის სიამტკბილობა არასოდეს ყოფილა, რადგან იგი არავის აზრს არ იზიარებდა და ნაკრებს მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ უძღვებოდა.

ასეა თუ ისე, მალეტის სამწლიანი ერა „ქურციკების“ სათავეში დასრულდა.

„დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი მოთამაშეების, ჩემი თანამშრომლებისა და ქომაგების მხრიდან, რამაც ძალიან გამახარა — ვკითხულობთ „კეიპ ტაიმსის“ ფურცლებზე — „ქურციკებთან“ გატარებული დრო არასოდეს დამავიწყდება, რადგან მწვრთნელობა ისედაც მიყვარს და ამ დონის მორაგბეებთან თანამშრომლობა მშვენიერი იყო. გვქონდა დიდი წარმატებებიც და ჩავარდნებიც. ბრწყინვალე შედეგით დავიწყე მუშაობა — ზედიზედ 17 მატჩი მოვიგეთ, რაც მსოფლიოს რეკორდია. 1997-1998 წლების გუნდი შესანიშნავი იყო. მერე თაობათა ცვლა დაიწყო და ისევ დიდი გუნდის ჩამოყალიბება გვსურდა, მაგრამ ეს აღარ დამცალდა. იმედია, ჩემი შემცვლელი შეძლებს ამის გაკეთებას.

რაც შეეხება ბოლო ორი წლის შედეგებს, მსოფლიოს თასზე დაკავებული მესამე ადგილი იმედგაცრუება და კრახი არ იყო. ექვსი მატჩიდან ხუთი მოვიგეთ, რაც საკმაოდ ძნელი საქმეა. სამი ერის წლევანდელ პირველობაზე კი მშენებლობის პროცესში მყოფი გუნდის კვალობაზე ურიგოდ არ გვითამაშია, უბრალოდ, არ გაგვიმართლა“.

მალეტის ხელმძღვანელობით „ქურციკების“ ყველაზე აღსანიშნავი წარმატებებია: 1997 წლის ფრანგულ ტურნეში „მამლების“ იოლად დაჯაბნა; მომავალ წელს სამი ერის პირველობის ყველა თამაშის მოგება, განსაკუთრებით ახალ ზელანდიაში, როცა სამხრეთაფრიკელები 5:23 აგებდნენ, მაგრამ მერე 24:23 გაიმარჯვეს; მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში ინგლისელთა უპირობო დაჩაგვრა და მერე მესამე ადგილისთვის მატჩში „ოლ ბლექსის“ გამწარება.

ყველაზე გამორჩეული კი, ალბათ, მაინც წლევანდელ სამ ერზე შინ ახალი ზელანდიის დამარცხებაა (46:40), რადგან მანამდე კუნძულელებს საერთაშორისო მატჩში ამდენი ქულა არასოდეს გაეშვათ.

რაც შეეხება „ქურციკთა“ ახალ მწყემსს. ის ჰარი ფილხოენი იქნება და რაგბის ქართველ მოყვარულებს უფრო ახლოს ხვალ გავაცნობთ.

თავად ნიკ მალეტი კი, სავარაუდოდ, სამხრეთ აფრიკას დატოვებს და ავსტრალიას მიაშურებს. მსოფლიოს ჩემპიონების ქვეყანა უკვე დიდი ხანია, ლამობს, უმთავრეს საკლუბო ტურნირზე 12-ში თავისი მეოთხე წარმომადგენელი ჩართოს და სავსებით შესაძლებელია, ეს გაისადვე მოახერხოს. ეს გუნდი, ალბათ, პერტში დაფუძნდება და მას „ქურციკების“ აწ უკვე ყოფილი მწყემსი გაწვრთნის.



ნიკ მალეტი

**გაიოზ თალაკვაძე**



REUTERS მონტე კარლოდან

# გოლფი ყველასია

სათაური ჭეშმარიტებას ღაღადებს. ტაიგერ ვუდსი ყვანჯს რომ სხვებზე კარგად იქნევს, ეს არაფერს ნიშნავს: პრეზიდენტები, ფულიანები და სხვა საჩინო ხალხიც ერთობ მისდევენ გოლფის თამაშს და ტურნირებსაც აწყობენ. ჯერ არაფერი გვსმენია შეჯიბრზე კლინტონის, პუტინის, შირაკისა და მისთანათა მონაწილეობით, მაგრამ ფოტოზე ჩანან მსახიობები, რობერტ ვაგნერი და კევინ კოსტნერი, კალათბურთელი ჯულიუს ირვინი, რომელთა ინტერესი ამ წუთში მონტე კარლოში მათთვის მოწყობილი ტურნირის მოგებაა.

# მოსახვევში

დაძაბული ბრძოლა მიდის, მოტომრბოლთა მსოფლიოს თასის რიო დე ჟანეიროს ეტაპზე ესპანელი ალექს კრივილე ფრინველის გასწრებას ცდილობს. წესით, უნდა გაუსწროს, რადგან კრივილე 500 კუბურსანტიმეტრიან მოტოციკლებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი გახლავთ, ხოლო ფრინველის სპორტულ წარმატებათა შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს. თანაც მოხვევაც ვერ უნდა ეხერხებოდეს ხეირიანად.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან



REUTERS ნიუ იორკიდან

# ვიკინგები

მოგეხსენებათ, ამერიკა ვიკინგებმა აღმოაჩინეს (კამათი საჭირო არ არის) და თუმცა ამ ამბის დღე და საათი ზუსტად ვერ დადგენილა, ზოგნი ამ თარიღს ახლა აღნიშნავენ. ნიუ-იორკის ისთ რივერში (აღმოსავლეთ მდინარე) მოცურავე ვიკინგურ ხომალდს ნათქვამის დასადასტურებლად წარმოვადგენთ. ზედ 8 კაცი და ერთი ქალი დგას, რომელთაც ფრიად ცივი გზა გადმოლახეს ისლანდიიდან კანადამდე და იქიდან ნიუ-იორკამდე, რათა ის პირველი მარშრუტი გაემეორებინათ, წითურა ერიკმა და მისმა ძმებმა რომ შეასრულეს.






დავო კარნიჩარი

# მარშრუტი

სლოვენიელ დავო კარნიჩარზე ზოგი იტყოდა რომ მაგას...; მაგრამ ჩვენ არ ვიტყვით, კაცი ისტორიაში შესვლას აპირებს და პატივის ღირსია, ანუ სურს გახდეს პირველი, ვინც ევერესტიდან თხილამურებით ჩამოსულა. მარშრუტი ფოტოზეა აღბეჭდილი.

# მანდელა, შერისხული და მისი ცოლი

სახელოვანი ნელსონ მანდელა ბავშვების ზეიმზე მივიდა, და სწორედ მაშინ ეაჯა სამხრეთ აფრიკის მოკრიკეტეთა ექსკაპიტანი, ჰანს კრონიე, მიმიღეო. თანხმობა მიიღო და მეუღლეც გაიყოლა, რომლის თვალთა ჟუჟუნში საუბარი უეჭველად ტკბილად ჩაივლიდა. კრონიეს კი ამგვარი რამ სჭირდება, ერთი ხნის წინ ხმაურიან საკრიკეტო სკანდალში გახლდათ გარეული.



REUTERS ლონდონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge